

# 033 208

1884

№ 11, 033 208

თბილისი.

აქციალე სენატის სტამბა.

1884

## ში ნარსი:

- I. განკიცხული (შემდეგი) ა. მოჩხუბარიძისა . . . . . 3
- II. მთავარ-ეპისკოპოსი ილავდ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში თ. ურდანდანისად . . . . . 31
- III. სოფლისთვის თავ-დადებული ანუ რომელა სიმართლე? (თარგმანი) რ. მამასაშვილი ც—ვისა . . . . . 67
- IV. ჩვენის გლეხ-კაცობის ისტორიიდამ (შენიშვნები ბატონ-ემობაზე) ნიკო ხიჭანიშვილისა . . . . . 83
- V. საგულის-ხმიეროდ (გაზეთებიდან) I. წარსულის მოყონებიდგან. მდგრელობა 1857 წელსა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თავადის გაგარინისა, იმის ჩინოვნიერის იღინისა და პორუჩივის არდიშვილისა — სახუთას მფლობელის თავად კოსტანტინე დადიშველიანისაგან. სტატია ა. შეკრთავივსა. II. გენერალ ჭალეიევის აზრი ქართველობაზე. . . . . 114
- VI მოკითხვა (შეთვლილი დედასთან ქ. ერევნიდგან მეტე თემურიზის დროს) (ლექსი) თ. რ. ერისთავისა . . . . . 151
- VII. ბიბლიოგრაფია შედაგოვიური უურნალი „ნობათა“ № 1, 1884 წ. სტ. ჭრ—შვილისა. . . . . 152
- VIII განცხადება (ყდაზე).

ეს წიგნი 28 თებერვალს მზად იურ, მაგრამ სხვა-და-სხვა მძღვანების გამო, დღემდეს კურ გამოვიდა. რედ.

# ՈՅԵՐՈՒ

ՏԱԿՈՂՈՒԹՈՒԹ  
և ՏԱԼՈՒԹԵԽԱԾՎԻՆ  
ԺԱՌԵՎԱԾՈ

ՎԵԼՈՎԻՇԱԾՈ ՑԵՐՎԵ

No. II

ԴԱՌԱՐԱՐ

ՊԵՂՉՈՒՄԵ ՏԵՂՆԱԾՈՍ ՏՐԱՋԱ, ՀԱՌԱՆՏ-ԹԵՂՆԱՋՎՈՆ յԱԲԱԳ  
1884

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 февраля 1883 г.

## განკიცხული

(შემდეგი\*)

### თავი III

შეორე დღეს ძაღლის ადრე გამეღვიძა, თუმცა გათენებაში-  
დის ძილი არ მომქაობია და ის სასიც, რაც თვლებაში ვიყ-  
ვი, რაფაცა დამასუსტებელი მდგრამარეობა იყო, ვიდრე მომასტე-  
ნებელი. სახლში ჯერ არავინ ამდგრამისა; ახლად ამოსულის  
მზის სხივები ზოლ-ზოლად შემოწოლილიყო და ფარდებისგან  
დაბნელებულს რთასში მხარელად თრთიდა. წვრილი, სხვა  
დროს თვალისოთვის შეუმნიერებელი მტკერი, საგნების ნაძენბი  
და ფერფილი იორეოდა, სხვა-და-სხვა ფრად მზის შექმნებ  
ბჟევრიალებდა. სხვა დროს ეს სურათი მთელის საათობით  
მიიჩევდა ჩემს უურადღებას, მთელის საათობით შეცდებდა იმ  
წმინდას და საიათს ნაძენბებს და ფერფილებს, რომლებიც დას-  
დებდენ ერთმანერთს, შესთამაშებდენ მზის სხივებს, იქნება სი-  
ცოცხლესაცა ჭრმნობდენ; მაგრამ ეხლა კი მაშინვე თვალების  
დასუსტა მომინდა, რადგანაც სისხლი თვალებში მომწოლოდა,  
თავი დამძიებოდა და შექი უსიამოონოდ მოქმედებდა.

მე თვალები ისევ დაგუჭებ, მაგრამ წარმოუთვემელმა რავის

ტკივილმა ჩქარა გეზედ წამომაგდო. იქნება იდგა ტასტი და ალთათა ცივის წულით, რომელიც სწრაფად თავზედ მოვიჭრება და სიგრილემ აითქოს რაოდესადმე მომასვენა. საჩქაროდ ჩავიტრება ტანისამოსი და გავწირ მუშადისკენ, სადაც კურ მოძრაობა არ დაწყებულიყო და კურ მოესწორო იმ უსიამოვნო მტკერს. ჟაფრში ავარდნა, რომელიც ისე შემაწუხებელად გივსებთ და გასლანძავსთ უელს და ფილტებს.

დაღა მშენიერი, უუნი და თბილი იუო; ამ გვარი დღე-  
ები სწორედ ბედნიერთათვის იუო გაჩენილი, მაგრამ ჩემს და-  
ხაგრუდს გულსაც რაღაცა სიამოვნებას უღვიძებდა. ბაღში ჩი-  
ტების ჭიგვივის მუტი არა მოისმოდა-რა. ისინი დასტოდენ  
ერთი შტოდგან მეორეზედ, მსიარულებდენ, სანდისსან კადეცა  
კონკლაობდენ. აშკარად ეტუობოდათ, რომ ისინი ბედნიერები  
იუკნეს და ნებაცა ჭირნდათ ამ ბედნიერებისა. მწვანედ გადაშ-  
ლილს სექსაც შტოები გაეშვირათ და ერთმანერთში ისე ჭა-  
დასლათულიყვნენ, თოთქოს საერთო ფერსული დაბათ, შე-  
ერთებულთ თავასთით ბედნიერება ერთმანერთისთვის უნდა გა-  
დაეცათ, ერთმანერთში გადაეტანათ თავის სიცოცხლის ძალა.

კურ სიცხეები არ დამდგარიყო და მაშიადამე ჩინებუ-  
ლი ჭარი ტრიალებდა. ჩემს გარშემო უკელა სცოცხლებდა,  
უკელა სარაბდა, უკელა ჭვრისობდა, რომ გაჩენილია, რომ სი-  
ტებოუბა არის ქაუნაზედ და კიდეცა სტებბოდა. უკელას ეპოვ-  
ნა თანამეობელი, უკელას ჭყაფდა, თავისი ცალი, უკანასკნე-  
ლი კოლებიც კი მსიარულობდენ და თამაშობდენ!...

იმათ შორის კიდექ კაცი, მათზედ მუტის აზროვნობით,  
მუტის გრძნობით, მუტის მოაზრებით, გვირგვინი დანარჩენ  
ქმნილებათა შორის და მე კი გერ მომეწუო იმათსავით ცხოვ-  
რება...

მხოლოდ მე კიდევ განმარტოებული, დასაკრული, მარტო მე კერავისთვის გადამეცა გულის მოძრაობა და შერით ვუურებდი ბედნიერს ქმნილებათა, ოომელნიც უბრალო ფიქრზედ დროს არა ჰყარგავდეს, სარგებლობდენ მით, რაც ეძლეოდათ!... ვინ არის მართალი: ისინი თუ მე?... სიმართლისას კი კერას გურული, მაგრამ ისინი ოომ ჩემზედ ბედნიერები იყვნენ, მაგანი ეჭვი არ იყო...

დავდეუძნი, დაკუთიჭრდი და სწორე გითხრათ საფიქციელიც მჯონდა.

მე მივედ სწორედ იმ ბესედგასთან, სადაც წინა-დამეს მე და მარი ვისხედით და დაკურუე მტკვარს უურება, ოომელიც წენარად მოდეუდუნებდა. ზემოდევნო მოგდებულის ქაფს თევზები შემოსთამაშებდენ და სახდისსან მთელს აღლუედ მაღლა ხტორებს.

აქ დაკეცუავ საკმარისი სანი და გადავწევიტე, დაკმორჩინებულვიუავ ჩემს ბედს, ოომელსაც სიამოვნობა არც წარსულში ეჩვენებინა და არც მომავალში მიქადდა. გადავწევიტე, რომ ჩემს გრძნობას რაოდენადაც უნდა გაეზიდა, დამცირებამდის არ მიუსულვიყავ, არ მეღალატრა იმ შესედულებისათვის, ოომელიც ხალხს სინიდისის მოვალეობად მიუღია; გადავწევიტე აღმრული გრძნობა გულში მომექლა, გულში დამემარხსა.

მე მახსოვს ეს წუთი, ოომელმაც ერთხაშად მთელი არსება გადამიბრუნა, ოომელმაც მსამარულის, გაბედულის გაცისაგან დაღონებულად, მოწეულილ და ბედის მონად მაქვია.

ამ გვარად დავბრუნდი შინ, ოოდესაც კარებში სოფიო შემხვდა და პირველსაც შესედვაზედ თავი დამახრეინა. იმის სახე რაღაცა დამცინებელს და სიბოროტით საკაე ღიმილს გამოსატავდა. იმის თვალები თითქოს სისარულით მეუბნებოდა:

და განასხული მასში, მოგახრუვინეს თავი?» და თითქოს ამ სიტუა-  
ბის ჭეშმარიტებას მეცა კგომნობდი, კგომნობდი ისე ძლიერად,  
რომ სხა კულარ ამომელო.

— აჯ, ლევან! წარმოსთქვა იმან და შესდგა. — სად მისვალ,  
შინ არავინ არის.

— დაზალული კარ, მინდა დავისკუნო. კუთასუსე მე.

— დაზალული... ჴა, ჴა, ჴა!... გადისარსარა იმან და დაუმა-  
ტა: — შენს სანში დალალუა განა შესაძლებელია?

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაგ დორში კაცის სისხლი სდელს და  
გადმოდის... იმიტომ, რომ შენს სანში კაცი რაძენისაც მეტ-  
სა მოქმედობს, იმდენად მეტადა სწყურდება მოძრაობა.

— მაშ მე სხვებს არა კგგანებივარ.

— მსოლოდ ერთი შემთხვევა არის, რომელიც უმაწვილ  
კაცს მოსწურებამს ხოლმე.

— რა შემთხვება?

— სიუკარული. მომისურა იმან სიტუა და ცოტა სიჩუმის  
შეძეგ დაუმატა: — შენც ხომ არავინ შეგუვარებია?

ამ სიტუატა გალესილს დანატავით გამისვა გულზედ და  
შესარეცხული მაგომნობინა. პასუხის მაგივრად დალონებუ-  
ლის თვალით შეკედე და, უკრებდია, მიგ შესამჩნევი საუკედური  
გამოითქმოდა, რადგანაც სილიტი გაწითლდა. იმას აშეარად  
კსმოდა, რა სატანჯვარი იუღ ჩემთვის ამ სიტუატის გაგონება  
და აშეარადვე სხინდა, რომ განზრას მეუბნებოდა.

ფიქტში ელუასავით სწრაფად გამირბინა: «რას მემართლე-  
ბა?» და მაშინვე შეუცვალა შემდეგის სიტუატით; «თითქო ამ-  
ბობენ ჭალი გულ-ხილია, მისი გული აღვილად პირობის  
სხვის გულის პასუხსათ?»

— წავიდეთ, გავისეირნთთ. ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო  
სესვ სოფიომ და დაუმატა: — დასვენებას კიდევ მოასწორო.

გამომიშვირა ხელი და მეტ უარი კელარ მოვახერხე. ჩეკნ  
გაკედით ბაღში, სადაც მთელი ქალაქის მცხოვრებინა გამოივი-  
ნილიუკენ და დასეირნობდენ. მე და ჩემი თანამგზავრი კარგა  
სანს დაკვირდით გაჩუმებულნი და ბოლოს ერთს ადგილს ჩა-  
მოვსტევდით.

— ჰორციორმა მითხოა, ორმ სამზღვარს-გარეთ წასვლას არ-  
ჰებ, მართალია? მკითხა სოფიომ და დამაცემდა.

— მართალია.

— რად მიდიხარ?

— უცხო ენები მინდა შევისწავლო.

— კერ უნივერსიტეტი გაგეთავებინა?

— უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ისეთი მიზეზები მაჭვს, რო-  
მელიც მიშლის მაგ სურვილის ალსრულებას.

— მიზეზები? შემომხედა სოფიომ და ცოტა სიჩუმის შემ-  
დეგ დაუმატა: — უთუოდ იქ... შეგიყვარდა კინძე და დაბრუნება  
იმიტომ აღარ გინდა?

— შენ სულ ერთი მიზეზი გაქცე! გედარ მოვითმინე და  
შეუტია.

სოფიომ სესვ ენა მოიკვნიტა და ჩაჩუმდა.

— მაშ სამზღვარ-გარედ უკრევად წახვალ?

— ასე კვირისობ...

— სარჯო?.. სამზღვარს-გარედ ცხრვება იქნება ადგილი  
გერონია?

— არა, ადვილი არ მგრძნია, მაგრამ ჩემი შემოსახული კვირ-  
ოთბ, მეყოფა.

— შემოსახული?... აა შემოსახული?... მამულია?

— დიაღ, მამულისა.

— თუ მაგის იმედი იქონიე... აღარ გაათავა სოფიაშ.

— მაშ სხვა რის იმედი უნდა მქონდეს?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ მამული რომ კუს გერ გაგიძლობს, მაგაზედ კი დარწმუნდი... რა შემოდის ჩენის მამულებიდგან, შენს გაზრდას, რომ კაცმა იმის იმედით სამზღვარს-გარედ წასვლა გაბედოს.

— მე გაგონილი მქონდა, რომ კარგი მამულის პატრონი ვიყავ, მაგრამ ჩენებული კარგი მამული, კარგი შეძლება კარგად ვიცოდი რაც იყო. უკალა უგიონის ჩინებული სახლი მაჭეს, საუცხოვო შეძლებათ და როდესაც ამ გვარს სასლობას ეწევი, გვერცსისთვის მეზობლებთან გზავნიან, თითოობით თორნის პურს სესხულობენ. ჩემი კარგი მამული მართლადაც რა უნდა უოფილიყო, რა შემოსავალი უნდა მოჟერა?

— მართლა, სოფიო, დაკიტუ მე.—სულ ის მინდა, რომ გავიგო, რა მაჭეს და რის დახარჯვა შემიძლიან და დღემდის გრა გამიგია-რა... მე მარწმუნებენ, რომ ჩინებული მამული მაჭეს, მაგრამ გარეშე ხალსის ლაპარაკი, შენც ზომი იცი, რამ-დენადაც დასაჯერა. დღდად დამაკალებ, რომ ნამდვილი გამა-კებინო; ჩემი შემოსავალი ზედ-მიწევნით უნდა იცოდე, რად-განც სულ სოფელში სცხოვრებ.

— რასაკეირებელია, ვიცი და სწორედ იმიტომაც გეუბნები, რომ არ გეუთვა მეთქმ... არამც თუ არ გეუთვა, შენი შემო-სავალი სახსენებლადაც კი არა დიოს.

— მაინც, დაახლოებით, წელიწადში რა მეჭნება?

— ძალიან რომ გააბეკრო, ძალიან... წელიწადში ოც-და-ხეთ, ოც-და-ათ თუმნამდის თუ შემოვიდა, დიდი საქმეა!

— რის აშშაზ, გაკიგირებუ მე.

— მაშ რა გევონა?.. დამაცექრდა სოფიო და შემდეგ დაუმატა. — ეგეც ისევ მოჯამაგირებზედ მიდის... საზოგადოდ უკარანი აგრე გართ, — თუ ცოტაც არის ვისმე დიდი მამული აქვს, იმოდენა ვალი აწევს, ორმ სარგებელს კერ ასკლა და ვისაც თითო ნაჭერი მიწა უგდია, ისინი შიგ მამულში დგანან, უკანასკნელს გღესსავითა მუშაობენ, და ისე, ძლივს გამოდიან... მადლობა ღმერთს, ორმ ჩემი შროფირუშება სამსახურშია, თორემ ცარიელი პურის შოვნაც კი გაგვიწირდებოდა.

— რა ქნა, შენს მმას სომ კარგი მამული აქვს, ცხოვრება იმას რაღად უნდა უწიოდებოდეს.

— შინაური საქმე არავინ იცის და იმიტომ ჰუიქტობენ ორმ ბევრი გვაქვს... ღმერთმა ნუ ქნას, ორმ ჩემს მმას უბედურება რამ შემთხვას, თორემ სამოწყვალენი დავრჩებით.

ამ სიტყვებმა მწარედ იმოქმედეს ჩემზედ. შირველი ფიჭრი, ორმელმაც თავში გამიღმინა, იყო მარის მომავალი.

მართლაცაც შროფირუშებას ორმ უბედურება რამ შემთხვეულდა, მარის რა მოუკიდოდა, ორგორ იცხოვებოდა?...

მე გადამავიწედა სოფიოც, იძასთან ლაპარაკი, ადგილიც, სადაც ვიყავი; თითონ ჩემი თავიც კი აღარ მასსოვდა და მარტო ეს ერთი ფიჭრი მიტრიალებდა თავში.

უპისელია დიდ სანს ვიჭეჭ განუმებული, ოდგანაც სოფიო წამოდგა და ღიმილით მითხრა:

— გარგა ჩაფიჭება გცოდნია!... სრულიად არ ემგზავსებიასხალ-გაზრდას... წავიდეთ შინ, თორემ სადილათ დაგიგიანებთ.

სოფიო გამიძლვა წინ და მეც გამოვუდექ ზარმაციად და ზღაზღნით.

ოლესაც შინ დავბრუნდით, სადილი გაშლილი დაგვხვდა  
და მარტო ჩექნ-და გვეღოდენ.

მარი სასტუმროში კუშეტებაზე მიწოდებლიურ და ოადაც  
შეატკიცას შინჯავდა. სახეზედ რაოდენიმე ფერ-მკრთალობის  
მეტს კურას შეამცნევდათ. ჩემს მისალმებაზე იმან აღთ თავი  
და ლიმილით მითხოა:

— დარჩი?

— მაშ რა უნდა მექნა? კუპასუსკე.

— შენ უკეთ იცი. წენარად და გარეგებით წარმოსთხვა იმან.

— მე ადარა კიცი-რა, ადარა მესმის-რა! კსოვე და იჭია  
სკამზე ჩამოვჭექ.

ამ სიტყვებზე მარი თითქოს შეკრთა და ცოტა სიხუ-  
მის შემდეგ მითხოა:

— ადარა გესმისთ-რა, ადარა იცით-რა?... საკვირველია!  
მსრბის აწევით დააბოლოვა მარიმ სიტყვა.

მე შევხდე მარის, ომელისაც ხმაში ოადაცა სიბრაზე  
ეტყობოდა და პირისახეზე მწარე სატანჯებელის ბეჭედი დას-  
დებოდა. უპერედია ოადაცა კარამი მწარედ უთუოქავდა გულს.

— მარი, მართალს გეუბნები, მწარედ დაგიწყე მე..., მარ-  
თალს კამბობი... კედარა გამიგია-რა ჩემი თავ-ბეჭისა... მე  
კვრჩხის, რომ უბედური კარ და უბედურად დაერჩები ჩემს სი-  
ცოცხლეში... უოკელი ნუგეში მოსპობილი მაქს... შენ მაინც  
შემიძრალე!

— შეგიძრალო?... რისთვის?... იმისთვის ხომ არა ორემ  
უგანასკნელი ნუგეშიც წამართვი?... შენ ამბობ რომ «უბედური  
კარო», შენ, თავისუფალი კაცი, ომელისაც უოკელ-მსრბი გზა  
ხსნილი გაქვს, საითაც უნდა იჭითგნ წახვალ და მე?... მე ოადა  
უნდა კსოვე?... მე ოადა უნდა კსოვე მეთქი, საბრალო ტუკმ,

რომელიც ძალით დაუბრუკილებიათ, დაუბრუკილებიათ ისეთის  
ძალით, რომელსაც სიკვდილის მეტი კერა მოსპობს რა?! ერ-  
თად-ერთი სანუგეშო ის-და მქონდა, რომ შემეძლო ყველგან  
განმარტოებულს ეოთხა, შემეძლო ამ დროს საკუთრივ ჩემს  
თავს, ჩემს ფიქრებს მიკცემოდი და ამით მაინც არის ჩემი  
მდგომარეობა შემემსუბუქებინა და ესლა?... ესლა რადა არის?..  
მოხვედი შენ და ეს ნუგეშიც წამართვი!... წამართვი და რო-  
დესაც უკვდა ამას ჭხედავ, შენს უბედურებაზედ ლაპარაკობ,  
უმაღურო?

— მართ! კედაო გავძელ და გაკუშვირე ხელები. ჩე მინდო-  
და ჩამურა გულში, დამეკოცნა, დამეკვირა საქვეუნოთ: «მართს  
მე კუვარეან, მე უნდა მეკუთვნოდეს!...» მაგრამ მართს კამო-  
შვერილმა სელებმა შემაუენა, ცივმა თველმა დამასხა, რადგანაც  
მომესმა:

— დამშვიდდი!.. მე ქმრიანი კარ და... შენი...

იმან კედაო გაათავა სიტყვები; კარებში გამოჩნდა პრო-  
ფესიულება და ჩასრინწიანებულის ხმით წარმოსთვა...

— სადიღი მიიღოთ.

## თავი IV

გაიარა რამდენიმე კვირამ და მე ისეგ თბილისში კიუავ,  
ისევ «პროფესიულებას» სასლში კცხოვორებდი. უოკელ დღე კემ-  
ზადებოდა წასკლას, მაგრამ ადგილიდგან კუ დაკმრულიყავ.  
ბედნიერებაზედ იმედ მოსპობილი დაკმორჩილდი ჩემს ბედ-ილ-  
ბალს და თითქოს შეგეხვიე ჩემს მდგომარეობას. გადაკწუკილი  
რომ უბედურად გაჩენილი, უბედურად უნდა მომკვდარიყავ და

ამისთვის ქვეყანაზე აღარცა. რა მასარებდა. რა, აღარც არაფერი მიზიდავდა. წავიდოდი სადმე, თუ დავისრუნდებოდი, უოგელ თვის მარტო უკმაყოფილებასა გვიმნობდი. მადა სოულიად და-მექარგა, დაიმიწურ სიცხის ძლება და მთლად ჩამოვსმი... შე-მიუვარდა მარტოობა, რადგანაც ჩემს სიმარტოები მე კემლეო-დი ჩემს სანეტიარო ფიქრებს და თვალებ დასუჯვილს მარის სასე ცხოვლად მესატებოდა თვალ-წინ. სალი, ცხოვრება, ქვე-უანა; სიტყვით, უოგელისფერი ამაო შეიქნა ჩემთვის და ამის შემდეგ ჩემთვის თვით სიცოცხლემაც კი დაჭერგა თავისი ფა-სი. მსოფლი მარილა მიბრუნებდა სულს, ისღა მაკაშირებდა ამ სოფელს, იმას კსედავდი, იმით კსუნთქავდი და მარტოო-ბაში შემეძლო იმაზე დაწესა. ისეთს მდგომარეობაში ჩავარ-დი, რომ მარიზე ფიქრი ერთს წუთს მოგემორებინათ ჩემთვის, მე კელარ გატურდით ცოცხლებში პერი, თუ მგვდოებში.

თითონ მარიც საკვირველად გამოიცეალა: გასდა, გაუკით-ლდა და საკვირველი გულ-ჩვილი შეიქნა. ორი სიტყვა რომ გეთქმათ, მაშინვე ტირილს დაიწუებდა. ისიც ჩემსავით დამშვი-დებულად გეჩენებოდათ, კითხვაზე ჩემსავით გიჩესუსებდათ, რომ «არა სტეივა-რა», მარკამ ორნივ კი ავად, ძალიან ავად ვიყავით, ორნივ ერთის სენით, ერთის სატენირით. კარგა დრომ გაიარა, რაც მოვსპერ ჩეკის გრძნობაზე ლაპარაკი, რადგანაც დავოწმუნდით, რომ ამ გვარი ლაპარაკი უმიზნო იუ-სლა როდესაც მარტონი შეკიურებოდით, ან ერთ-ერთი ხმა მაღლა წიგნის გითხვას დავიწუებდით, ან არა ჩუმად ვისხედით და უიმედოთ შესცემოდით ურთმანერთს. საკვირველი ეს არის, რომ ამ გვარს ცეკვას უოკელთვის თან-და-თან შეკუპანდით რა-დაცა აღმაშფოთებელს მოუსკენას მდგომარეობაში. მე აშე-რადა კერძნობდი და უპრეკლია მარისაც ესეკე არ ასცდებოდა,

რაღაცა უსილავს ძალას, ომებიც გამოკითხდა მარის თვალებიდგან, უერთდებოდა ჩემს თვალებს და ეს ძალა მატებოდა, მივლიდა მთელს სსეულში და რაღაცა გამოუკიდების, დამასუსტებელს მდგომარეობაში მაგდებდა. ასე მიღიოდა სანი, ოდესაც ერთს საღამოს მე და მარი ვისედით სასტუმრო თაასში, სადაც პროფირი შემოვიდა. იმან შესედა ჯერ მარის, მერე მე, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, რამდენჯერმე შესდგა, ამოიოსრა და უებლზედ სელი გადაისვა.

— ქალო, რათა სარ დაღისებული?... რა მოგდის? დაიწყო ბოლოს პროფირუშება. მარიმ ზიზღით შესედა და მკაფრად უპასუხა:

— ეგ თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ.

პროფირუშება კიდევ შესედა, წენარად დავდა სკამზედ და სალაპარაკოდ მოემჩადა.

— ცოლ-ქმარშება უსიამოვნო ლაპარაკი ჩამოვარდა და საჭიროდ დავინახე მოკმილებოდი, მაგრამ პროფირუშება არ გამიშვა.

— დაიცადე, სად მისკალ?... მე მინდა რომ ამ ლაპარაკის დროს დაგვესწრო. მითხოვა იმან და მიუბრუნდა მარის.

— სწორე გითხოვა, მე კერ მიუმსდარვარ.

— კერ მიმსდარსარ? აღელებით უპასუხა მარიმ: — ძალან ცოტა მისკუდრილობა გქონდათ!...

ის გაჩემდა რამდენიმე სანს, რადგანაც სულის მოქცევა უჭირდებოდა და ბოლოს გარკვევით დაუმატა:

— როგორ კერ მიმსდარსართ, რომ მძაგხართ, მეზიზღუბით!... ამას გეტევით უოკელთვის, გეუბნებით ესლა, და გეუბნებოდით ჯვარის-წერამდის... გავითხილებდით, გეხვეუბოდით, მაგრამ თქვენ არ გაიგონეთ გულწრფელი სიტყვები... გეუბნებოდით, ცოლობას კერ გაგიწევთ მეთქმ და მაშინ თქვენ

სარსარებდით გამოუცდელი ქალის ლაპარაკზე, ამ ლაპარაკს ეძახდით უბრალო ტიტის, რომელიც ინსტიტუტში წიგნებიდან ამომტკითხავს, მარწმუნებდით, რომ ეგ უკელა გაცვლის, უკელაფერი კარგად და რიგიანად მოუწოდა!!! — არ დავივერე შენი სიტყვები, მაგრამ შენ მაინც არ დაიშალე, ჩემის დედი ნაცვლის შემწერბით ძალად დაიწერე ჯერ და ესლა კი მეუს ნები, რომ უკ გამიგია შენი შეწუხების შიზეზიღ?... აბა მითსარ, ვინ იურ მართალი: შენ, შენის გამოცდილებითა, თუ მე, რომელსაც გამოცდილების მაგრე წრიდელი გრძნობა მა-ლაპარაკებდა.

— მართ, შემიბრალე, შემიწყალე!... წარმოსთქვა პროფირ-მა, რომელიც მოკუნტულიყო სკამში, ძლიერა იჭრებდა სულ-სა და საცოდევად გამოიყურებოდა.

— გვიანდა არის შებრალება, რადესაც გამაუბედურე შეც და შენი თავიც... ან რადა შემიძლიას, რითი გიწამლო, რი-თი უნდა გიშეკლო, შეკლაც რომ მინდოდეს!?...

— მაშ საჭეუნოდ არ გამსდი?... წამოვარდა გასარებული პროფირუშება.

მარიმ შესედა და მწარედ გაითიძა.

— სედაკი, წარმოსთქვა იმან სიმწარით. — სედაკი, რას მეუბნება?... რაზედა სწუსს!?!... საჭეუნოდ გასდომისა, ქვეუნის ლაპარაკისა უშინიან!... ღმერთო ჩემო!... შენ ქვეუნის ლაპა-რაკი გაშინებს, ის გალაპარაკებს და მე რადა უნდა ქათქვა, რომ მომაკალ ბედნიერებაზედ ფიქრიც კი მომისპე, მოსკენება წამართვი.

— რა გონდა, რა კენა, მარი?... თუ შენი მტერი კიუავ, ჩემი თავი მაინც ალარ მებრალებოდა?... იმედი მქონდა... უმა-

წერლი იყავ, მეგონა გამოიცვლებოდა, შეშჩეოდი; მაგრამ შეცდი, მოვტუგდი...

— თუ მაგ სიტუკებს მართლა ჭირობის, შეცდომის გასწორება კიდევ შეგვძლიან.—მაშენა ცოლმა.

— ოცნერ?

— გავიყარნეთ! ერთხაშად წამოიძახა მარიშ და დაუწეო უკუება.

— გავიყარნეთ!? წარმოსთქვა პროფირმა და მთლად დაიძნა.

— რას მეუბნები, მარი?

— იმას, რაც შენს სინიდისს წინადევ უნდა ეთქვა.

— არა, მარი... ეგ არ შემიძლიან... იცხოვონ, როგორც გინდა... მოუწევ, როგორც გესიამოუნებოდეს... მსოლოდ მაგას-გა ნუ ითხოვ ჩემგან,—არ შემიძლიან!

— მაშ როგორ ვიცხოვორო, როგორ მოგეწეო?... გავიჩინო საყვარლები, გატურ შენცა და მთელი შემუანაც?... ვიცხოვო, ვითვალთმავრო?.. მაგ გვარად ცხოვრებასაც მე ვერ მოგაწეობ. მე ვიცი, უღვევესთვეს მაპატივებდი, უღველგვარს გარეუცხილებას არ შეიმჩნევდი, თუ ჭკეუნისთვის და სალჩისთვის დაივარული იქნებოდა, თუ იმათ სალჩარავოდ საბურო არ ეჭრებოდათ... მაგრამ მე ეგ არ მინდა, მაგას არ ვითხოვ შენგან... ადამიანი ადამიანურის ცხოვრებას მოვითხოვ, იმ გვარს ცხოვრებას, რომელზედაც უფლებაცა მაჭვს და უნდა მომეცეს...

— დმურთო ჩემო, რაებს მეუბნება?... სხვა ვეღარა მოახერხა. რა შემინებულმა პროფირუშვამ და მომიბრუნდა მე:—გეცმის, რაებს ამბობს? უთხარ რამე, ჩაგონე... მაგას არ ესმის, რასა სჩადის, რას ითხოვს?

— ბიძა ჩემო, თუ ერთმანეთის გაბედნიერება გერ შეიძლიანთ, წარმოქსთქვი მე,—რასა ევირველია, გაურა სჯობს. ამ

სიტუაციაშედ ისე იმოქმედეს, თითქოს მდგრადი წეალი გადავისათ. ის მთლად აინთ, გაწოლდა, თკალებში სისხლი მოერთა და უკლში სრიალით დაიწეო:

— შენც სომ არ გაგიყდი!?. . რაქს მეუბნები?... თავი და-კანებო, გავეკარო მარის? მთელი ჭკევასა ავაყუფანო?.. ჸა, ჸა, ჸა... არა, ნაძღვილად გიყი სარ, შენცა და... ჩემი ტოლიც!

— ბიძა ჩემო, ჭკევას რას დასდევთ, რას დაეძებთ, გინ რას იღაბარავებს და რას იტევის, როდესაც თქმების მოქმედებით თქვენ მოვალეობას აღასრულებთ.

— შენ აგრე გგონია, რომ ჩვენს ცხოვრებაში ჭკევას საჭ-მე არა აქვს და მე კი ისე მგონია, რომ აქვს... მე კსედავ, რომ ანგარიშში შეკრდი და შზათა კარ ჩემის შეცდომისთვის მთელი საცოცხლე კერძო... შენ როგორა გგონია: ადვილია ჩემთვის, როდესაც შენ და მარის ერთადა გსედავთ, როდესაც გვირჩნოს, რომ ოქენ ერთმანერთს ამსიარულებთ, ატკბობთ, შეგიძლიანთ ერთმანერთის ბედნიერება და მე კი უკელა ეგ მო-სპობილი მაქვს?.. — არ არის ადვილი, მაგრამ ვითმენ, კსონ-სხმდები, რადგანაც. სსვა გრას კერ კსედავ, კერ გვირულობ. კსონსსმდები და ჩემს მწარე შერს გულში კიკლავ, გულში კი-მარსავ... სსვა რაღა გინდა, რაღას ითხოვთ ჩემგან?

— ერთმანერთის ტედნიერება შეგვიძლიან? მწარედ წარმოსოთქვა მარიმ და დაუმატა; — კარგა შემოგეხდე და გაიგებ, მართალს ამ-ბობ, თუ აქაც სტუულები. მართალს ამბობ, ჩვენ შეგვიძლო ერთმანერთის ბედნიერება, ჩვენ გვიუვარს ერთმანერთი და წინ შენ გველობები. რათა, რისთვის, რა უფლებით?... რა კქნა, რა ჩემი ბრალია, რომ არა მევარებისარ, არ მიუვარსარ და არ მეუვარები?! რატომ არ მანებებ თავს?

— გიმეორემ, დაიწყო ისევ პროფილუშვამ, — რომ ეგ აური,

შევითვისე, ჲამუდამოდ იმედი გადვიწუვიტე, მე კიცი, დარწმუნებული კარ, რომ არაოდეს ჩემი არ იქნები და იმისთვისაც გაძლევ უოვლისფრის ნებას, ოღონდაც სალხი ჩემად იყოს.

— სადამდის მიჟუესარ დამწირებულის თავი-მოუკარებას!... მაგრამ გირჩევ თავი დამანებო, თორემ, გარწმუნებ, აქაც მოსტრუგვდები.

— გნახოთ. გადაწუეტით უპასუხ პროიირმა

— პროფირი, მოიგონე, ჯვარის წერის წინად მე გითხარი: «ნუ იწერ ჩემზედ ჯვარს, თორემ გაგემცევი მეთქი.» მიზოთსილდი, ეს სიტუები ესლა არ შეგისრულო.

— ვისთან გაიქცევი?... ამასთან სომ არა? და უწევნა ჩემზედ და... მომიბრუნდა მე: — გთხოვი ცოტა სანს მარტონი დაგგროვო, ჩემს ცოლთან მარტოდ უნდა მოვილაპარაკო.

— დიას, თავი დაგვანებე, ღეგმ, ცოტას სანს თავი დაგვანებე... ჩემს ქმარს, ჩემს მბრძანებელს იმედი აქვს დამითანსმოს, დამიმორჩილოს...

— მე წამოვდებ და დაწუეტილის გულით გავედი ჩემს ათახში, სადაც მოუთმენლად მოველოდი, რითა გადაწუდებოდა ცოლ-ქმარის ლაპარაკი.

### თავი V

იმ საღამოზედ მართველარა გნახე, თუმცა სურვილი დიდ მქონდა. გოგომ, რომელსაც გვითხე მარის ამბავი, მიპასება:

— ქალბატონი შეუძლოდ არის და მოისცენაო.

ამ სიტუებში უფრო ამაშვლოთეს, რადგანაც გახურებული

გონება ერთი-ორად გაზიადებულად წარმომიდგენდა მას, რაც  
ცოლ-ქმარს შორის უნდა მომხდარიყო.

— არ შეიძლება კნახო? გვითხე იმავე გოგოს.

— ქალბატონმა მიბრძანა რომ იმათ ოთაშში არავინ შევი-  
დეს და შიგნიდგან კარები ჩაიგეტა.

ამ სიტუაციის შემდეგ უფრო უმეტესად მომწადდა მარის  
აშშის გაგება და ეს სურვილი იქამდის ძლიერი იურ, საჭმე ჩემ  
სიცოცხლეს რომ შესებოდა, კორნებ, მეტის წადილით მაში-  
ნაც ცერ ავინთებოდი.

— მე მაინდა მართ კნახო, დავიძახე ჭირვეულად. — მე ის  
უნდა კნახო!...

— დღეს არ შეიძლება. მიპასუხს მოახლეო და გაბრუნდა,  
მაგრამ მე წინ გადაუდევ და შევაუენე.

— მაშო, თუ ღმერთი გწამს, თუ ერთი ბეჭო სიბრალული  
გაქვს... დაუწეუ ხვეწნა. — ხომ ხედავ, რომ გავგიადი, გადვი-  
რიე... მე თითონ ადარ მესმის, რას კჩდიო...

— ბატონო, დამშვიდდით, ხვალაც მოასწრობთ ქალბა-  
ტონის სახვას... დღეს თავი დაანებეთ.

— დაიწა... მითხარ, მაშე მაინც, რა მოხდა, რა მოუ-  
კიდათ.

— თითონ ქალბატონი გიაშბობს, ხვალამდის მოითმინეთ.  
მიპასუხს მაშომ და გავიდა.

ის ისე მუშანებოდა: «ხეალამდის მოითმინეო», თითქოს  
ხვალამდის ისე ცოტა სანი იურ, თითქოს ხვალამდის დაცდა  
ისე ადვილად აღსასრულებელი იურ!!!... ღმერთო ჩემო! ხე-  
ლამდის, ხვალამდის მომეთმინა, როდესაც წეტები საუკუნეე-  
ბად მიმართა, როდესაც წარმოუთქმელის ძალით გულს შე-  
ცილდა სურდა!...

მე გავბრუნდი იმ გადაწყვეტილებით, რომ, რადაც უნდა ჩამჯდომოდა, იმავ წერის მენასა მარი, გამეგო იმას ამბავი და მეშველა, თუ შველა რითიმე შასაძლებელი იქნებოდა.

ის იურ კარები გავალე და გასკლას გაატარებდი, როდესაც პროფირუშვა შემეტეთა კარებში და შევდეჭ. იმის სახეს რაღაც უწესები სიმწვანე დასიდებოდა, წარბები შეჭროდა და შებლი შეკუმშოდა. პატარა მოკუნტული და ბოლოში გასიებული ცხვირი ჭარსალსაკით გასწითლებოდა, ტუჩები გალურჯებოდა და აქეთ იქით კუნჭულებში ბნედა-მორუელ კაცსაკით დორბლები გამოსხინოდა. პატარა, შეაზედ გაუოვილი, ჩალომაბებული, წერტი ნიკაპი ჩამოვარდნოდა და ძალზედ უცახცასებდა; თვალებს სიცოცხლე დაეკარგათ და ერთს საგანს ვერარ დაჭკუირებოდენ, თმები აბურძებნოდა. პროფირუშვა ძალზედ ქმინავდა.

მე გაშტერჭით შეუურებდი მის არეულს და უსიამოებოსხეს, რომელიც მღელვარებას დაუპრასწავ და უფრო უსიამოენო შექნილიყო.

ის მომიასლოვდა, მომკიდა სელი, მიმიუგანა სკამთან და დამსკა; მერე მიბრუნდა, მივიდა კარებთან, გააღო, ნასა რომ არავინ იურ და საჩქაროდ მოვიდა ისებ ჩემთან და გვერდით მომიჯდა.

— შენ წასკლას აპირებდი. — დაიწყო იმან სმის კამკალათ.

მე დაგაუენე... მაპატიე... .

— რა მოგსკლათ?

— ეს ღრივ ერთია... ნუღარა მკითხავ... მითხარ, გინდა წასკლა?

— დას, მინდა, მაგრამ....

— გინდა და წადი, წადი... ნუღარ დაიშლა! საჩქაროდ

დაიწყო იმან და ცოტა სიჩუმის შეძლებ დაუმატა: — მე მეგონა  
შენი მოსუიდგა შეიძლებოდა; მაგრამ პატიოსანი ჰუთფილხარ.

ამ მოუღოვნელმა ქებამ გამაწითლა და პირში სიტუა  
გამიწურის.

მე ვიჟექ გაშტერებული, დაბნეული და სმა კერ ამომელო.

— მარა დაწყევლილია... მეც დაწყევლილი ვარ... უნ  
მაინც ნულარ გაერევი ჩემს საქმეში.

— ბიძა ჩემო, რად იჭირებთ საჭმეს, რატომ არ გაშორდა  
ბით.

— იმიტომა რომ, არ შემიძლიან. შეშინებით წამოიძახა  
იმან.

— ლამერთო ჩემო! მაშ ამ გვარი ცსოვობა გრძებნიან?  
არ დაუინება?

— დაუინება არ არის...

— მაშ რა არის, თუ არ დაუინება?

— სიყვარული. ძლივს წარმოსოჭვა იმან.

მე უურებისა არა მჯეროდა. ეს კაცი მარწმუნებდა, რომ  
მარი უუჯროს და შეუბრალებლად კი სატანჯავდა.

— თქმეს ამაღბი, რომ მარი გიყვარსთ და საყვარლის  
მოსეუნებისთვის თავ-მოუკარეთას მსსეულებლად კერ მიგიცია?!...  
სადაური სიყვარულია! წარმოვსოჭვი გატაცებით.

— მაგ გვარი მსხვერპლი, ადგილი გგონია... მარი რომ  
შენი ცოლი იყოს, დაუთმობდი ვისმე?

— თუ იმის ბედნიერებას კერ შევიძლებდი, — წარმოვსოჭვი  
მე და სმა შეიძწედა, რადგანაც მართლაც დასათმობლად ძნე-  
ლი იყო.

— მითხარ, რაღად შესდექი? მაშურებდა ჰროფილ.

— გავეუზებოდი. წარმოვსოჭვი მე.

— მაშ არა გურარებია, თორებ უიმისოდ სიცოცხლეს კურ  
შესძლებდი.

— ეგ სხვა საგანია...

— როგორ სხვა?

— იქნება უიმისოდ კურ მეცოცხლა.

— მაშ რას იქმოდი? აჩქარდა პორფირ.

— ეხლა არ ვიცი, ესლა კურ გეტუვა...

— მაშ მე გატუვი.

— მიბძანეთ.

— თავს მოიგდავდი.

— იქნება.

— იქნება კი არა, ნამდვილად. დამიმტკიცა იმან და ცოტა  
სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — დიალ, შენ მაგითი სარ ბედნიერი,  
რომ თავის მოკვლა მაინც შეგეძლო და მე... მე კი არ შე-  
მიმდიან, მეშინიან... დაითვარა პორფირმა პირზედ სელები და  
ჭაიწყო ჭვითინი.

აქამდის ზიზღით აკებული გული, ისევ მომილია, ისევ  
თვალ-წინ წარმომიდგა დავრდომილი, უხასიათო კაცი, რომე-  
ლიც სიუკრულის მსხვერპლი შექმნილიყო, წვალობდა, აწყდე-  
ბოდა აქეთ იქით, რომ განთავისუფლებულიყო ამ მდგომარეო-  
ბიდგან, მაგრამ გზას კურ მოულობდა, იზნიქებოდა და იკლა-  
კნებოდა ამ გვარ მდგომარეობის სიმბიმის ქვეშ.

ჩემთვის აშეარა იყო, რომ ამ კაცი ეგრძნო თავის მდგომა-  
რეობა, ნათლად დაენახა თავისი მოკალეობა, ხედავდა თავის  
დანაშაულს, მაგრამ კურაფრით კურ შეკლოდა, რადგანაც სუს-  
ტი, უხასიათო ქმნილება იყო..

მე კუუურებდი იმის წვალების, კოჯორეთის ცეცხლს, რო-  
მელიც გულში აღმრთოდა, კხედავდი მთელს გენიას, რომელ-

საც მასი ანუ მა შეკურთ და მასთან ერთად მეც გეწამებოდი.

უოველი სიტუაცია, უოველი მოაზრება, უოველი საბუთი ამაღლ მიმაჩნდა, რადგანაც ამას მისი მორჩენა, მასზედ მოქმედება არ შეძლო, მისი განკურნება არ მოსერხდებოდა.

ერთბაშად ასეთად მომივიდა, რომ ამ უოვლად საცოდავს გაცს, შეძლო თავის უბედურების მიზეზად მე დაკენასე და ამ ფიქრმა გულს შემტაცა, რაღაცამ აკინის თალებისავით მომიქინო. ეს ფიქრი არ მასკენებდა, თუმცა დანაშაული არა მქონდარა და უოველთვის შემეძლო მეთქვა, რომ ჩემი სინიდისი წმინდა და იყო.

ორგესაც პროფილმა ტირილით გული იჯერა, წენარად მოიწმინდა თვალები და მდოსონ:

— შენ რომ ასე გეჭცეოდი, იქნება გგონია რომ მიუკარდი?... არა, არამც თუ არ მიუკარსამ, მეჯავრები, მეაგხარ, მძაგხარ იმისთვის, რომ მარი შენთან უოფნასა რჩეობს, შენთან დართს გატარებას... მაგრამ ნახე? ჩემს თავს იქამდის ძალა დავატანე, რომ სახლში მიგიღე, არა შეგიმჩნიერა და რადესაც გულის კვესით იუჟურებდი შენსა და მართს დამეგობრებას, მე თქვენს დასალოვებასაც კი კცდილობდი... კცდილობდი იმიტომ, რომ წელ-წალებული საკს გეჭიდებოდა, მისგან მოუკლოდი შეკლას... მე მეგონა თქვენი დასალოვება მარის უინს მოუკლავდა და უდესმე, ერთხელ მაინც, თავის დამილით შეც დამატებობდა...

მე შეკერთა ამ სიტუაციზედ და პროფილმა აშენად შემჩნივა ეს მოძრაობა.

— რა?.. შენ გინდა მითხრა, დაიწყო ისევ სიმწარით, — რომ მე საზიზურარი ვარ, გეზიზლები?.. და, გერუ იუს, გაზიზლებოდე, მაგრამ მართალს გატუვი. — იმედი კურ გამიმართ

თლე და ამისთვის უნდა განვმორდეთ... წადი, სადაც გხნდა, დასოკო, როგორც გინდა, სარჯი ჩემს თავზედ მიმიღია, ოღონდაც ერთს რასმე გთხოვ, გევეღობი... რაც ამ სახლში ხახე, იმზედ ხმა არსად ამოიღო.

— გმადლობთ ზორენვისთვის, შემწეობას არ კსაჭიროებ... მოგლედ კუპასუხე და დაკუმატე: — რაც სსკა-და-სსკა ხმების გავრცელებას შეახება, ეგ ჩვეულებად არა მაქს... მაგის გარედ მარის სიყვარული და ჰატივისცემა საკმარ საბუთია, რომ ჩუ-მად ვიყო.

— შენ ჰატირსანი კაცი ხარ, იმედი მაქს შენზედ. გამო-მიშვირა ხელი პროფირუშვამ.

— მაგ ქებისთვინაც გმადლობთ, კუპასუხე მე და ისე გავ-ბრუნდი თათქოს გამოშვერილი ხელი კერ შევნიშნე.

— მაშ როდის წახვალ?

— წესვლით არ ვიცი, როდის წახვალ და თქმენის სახლიდ-გან ერ ხვალვე გადავალ...

— ჩვენს ლაპარაკს... ცოტა მღვდელვარებას შემდეგ დაიწყო-იავე პროფირმა: — მარის არ შეატყობინებ?

— მაგის სიტყვას კერ მოგცემთ. კუპასუხე მე და გადაწყვე-რით დაკუმატე: — თუ მარიმ მკითხა რამე, სიმართლეს კერ და-კუმალებ.

— მაშ მარის ხახვას აპირებ? წყნარად და სიძოვთხილით მკითხა პროფირმა.

— უკრევლად.

— რომ არ გენახა, კვობინებოდა. იღუმალებით წარმოსთვა იმან.

— იქნება, მაგრამ უნახავი არ წავალ.

ჩამოვარდა ისევ მძიმე სიჩუმე, რომელიც უოკელთვისინ

გელაზედ მუტად გულს აწერილებს. პროფესორ არ მიღიოდა, ეტუთბოდა, რომ კადეპ რაღაცა ჭრინდა სათქმელი, მაგრამ კერ გაეხდა.

მე გულში ვნატრობდი, რომ მომშორებოდა ეს ქაცი და რომელიმე ახალი უსიამოვნო ამხავი არ ეთქვა. მაგრამ ის ისევ იმ ადგილს იჯდა და მძიმედ ქმინავდა.

— მაშ არ იშლი მარის ნახვას?

— არა.

— რა მიზეზა?

— ის არის, რომ მიზარული და როდესაც საუკუნოთ უნდა მოგშორდე, არ მინდა უკანასკნელი მშვიდობა არ ვუთხრო.

— შენ გიუგარს, მაგრამ მარის არ უკარხარ! გელსაკით გაისისინა მოხუცებულმა.

— რა უყო, თავს ხომ ძალად ერთ შევტყვარებ:

— შენ არა გვერა და მე კი საბუთი ხელში მაჭვა.

მე მოუთმენლად შეკედე უდმერობს, რომელსაც ამ სტადიონს წენარ-წენარად ჩემი მოწამელა გადაუწევორდა.

— გაჭვით და თქვენთვისებე შეინახეთ.

— ჩემთვის სასარგებლობა, რომ თქვენც გაიგოთ, თორებ განსაკუთრებით თქვენის მოსკენებისთვის მე არ ვზრუნვა. პროფესორ მართალი იყო, ის ჩემთვის არ იზრუნებდა. რა სამუტყები უნდა ჭრინოდა, როდესაც ზარწმუნებული ვიუავ, რომ მარის კუუკარდა, რომ მარი ანგელოზი იყო, რომ მარი ტეულას კერ მოახერხებდა.

— დაიჯ, ჩემთვის სასარგებლობა, რომ გაიგოთ, მაგრამ თუ მარის ეტუკით, გერ შეგატყობინებთ.

— მაშ ნუ მეტვით, ნუ შემზრდებოდებთ ღუთის გულისა-თვის.

— მაში ის გინდათ, ორმ სტუკდებოდეთ?.. არ გინდათ იცოდეთ, ორმ ძარი მასხარად გიგდებოდა?

— თუ, გველო, გველო! კულარ გავძება და წამოვიძახე. შენ იცი, ორმ უძედულებაში მარტო თუ მამსნევებდა, ორმ მარას უყვარებარ და უკანასკნელი ნუგეშიც გინდა წამართვა?... აბა მითხარ რა საბუთია.

— მარის არ ეტეკი?

— გაძლებ სიტყვას, ორმ არ ჰეტეკი.

— მაში წარვითხე. ამასზე უბიძგან ამოიღო ფლშტის ქაღალდი, ორმელზედაც თრი მაღლულუნებ მტრედი იურ დახატულდა და ერთი ადგილი მიჩვენა:

— წარვითხე აი აქედგან.

მე ჩავხედე, პირულად ჩემი სახელი შეკამნიუე, დავაგვირდი წერილს და შემდეგი სტრიქონები ეწერა.

...«ესლა აქ არის ერთი ჩემი ქმრის შორეული ნათესავილება... მე, ორმელიც ეს არის რუსეთიდგან დაბრუნებულია. იმას სიგიურებდის შეუყვარდი და მეც ბევრს ვიცინი იმის განუწყვეტელს ასვარზედ... მაგრამ ღმურობა უშესებოს, დოროს კიდებ ებ მატარებინება, თორუმ ჩემი ქმრის სულ მი აქამდის დაგჭილებულდია...»

აქ გთხვა კულარ შეგტელ, წელები ჩამომიცვივდა და მუხლმოჭრილსაგათ დავეშვი იმ სკამზედ, ორმლიდგანსც ის იურ წამოვარდა.

მეტად მძიმე ზარი დამეცა, ორმ იმ დორს მოაზრება კიდებ შემძლებოდა.

მე კიჯექ გამოშტერებული, და განძრევის თავზე აღარა მჭონდა... თათახი, სკამები, სტრილი, ულულისფერი, რაც გარ შემო მჭონდა, ბრუნავდა და ტრასლებდა და უურებს ხურლი გაჭ-

ქონდა. რამდენს ხანს გაგმელდა ეს მდგომარეობა, მე კურ  
გეტუვით მხოლოდ, როდესაც პროფირმა მკითხა;

— მარის კიდევა ნახავ?

მაშინ გულ-დაწყევტით შეგხდე იმას და წენარად კუპა-  
სუხე:

— არა.

ცოტა ჩენმაც გაიარა, წამოვდეჭ რაცოაცით, მიკედ ჩე-  
მოდანთან და ბარგს ჩალაგება დაკუწევა.

პროფილ თვალს არ მაშორებდა და მე წარმოუთქმელს  
სატანჯელს კირძნობდი იმის ცეკვით.

— უბედური ხარ ლევან? წენარად და თითქოს თანაგრძნო-  
ბით მკითხა იმან.

— დამესხენით. შეკერთო იმის მოკარებაზედ და გავეშვებინე.

— რას აპირებ? ცოტა ხანს შემდეგ მკითხა იმან.

— წასკლას.

— როდის?

— ესლავ, ემ წუთას.

ეს სიტყვები ისეთის სიმტკიცით იულ ნათებამი, რომ  
წინააღმდეგი სალარა გაიძიება-რა..

— შენის მამულისას რაღაც იტუვი?

— აა უნდა გითხორა?.. აქამდინაც კცხოველებდი უმაგისოთ  
და ეხლაც კიცხოვებ როგორმე.

— არა, რათა... რაღაცა უნდა ეთქვა პროფილს, მაგრამ გა-  
გაწყებინე:

— დავანებოთ თავი მაგ უსიამოვნო ლაპარავე!

— ხეალ ხომ კიდევა მნახავ?

— სრულიად მეტი იქნება... გთხოვთ, ახლა კი თავი და-  
მანებოთ, საწერი მაჭვს, მე მიკედ საწერ სტოლიან. პროფი-

წამოდგა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა და მობრუნდა ჩემპენ. მე გულ-ხელ-დაკრეფილი გუვურებდი იმის მიზნექილს წელს და დახრილს თავს, რომელიც წენარად აიღო, შემომხედა, მაგრამ მაშინვე თავი ისტი დახარა და წენარად გავიდა.

მარი მატუუბდა, მარი მასხარად მიგდებდა! მეტად მწარე იყო ჩემთვის ეს ფიჭრები, რომ მათი აღწერა შევძლო.

## თავი VI

მე იმავ დამეს გადმოკედ პროფესიულებას სახლიდგან, მაგრამ უკანასკნელი შემთხვევა მეტად თავს-ზარ დამცემი იყო, რომ ჩემთვის შეუმჩნევლად გაეარა, ჩავარდი შემაგებად და რომ კურის განმაკლობაში თბილისის სააგად-მყოფოში გრძნობა დაკარგული პეტდე.

როდესაც ერთს დღეს თვალი გავახილე, ჩემს წინ ეჭიმი იდგა, რომელმაც სიამოკნებით გამიღიმა და მითხო:

— მადლობა ღმერთს, რომ გამობრუნდი...

— განა ავად ვიუავ?

— მენ საცოცხლეზედ იმედი გადაწუკეტილი მქონდა... მაგრამ ცოტა იღაპარა გე, მოსკენება გეპივრება, რომ სისხლი თავში არ აგივარდეს.

მე განჩუმდი და დავთიქოდი. საშინელს სისუსტესა კორმობდი, ყოველ განმრევაზედ თავს-ბრუ მეხვეოდა. ეჭიმი გავიდა და მე დავხუჭე თვალები, რადგანაც ის სუბუქი შეჭი, რომელიც ფანჯრის მწვანე ფარდებიდამ შემოდიოდა, საკმარისად მაწუხებდა.

მე მომაგრინდა წარსული, რომელიც ჭერ დამსხვრეულ

სურათებად, ნაწევეტ-ნაწევეტად წარმომიდგა, მერე გონებას  
შიძიდავდა ოოქელიძე უფრო შესამნევი საგანი და ჩმ გვა-  
რად გაიზრდებოდა უშესებელს და თავის გარეგნობით შე-  
სანიშნავ მოგონებად.

მე კვრისობდი, რომ გული დამხსშოდა, უოკელისფერს  
თავის დაღი დაქავა და შიგ მაგრა ჩატედილიყო. კვრისობდი,  
რომ უოკელი მასთან მიკარება გულს გმინვას დაწყებინებდა,  
აძგერებდა, მაგრამ უწინდებულად-ვი არა, რაღაც მოტეხილად,  
ურუდ. კვრისობდი, რომ მარიტ თუმცა მაწყეინა, დამამცირა,  
დამჩაგრა, მაგრამ სიუკარული მაინც არ მომსპობოდა და ეს  
კრისობა თუ უწინ მჩქებს ჩანჩქერად გადმოხეთქავდა, ეხლა  
შიგ გულში ბალლამად გუბდებოდა, ტრიალებდა, გასაკვლელს  
გზას კელარ ჰოულობდა... ბრუნავდა, ღელავდა, ჭავთებოდა  
და გრგეინვით აბრუნებდა თვით გულსაც, სისხლსაც და მთელ  
ანექძასაც.

მე მწყუროდა, მწყუროდა მარის ნახვა, როგორც დაკო-  
დეილს, უპარონოდ კელად დარჩენილი, რომელსაც სიცხე  
უმრობდა ტუჩებს და მოასლოკებული სიკვდილი უდაგავდა  
გულ-მუცელს.

დაახ. მწყუროდა მისი ნახვა, მწყუროდა ისე ძლიერად,  
რომ დარწმუნებული ვიყავ, მის ნახვას ჩემი ფეხზე წამოუკრება  
შეძლო, მაგრამ სად იყო?!...

დღეები მიღორდა, შეზღვევდა ერთი მეორეს და გული  
უბრალო წადილით სუსტდებოდა. ექიმება მოსკენებას მიზჩევ-  
დნენ, თოთქოს ეს ჩემ სურვილზედ უოფილიყოს დამოკიდებუ-  
ლი და ჩემსავე უნებურად გაჩენილის გრძნობის შირმანებლობა  
შემძლებოდა.

ჩემი გამობრუნება გვაანდებოდა, თუმცა „ახალ-გაზდობას

და მაგარ აგებულობას უნდა ხელი შეეწყო. სიკვდილს მაანტ ამან გადამარჩინა, მაგრამ ჯანის დაბრუნებას და აღდგენას-კა მოუსვენარი მდგომარეობა უშლიდა. გაიარა რამდენიმე დღემ და ცედარ გაკეღ... მე მინდოდა მარის ამზის შეტყობა იქმნის ძრიელად, რომ სოფიოსაც-კი სიამოვნებით კნასავდი, პროფირუშვასაც-კი სისარულით მიგეგმულოდი. აშენად გერმნობდი, როგორ იწოდა გული, როგორ წენარ-წენარად ითვაზღუბოდა, — მასთან ერთად ვერმონტიდა, რომ მეტ კაჭდლებოდი ამ სოუელს, მასთან დამაკავშირებელი ძალა დუნდებოდა, სა- დათდებოდა.

• მე დავუძახე დედა-კაცს, რომელიც მიკლიდა და შეესტენა. რომ პროფირის სადგურში, სოფიოსთან წერილი მიუტანა და ისიც დამეაბულდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც პასუხად ჩემივე წერილი გაუხსნელი მომივიდა და დედა-კაცმა მითხრა, რომ ვიღაც «ბარიშნა» გამოვიდა, იყითხა, ვისგან იყო წერილი და, რა თქმენი სახელი გაიგონა, უქანეს გადმომიგდოო.

დაწუკეტილი გული მეტად ნაწეალები იყო, მეტად ბერი აუტანა, რომ ამ შემთხვევას განსაკუთრებით რამე ეგრძნობინებინა. გულში მსოლოდ ერთს ადგილს ვიგოძეს რაღაცა დუ- ღილი, რომელმაც დამაღრანა; დამაღრანა; მომაღრნდა პროფი- რის სიტყვები, «შედი სამსახურში, შემწენი საკმაოდ გუაგს» და ეს სიტყვები სმა-მაღლად გაკიმერუ:

შემწენი, ნათესავები, მყვანდა. პროფირი იმათ შემწეობას მიქადდა და აჭა, ამოდენა სანს უპატრონოდ საავადმყოფოში ვიღეოდი, და ერთს კაცს, ერთს სურიელს თავში არ მოსვლო- და დავრდომილისთვის მოწეალებად თვალი მოკელო!... ლმერ- თო, ნეტავი ვიცოდე, ვისაც ამ გვარი წერები აა გამოუვლია,

შეუძლიან. დააფასოს იმ დროს, რად დიარდა მეგობრული სე-  
ლი, სანუცეშო სიტყვა! — არა, არ შეუძლიანთ და მომეტებული  
წილი კიდეც იმიტომ არაან ასე გულ-მაგარნი, ასე შეუბრალე-  
ბელნი.

გული ღელავდა, გმინავდა, უცრემლოდ ტიროდა და ქვი-  
თისებდა და, ერთი, ერთი სულდგმული არ მოაძებნებოდა,  
რომ მისთვის ბანი მიეცა, რომ მისთვის თანა-ეკრძნო...

საჭხი იცინოდა, მხიარულობდა, თვით იქ-მყოფი ავად-  
მუთვებიც-კი პოულობდნენ სასარსარო მასალას და მე?... მუ-  
გამოკლებული გიუავ ამ სურთო მოძრაობას, საერთო მხია-  
რულებას.

ესე ყოფილა დაობლებული გულის მდგომარეობა, ესეა  
მისი იღბალი, კიძახდი მე და კელოდი, როდის მეტირსებოდა  
საავადმყოფოდგან გამოსკლა, რომ გადავერგულიყავ შორს,  
შორს, სადაც კერც აქაური სმა მომწედენოდა, კერც აქაური  
დორუბელი დამენასა. მაგრამ სად, სად წაკსულიყავ, მე თათო-  
ნაც არ კიცოდი....

ა. მოჩიუბარიძე.

(დასასრული შემდეგ)

## მთავარ-ეპისკოპოსი იოანე სამებელი

ქართულის სტამბის საქმე მე-ХVIII საუკუნეში.

მთავარ - ეპისკოპოსი იოანე სამებელი იმ მოღვაწეთა  
გუნდს ეკუთვნის, ოომელთაც თეალ-საჩინო შრომა იტვირ-  
თეს სწავლა-განათლების გავრცელებისთვის ჩვენს ქვეყანაში წარ-  
სულს მეთვრამეტე საუკუნეში და ოომელთა სახელიც უნდა ახ-  
სოვდეს ჩვენს ერს. — იოანე სამებელი უმთავრესი პირია იმ  
განათლებულ სამღვდელოებისა, ოომელიც გარშემოერტყა სწავ-  
ლის მოუკარე მეფე ვახტანგს რუსეთში. სამებელის ზედამსედვე-  
ლობით და შრომით დაარსდა სტამბა რუსეთში და პირველად  
აღიბეჭდა 1743 წ. დაბადების წიგნი, ოომელიც მან დიდის  
შრომით შეასწორა და შეუთანხმა ებრაულ, ასირიულ, ბერძნულ  
და სლავიანურ ტექსტებს. მისივე შრომით დაიბეჭდა თითქმის  
უკულა საეკლესია წიგნები და სხვა სალკომის-მეტუკულა და საუ-  
რო წიგნებიცა. სამებელი ეწერდა ამ საქვეუნო საქმეს არა მარ-  
ტო შრომითა: მან მოახმარა მას თითქმის უოკული თავისი  
ქონებაც. ჩვენმა მწერლობამ თითქმის არა დცის-რა ამ განათლე-  
ბულ და თეალ-საჩინო პირზე და მის მოღვაწეობაზედ და თვით  
საინტერესო ისტორია ბეჭდვის საქმისა სიბნელით მოცულია  
განათლების მძებნელ ქართველთ საზოგადოებისათვის, და სა-  
სურველია, ოომ ეს წევდიადი, ოომელიც გვითარავს ჩვენ წარჩი-

ნებულის ჩვენის წარსულის უწარჩინებულეს მოღვაწეთა, რალ-  
დენიმედ მაინც განიძნელდეს.

ისება სამებელი იყო შთამომაკლობით თავადთავანი, გვა-  
რად ქობულოვი. მისი მამა თამაზი ყოფილა გავლენიანი კაცი  
გახეთში. მას ჭიარებია თანამდებობა დასთ მდივან მწიგნობართ.  
უხუცესობისა, როგორც მოხსენებულია ისების თაოსნობით  
დაბეჭდილს ჭარივის წიგნში. მას ჭულია რესეტში მმის-წუ-  
ლი თავადი ავთანდიშა (იგივე ათანასი) ქობულოვი, ანუ სვა-  
ბულოვი ქართველთა გუარის პოლეის სეკუნდ მაიორი<sup>1)</sup>, რო-  
მელმარ ითხოვა დარჩენილი. ჭარება ისება სამებელისა, შემ-  
დეგ მისის სიკედილისა<sup>2)</sup> და მონაზონი ეფიარებე, რომელიც  
თავისთან ჭყვანდა რესეტში, <sup>3)</sup> აგრეთვე ლიმდი და თინათინი  
იგუმერი და ორი ქალი მმის-წული. სად, რომელ მონასტერებში  
ან სასწავლებელში მიიღო ისებმან განათლება, ჩვენ არ ვიცით  
ნამდვილად; მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს ჩვენ გსე-  
დავთ მას შიომღვიმის მონასტერში, ; ადაც მას უჭირავს სა-

<sup>1)</sup> ცნობანი ქართველთა გუარის პოლეზე ის. ურნალი «ივერია»,  
1882 წ. № 2, სკაცია «დავით გურამიშვილი და მისი დრო» (წერ-  
ლი მესამე.)

<sup>2)</sup> Аpx. Св. Супода, Дѣло 1749. г. № 247; Слип. Попое собр. Зак. Росс. Имп., т. X., № 7545 и 7560. ამ ავთანდილ გურგენის-ძე ქობულოვს ცოლად შეურთავს რესეტში ვახტანგ მეფის უკალმესტერის ზურაბ რატიშვილის ცოლი, რომელსაც ჰუ-  
ლია უკვე ორი შვილი. (II. C. 3. № 7560).

<sup>3)</sup> წარწერა; ეს წიგნი ჩვენის მმისწულის ავთანდილისათვის მი-  
ანდერძებია. ნაშრომი ხელთა მისთა არის. ამ წიგნზე მაკატელი თუ-  
დგან სულ მისი დაწერილია, ჭირნახულია მისი. ქრისტეს აქეთ ჩლმებ  
(1743 წ.) იანვარს კვ. (26). სამებელი იოსებ (ხელ-ჩართულ ას).

პატიო ადგილი ამ განთქმულის მონასტრის წინამდღვრისა. მონასტრების განაგებდა იოსები შემდგა შეფიცედებისა (ისილე სა შომღვიმის წინამდღვანთა ვ. ი. ი. შიომგვიმს. მონ. პლა. იოსელიანი, ივ. 1845 გ., გვ. 56.)

იოსები ეკურთხსა სამებელის კათედრაზე საქართველოში, მაგრამ თვით იოსების კურთხევის დროის შესასებ წინა-უკმოწნობები გვაჭვს. მეოვე კასტანგ თავის წერილ ჩვენებაში, რომელიც მან მისცა სინოდს 21 დეკემბერს 1732 წელს, ამბობს რომ იოსებ ეკურთხსა საქართველოში ოცის წლის წინეთაო, ე. ი. 1712 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც იგი მეფობდა საქართველოში<sup>4)</sup>). მაგრამ შეორე შემდეგს ჩვენებაში (აპრილი 1733 წ.) იგივე კასტანგ აცნობებს სინოდს, რომ იოსებ ეკურთხათ 1705 წ.<sup>5)</sup> პატიო-არქის დომენტის მიერ<sup>6)</sup>); შესაძე ცნობით იოსებ იქმნა

<sup>4)</sup> Apx. Св. Съвода № 256, 1732 г.

<sup>5)</sup> ibidem.

<sup>6)</sup> საინცერესოა ამ პირის თავ-გადასაყალი; დომენტი, ნამდვილი შეა ვასტანგ მეფისა, ნამყოფი რუსეთში, ამორჩეულ და კურთხეულ იქმნა კათალიკოზად 1705 წ.; შემდეგ იყო სპარსეთში (1707 წ.) და მოიცანა შავის უქაზი, რომელის ძალით ცნობილ იქმნა იგი თავად ეკალესისა კახეთშიც.

კახეთის მეფეს იმამკულისანს ეს არა სურდა. როდესაც ვასტანგი რუსეთში წავიდა, თათრებმა კათალიკოზობა მისცეს ბესარიონ რობელიანს, (1724 წ.) დომენტი კეთილად მიღებულ იქმნა სუვამბოლში პატრიარქის მიერ. მაგრამ ისაყ ფაშის დაბეჭდებით დაკუსალებულ იქმნა სულთანისგან ცენედოსის კუნძულზე (1725 წ.), სადაც დაჭყო 12 წელი. 1739 წელს ისევ მოიღო ქათალიკოზობა შავ-ნალირის დროს, როდესაც განდევნილ იქმნა თათრი საქართველოდგან და განაგებდა ეპკლესიას 1741 წლამდის; ბესარიონ საეკალესიო კრების-მიერ იქმნა განდევნილ კათედრისაგან, რომელიც მან უკანონოდ დაიჭირა.

მთავარ ეპისკოპოსად სამებელისა 1709 წ. იმავე დომენტის მიერ. ჩვენის აზრით ეს ცნობანი ისე ურთიერთის წინააღმდეგნია არ არიან, ოფერაციულ პირების შეხედვით გაცს ეგონება. ისები ადგად, ეკუთხის ეპისკოპოსად დომენტისაგან 1705 წ. და 1709 წ. მიღლია სამებელის ეპარქია. პირები ჩვენება ვასტანებისა, დამეარებული მსოლოდ მის მესაირებაზედ, არ არია ისე დასაჯერებელი.

ისების ეჭირა სამებელის გათედრა ეპისკოპოზის სარჩევით 1722 ან 1723 წლამდის. ამ წლებში მოხდა ის არევ-დაოცა ვასტანგ მეფის წელობით, ოომლის შედეგი იურ ლეპ-თა, სპასთა და ასმალთა შემოსვლა საქართველოში. უმთავ-რები მიზეული ამ სამწუხაო ამბავისა ის იურ, ოომ ვასტანგ მეფე და ოუსეთის იმპ. პეტრე დიდმან პირობა შეკვეუს ერთ-მანერთთან, ოომ შეერთებულის ძალით დამსროლ სპასეთი და დაეცირებოთ კასპის ზღვის პირი. ვასტანგმა ღმი აუტეხა სპარ-სეთს და ლეპბის, დაიპყრო განჯა და მისი აუ-მარე. დაიკირა შემასია, სადაც, პირობის ძალით, იმპ. პეტრეს ვარე უნდა შე-მოერთებოდა მას. მაგრამ იმპერატორმა ისარგებლა ამ შემწეო-ბით, აიღო დერბენტი და უგნევ დაბრუნდა რუსეთში. დარჩა ვასტანგი ატეხილ მტერთ შორის, ოომებინც განსაკუთრებით განრისხდეს შასტედ შისთვის, ოომ «დიდი (რუსი) სელმწი-ფე მოცუკანათ...» სპარს-ლეპთა შემოუერთდენ ასმალნი, ოო-მებიც დაჲიარეს საქართველო, ტახტზე დასკეს გამაჯმადიანე-ბული ძმა მეფის ვასტანგისა იქნება და დამეუარენ ქართლში. უს მოხდა 1723 წ. ვასტანგი იმულებულ იქმნა ვაჭცეულ იურ თვასობით რუსეთში (1724 წ.). ამ გვარად ვასტანგმა სამუ-დამოდ დაჲიარება ქართლის ტახტი.

ამ არევ-დარევის დარს სამებელის ტაძრი და ეპარქია

აკლებულ იქმნა ისმალთა და ლეგთაგან და იოანებმან და ტოვა  
თვისი ეპარქია<sup>7)</sup>). და ტოვებულ ეპარქიის მაციერ ითხებს მისცეს  
წილების ეპარქია და მთავარ-ეპისკოპოსის ხარასი იმავ (1722  
ან 1723 წლებში, მაშინ, ორდესაც გახტასნები და მისი შეიღი  
ძაქარი გილეგ საჭაროველოში იუსტინ<sup>8)</sup> და უპერებლად ამ უკა-  
ნასკნელო ბრძანებით.

თუმცა ითხები უოველგან ხელს აწერს სამებლის არქიე-  
პისკოპოსად, მაგრამ, უპერებლია, ორმ სამებელის ეპარქიას იგი  
განაგებდა ეპისკოპოსის და არა ასასიეპისკოპოსის ხარისხით.  
არხიეპისკოპოსობა მან მიიღო მსოფლიო მაშინ, ორდესაც ად-  
გუდა წილების საარქიეპისკოპოსო კათედრაზე 1722 ან 1723  
წელს \*). ეს ცხადათა სჩანს თვით ითხების ჩვენებისგან, ორ-  
მებიც მან მისცა სიხოდს 1733 წელს, სადაც ამბობს, ორმ  
არ არქიეპისკოპოსად ეკურთხა იგი, მას შემდეგ გავიდაო 11  
წელი<sup>9)</sup>). ეგრესე მოწმობს თვით კახტანგი. <sup>10)</sup> საგვირველია

<sup>7)</sup> Аpx. Св Супода № 256, 1732 г. და იქვე იხილუ  
ჩვენება ვახტანგისა.

<sup>8)</sup> ibid.

<sup>9)</sup> მეფე ერებულე მეორეს დროს წილენელის კათედრა ეჭირა ქრის-  
ტიუფორეს მიკროპოლიტის ხარისხით.

<sup>10)</sup> ibid.

<sup>10)</sup> ibid იხ. ჩვენება ვახტანგისა 19 სექტემბრიდან 1733 წ.  
ეს ცხადია აგრეთვე იმ საქმიდგან, რომელიც აღიძრა, როდესაც ითხები  
რუსეთში მივიღა იმაზე—ფილონით შეიმოსოს. იგი, თუ საკუთრივი  
გან ეს საქმე არ არის ინტერესს მოკლებული ჩვენის ეკლესიის ისტო-  
რიის მოყვარეობისა და უემსებს პიოგრაფიულს ცნობებს ხსენებულის  
არქიეპისკოპოსზე, ჩვენ საჭიროდ ვროცხთ, გადრომოვცეთ მოკლედ ეს  
საქმე.—წარსულ საუკუნეში ეპისკოპოსები ჩვენს ქვეუანაში (და თვით

მსოლოდ ის, რის გამო უწიოდებს ითხებ თავისთაგას სამებელ არქიპეპისკოპოსად და არა წილგნელად. წილგნელი კათედრა სამებელისას უდიდესი მაღლა იდგა დიდებით და პატივით. ჩვენ შეგვიძლია ეს საქციელი სამებელისა აკსისად მსოლოდ იმ მოსაზრებით, რომ წილგნელი არქიპეპისკოპოსი ალბათ ცოცხალი იყო იმ დროს, როდესაც სამებელმა დაიკირა ეს უკანასკნელი კათედრა და უსაივუძღვო არ იქმნება ვითვიქოთ, რომ წილგნელი არქიპეპისკოპოსი ერთი იმ სამღვდელო კრებულში, (ამ კუ-

(უსეთისაც) ფილონით იმოსებობნენ და არა საკუოსით; ამ უკანასკნელი სამეცაულით იმოსებოდნენ მხოლოდ არქიპეპისკოპოსი, მიცროპოლიტი და კათალიკოზნი. როდესაც 1732 წ. სამებელი მოვიდა ვახტანგის სახლში და მისლო სინოდისაგან ნება. როვა წირვისა, იგი იმოსებოდა ხსნ ფილონით და ხან საკუოსით. როდესაც სამებელმა სტხოვა სინოდს სამსახურის ადგილი, სინოდში აღმრეს კითხვა, ფილონით შეიმოსოს იგი წირვის დროს თუ საკუოსით. სამებელმა ითხოვა მიცრა და საკუოსი; რადგან არქიპეპისკოპოსობის ხარისხი მაქვსო და საქართველოშიც საკუოსში ვსწირავდიო. მაგრავ როდესაც დაეკითხნენ რომანოზ სამთავრისის და გორის მიცროპოლიტს, რომელიც მაშინ პეტერბურგში იყო, უკანასკნელმან აჩვენა, რომ სამებელი საქართველოში სწირავდა ფილონშით. მაშინ სინოდმან უკან მოსტხოვა სამებელს ორი საკუოსი, რომელიც მან მოაღ. სამებელმან იმწმა ვახტანგ მეფე, რომელსაც სინოდმა გაუგზავნა თავის სეურეცარი დახაკითხველად. ვახტანგ მან გაუგზავნა წერილობითი ჩვენება, რომ ითხები სანამდის იყო სამებელის ეპისკოპოსად სწირავდა ფილონშით, ხოლო როცა იქმნა წილგნელ მთავარ-ეპისკოპოსად, შეიმკობოდა იგი საკუოსითა და მიცრითათ. მიცროპოლიტი რომანოზის წინააღმდევი ჩვენება აიხსნება მხოლოდ მით რომ სამებელი, როგორც ეპისკოპოსი, მართლა ფილონით. სწირავდნენ საქართველოში; მაგრავ ითხები, თუმცა იწოდებოდა სამებელად, გარნა ნაჭივილ კი ის იყო მთავარ-ეპისკოპოსი წილგნელი და არა სამებელი.

ბაში იუნენ ეპისკოპოსი \*)), რომელიც თან გაჭურა ვასტანგს რუსეთში, ას შემდეგ გარდავიდა მასთან. თუ აგრეა, მაშინ ადვილად გასაგებია, რომ ითხები პატივისცემისთვის კურ მი-ითვისებდა წილგნელ არქიეპისკოპოზის ტიტულსა მაშინ, რო-დესაც უკანასკნელი ცოცხალი იყო, განსაკუთრებით, თუ ისიც რუსეთში იმუოფებოდა მაშინ.

წილგნელის კათედრას ითხებ განაგებდა 1729 ან 1730 წლამდის. ამ დროს ასმალებმან იქნე მეფის სიკვდილის შემ-დეგ მოგლეს ზაგვით კახეთის მეფე კოსტანტინე (მამა დუდო-სინი) და აღაოხარეს, ქართლ კახეთი. ამ არებ დარევის დროს განსაკუთრებით დასიანდა მუხრანი და მისი არე-მარე, და წილ-გნელის ეპარქიას დიდი ზარალი მიეცა. მცხოვრები ბევრი ტუგრ იქმნენ წყვანილნი, ზოგნი იმალებოდნენ სხვა-და-სხვა ქართლის გუოსებში. ამ დროს ითხებ სამებელიც იძულებულ იქმნა დაეტოვებინა თვისი სამწყსო აღტუგნილი და გასიზრა-ხა რუსეთში წავიდა.

მიჩნევი ამ განსირასვისა იყო მოწყალების შეცროვება რუ-სეთში დაზიანებულ ექლესიებისა და მოსასტრებების განახლებისა-თვის. აռაკებმან მიაღო კათალიკოზის ბეკარიონისაგან ნებ-რთვა და კურთხევითი გრამატია მოწყალების შეცრებისათვის <sup>11)</sup> და გაემგზავრა რუსეთს 1731 წელს. რუსეთში მას კულებო და მეფე ვასტანგი და მისი გვარეულობა, რამელსაც გული შე-

\*) მიკროპლიტი სამთავროს ქრისტეფორე გარდაცვალა მოსკოვს 1732 წელს, 28 ოქტომბერს თფილელი მიკროპლიტი პავლე (თავადთაგანი), რუსელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი (თავადი), მანგლე-ლი ეპისკოპოსი ალექსი (თავადი), ეპისკოპოსი იონა, ურბანელი ეპი-სკოპოსი ნიკოლოზი (აზნაურთაგანი) (Арх. Синод. 1725 გ. № 192).

<sup>11)</sup> Арх. Синода 1732 გ. № 256.

სტეფანია ქართლის ბედზედ და მრავალი ეპიკურობისი, და სხვა  
სამღვდელო და საერთ შეარნი ქართლიდგან წარსული, ოთ-  
მელნი, უკანელია, შემწეობას მისურმდენ ითაქცის მისის გუ-  
ლის წადილის განსასორციელებლად.

თუ ეთში წარსულს ითაქცის მიწურებოდა დიდ ძალი ამაღა  
33 კაციანგან შემდგარი. <sup>12)</sup> ამ ამაღით ის წავიდა, გროვნებ,  
დარიალის, გზით. <sup>\*)</sup> გზაზედ მას შეემთხვა უბედურობა, და-

## 12) ibid. ქართლი 1734 წ. № 302

\*) თითქმის ამავე დროს ან ცოტათ შემდეგ და ამავე მიზეზი-  
საგამო გარდავიდა მიკროპოლიტი სამთავროისა და გორისა რომანზი,  
გვარით არაგვის ერისთავთაგანი (გიორგის-ძე), ნათესავი ვახტანგ მეფი-  
სა (ბაქარის ცოლი ანა იყო მცვიდრი და მისი). ამ პირს შესამჩნევე  
გავლენა ჭირნდა თანამედროვე ისტორიულ ცხოვრებულებელ. მას ჭირნდა  
ხშირი მისვლა მოსვლა საქართველოს და რუსეთს უნა და, ვგონებ,  
იყო ვახტანგ მეფის ცოლი ციკური აგენტი. პირველად ის ერთად ევორ-  
თარისძე ერისთავთან (ვეზირი ვახტანგისა) 6 კაცით გაიგზავნა რუ-  
სეთში 1722 წ. არხიმანდრიის ხარისხით იმპერატორ პეტრე დიდობინ,  
რომელმაც გაუჩინა მას ფამაგირი თვეში 30 მანათი და საზრდო-სა-  
დგომი ნათლის მცემლის მონასტერში (მოსკოვს) (Apx. Св. Синодა,  
1732 წ. № 256). შემდევ, 1726 წ. ვახტანგმა, (რომელიც მაშინ  
რუსეთში იყო) უკანე გაგზავნა საქართველოში რაინისამე საქმისათვის  
და სექტემბერს 30, 1729 წ. ისევ დარუნდა რუსეთში; 1730 წ. მა  
ისში ისევ გაგზავნილ იქნა საქართველოში; ბესარიონ კათალიკოზენ  
აკურთხა იგი მროველ მიკროპოლიტად. 1731 წ. თებერვალში და ამა  
ხარისხით ისევ დაბრუნდა რუსეთში 1732 წ და მისცეს საზრდო და  
ჯამაგირი. 1733 წ. ისევ ითხოვა საქართველოში დაბრუნება, რადგან  
უანუ ერისთავმან ამოსტევიტა მრთელი ჩეში გვარეულობათ. და 1741  
წ. ისევ დაბრუნდა რუსეთში და მრიკანა გრამოცემი ისერეთის კათალიკო-  
ზის გრიკორისა და ქართლის ქათალიკოსის დომენ-ცისა. საცხოვრებელად  
დაუნიშნეს სერგის ლავრა. შემდეგ ითხოვა და გარდაიყვანეს მოსკოვს.  
(Apx. Синод. 1737 წ. № 232) შემდეგი ცხოვრება მისი მიფა-  
რულია.)

როდის კარი რომ გაიარა, დაუცნენ ჩეჩენელ-ლეგები, გასცარ-ტეს, ქარები დაუსოფეს, ან დაატუვებეს, მმისწული კონდრატი მოუკლეს და თვით ტეკედ იქმნა წაუკანილი. ჩვიდეტი დღე ჰევანდათ იგი ღებულს ჯაჭვით დაბმული. რა გზითა ან როგორ, არ კიცით, მაგრამ ამ ამბავმან მოსკოვსა და შეტერ-ბურღას მაღე მიაღწია. აქ მეტემ და ქართველობამ გულ-მტკიანეულობა გამოიჩინეს და იშვამდგომლეს მთავრობის წინაშე იოსების განთავისუფლებისთვის. ეს იუო მიზეზი, რომ იმავე 1731 წელს, ღებულის თვეს უცხო საქმეთა კოლეგიის მიერ ებრძნა გენერალ-მაიორს ეროვნის, კვარის ციხის განმგეს (კომენდანტ კრესტი ს. კрестა) დახსნა ტყველისაგან სამებელია და მასთანა მუოფთა. ტყველიდგან გამოხსნილი იოსები მიერთა კვარის ციხეს, იქ დამარხა მოკლულის მმის-წულის გვამი და წავიდა მოსკოვს, ორმეტსაც მიაღწია 1732 წლის დამდეგს, და კასტანგ მეფისაგან კარგად მიღებული ცოტას ხნით ცხოვრობდა კორონეულის მონასტერში (პიდვორე). მასთან იუო მღვდელ-მონაზონი ეკთიმე, ორი მღვდელი (ქრის-ტეფორე და გიორგი), ორი დიაკონი და ექვსი მოსამსახურე კაცი.

იმავე წელს სამებელმან სთხოვა რუსის მთავრობას ჯამა-გირი და საზრდო-სადგომი, რომლითაც სარგებლობდა უოკელ-თვის ქართველი სამღვდელოება რუსეთში მუოფ კასტანგ მე-ფის გარდასლვის შემდეგ. აქ საჭიროდ გრაცე მოვიჩსენიო, რომ იმ სამღვდელო პირთა, რომელნიც გარდაჭუპნენ კასტანგს 1724 წელს (რაცხვით 42-ს), სახელმწიფო ხაზინიდამ დაე-ნიშნათ საცხოვრებლად ჯამაგირი, სახლი, საზრდო მონასტრი-სა, ეპისკოპოსებს 150 მანათი წელიწადში და 5 უფრო სა-ზრდო-პურ-მარილი შესაფერი სახლ-სადგომით და შემით, მო-

ნაზონთ უსუცესებთ 75 მანათი და 3 ულუფა, იგუმენებს 50 მანათი და 2 ულუფა, მღვდლებს, მონაზონებს, და მთავარ დიაკონებს 25 მანათი და თითო ულუფა. სულ ამ საგანზე მთავრობაშ გადადგა 3000 მანათი ფული, გარდა სახლისა და საზოგადოისა. ამ ფულიდგან ეძლეოდათ ჯამაგირი იმ ეპისკოპოსებს და სამღვდელო პირებს, ოომელნიც. მიდიოდენ რუსეთში შემდეგაცა, და ეს იყო მიზეზი, ოომ მეთვრამეტე საუგუნეში ძალიან გახშირდა სამღვდელო პირთა რუსეთში გარდასკლა და სშირად სამუდამოდ მათი მუნ დასახლება. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისა და საქართველოის პოლიტიკურ შეკავშირებისათვის. რუსეთში გადასული სამღვდელო პირნი ნებით თუ უნებლივთ სდებოდენ მქადაგებულად იმ პოლიტიკურ მოსაზრებისა და ლტოლვილებისა, ოომელიც ჰქონდა მთავრობას გაგთავის დაპყრობაზე და გახტანდ მეფის მემკვიდრეების დაკარგულის ჭართლის ტახტის დაბრუნებაზე. —

სამებელის თხოვნის ადსრულებას არავითარი ფაზრკოლება არ გადაეღობა წინ, ოდგან ამ დროს (1732 წ.) მოკვდა თავი ქართველი ეპისკოპოსი (მიტროპოლიტი სამთავრელი ქრისტიფორე და ნიკოლოზი) <sup>13)</sup> და მაშასადამე ჯამაგირის ვაკანსია გახსნილი იყო. ვახტანგმან იშუამდგომლა სინოდის წინაშე, ოომ მათი ჯამაგირი მისცემოდა ისახებ სამებელს და ჭემოხსენებულ მიტროპოლიტს ოომანოზს. ჯამაგირის გარდა სინოდმა ერთხელად მისცა სამებელს (თანხმად უკანასკნელის თხოვნისა) 300 მანათი ვალის გარდასახდელად <sup>14)</sup>). 1733 წ.

<sup>13)</sup> Аpx. Сънод., дѣло 1734 г., № 300.

<sup>14)</sup> ibid. Дѣло 1734 г., за № 302

სამებელი იქმნა მიწეული ჰეტეროგენი და დაინიშნა ნეგსევის ლავრაში მღრღველ-მწირავად გარდაცვალებულის გერცოგინის მეკლემბურგ შეკრინის საფლავზედ<sup>15)</sup> და შემდეგ წელში (1734 წ., 22 მაისს) იმპერატორიცის ანნა იოანეს ასულის ბრძანებით სამებელა მიენდო მაღალი ადგილი ნოვგოროდის მიტროპოლიტის გამოჩენილის რუსთ იერარქის თეოფანე ჭროვოპოვის თანაშემწისა (Иамбостникъ) და საცხოვრებლად მიეცა წინამძღვრობა ჰილელ სარისხოვანის იურიევის (ანუ წმინდა გორგის) მონასტრისა, <sup>16)</sup> სადაც იგი სცხოვრობდა კიდეც-სინოდის უქაზის ძალით სამებელს შემდეგის ტიტულით იხსენიებდებ წირვა-ლოცვაში: «О преосвященномъшемъ Архієпіскупѣ Архимандритѣ нашемъ Іосифѣ», ხოლო თვითადურ მიწერ-მოწერაში იმავ უქაზის ძალით მოიხსენებდნ მას ესრუთ: „преосвященному Архієпіскупу Новгородскому, Юрьевского монастыря Архиманриту Іосифу“.<sup>17)</sup>

---

მითო-რა მაღალი სარისხი ნოვგოროდის მიტროპოლიტის თანაშემწისა, სამებელმან არ მისცა თავი განსვენებას. რა-დგან რუსის ეპარქიისთვის ენის უცოდინარობისა გამო ის არ-რაცხდა თავისთავს გამოსადეგად, მან ჭაბუკობივი მსნეობით ხელი მიჰყო საქართველოს ეკლესიის საქმეს. იგი ჰილელად შეუდგა სტამბის გამართვას ქართულ წიგნების დასაბეჭდავათ და მოახმარა მას თავისი ცოდნა და ჭონებაცა და უკანასკნელს.

<sup>15)</sup> ibid. დალი 1734 წ., ვა № 301.

<sup>16)</sup> ibid. დალი 1734 წ., ვა № 303.

<sup>17)</sup> ibid.

უამამდის თავის სიცოცხლისა (1750 წ.) მას არ მიუტოვებია ეს პატიოსანი საქვეუნო საქმე. თუმცა დირი-სახსოვარი მეის-ტორი ჩვენი შლ. ისაელიანი, ომელიანი მრავალი ღვაწლი მიუძღვის ჩვენ განათლებულს საზოგადოების წინაშე, მოიხსენიებს, ვითომ პირველი სტამბა მოსკოვში დაარსა მევე კახტანგის ძემ ბაქარმანი 1740—1741 წწ. და ბუტკოვიც ემარტ-მება ამასა, მაგრამ ეჭვიც არ უნდა იყოს, რომ ეს საქმე ეპუთვის სამებელია, ომელიან სტამბის დაფუძნებას შეუდგა დაცილებით უფრო ადრე ბაქარზედ იმპერატორიცა ანნა იოანეს დორში, და ოლდესაც ბაქარი ჰუიქრობდა მხოლოდ სტამბის დაარსებაზედ და დაბადების წიგნის ბეჭდვაზედ, იოსების უგევე სტამბაც მოწყობილი ჰქონდა და ომდენიმე წიგნიც უგევე დაბეჭდილი. ეს ცხადათა სჩანს ერთის დიდის (873 გვ.) წიგნის (ზატიკის) ბოლო სიტყვაობიდგან, ომელიან გამოვიდა სამებელის სტამბიდგან, და ომელიც ჩვენ კიბრენეთ ზემო ნიქოზის ღვთაების კვლესიაში. \*) თუმცა ამ წიგნში არ არის მოხსენებული, ოლდის დაიბეჭდა (რადგან მას აკლია თავი) მაგრამ ნიქოზის ეპისკოპოზის იგი ჰქონია ხელში 1740 წელს, როგორც სჩანს ორის მისის ხელით ქმნილის წარწერილობისაგან წიგნის ფურცლებზე, და მაშასადამე წიგნი სტამბიდგან გამოსულა არა უგვიანეს 1739 წლისა და თვით სტამბა კი დაარსებულა უეჭველად ომდენიმე წლით უფრო ადრე. ეტუობა, რომ სამებელს ხელი მოუკითხია სტამბის საქმისთვის იმ დროიდგანვე, რა დორსაც ის დაემცვიდრა ნოვგოროდის

\*) ეკლესია ესე, ჩინებული ძეგლი კაც-ხელოვნებისა და მოწამე ძეგლის ჩვენის ცხოვრებისა, დაუდევნელობით ირლვევა ჩვენს ოვალია წინაშე, სამარცვინოდ ჩვენ ულიკოთა თანამედროვთა.

წმინდა გიორგის, მონასტერში.

იურიევის მონასტერში ითხებსა იანა ჭილებია მღვდელმონაზონი ეკთიმე, მკვიდრი ძმის შეილი და ვიზაც ქრისტეფორე გურამისშეილი, ხუცეს-მონაზონი, ოოგორი იგი უწოდებს თავის-თავის იმავე ბოლოსიტუგაობაში. ეს ქრისტეფორე, ოოგორე ეტეობა, მოწყვა სამებელს საჭროველოდგან. სინოდის არხის დოკუმენტებში ის მოხსენებულია სან მღვდლად<sup>18)</sup> სან ბერად. <sup>19)</sup>

ეს უკანასკნელი ქრისტეფორე გურამიშვილი, ოოგორე ეტეობა, იუო მარჯვენა ხელი სამებელისა სტამბის დაარსებაში და წიგნების გამოცემაში. ზემოხსენებული ზატივის წიგნი გასწორებულია და დაბეჭდილი იმა ქრისტეფორესგან, თანაშეწევნით კილაცა გიორგი მღვდლისა ბატონის შეილის დარევანისა, მეფე ანბილის კარის მღვდლის ხუცეს-მონაზონის დაკით ხოსაშეილია და არხიმანდრიტის გერმანისაგან. ჩვენ წფიქობთ, რომ ეს პირი ეხმარებოდნენ ითხებს დაბადების და სსკა საეკლესიო და საერო წიგნების გამოცემაშიაც, შაგრამ მათი სახელი მოხსენებულია მხოლოდ ზემო მოუგანილის ზატივის წიგნის ბოლო სიტუგაობაში.

რადგან ეს უკანასკნელი ზატივის წიგნი თვითად იშვიათდ მოიპოვება საქართველოში და ზემო მოხსენებული ბოლოსიტუგაობა საინტერესოა ბეჭდვის ისტორიის გამოყვალევისათვის, ჩვენ ვალად ვრაცხთ გადმოვსწეროთ იგი უმეტ-ხაკლებოდ. ათვით ეს ბოლოსიტუგაობა: ლოდეს იშვიათდა და განაგებდა ჰეთილად კეთილ მორწმუნე და მშერობელი დიდი ხელმწიფე

<sup>18)</sup> Аpx. Св. Сymb. 1732 г., № 256.

<sup>19)</sup> ibid.

იმშერატოიცა ანნა იოანნესი, მას უამსა იგულსმოდგინა უავ-  
ლად სანატოლმან არქიეპისკოპოზმან, სრულიად კლადუკისა-  
მან(?) და არქიმანდრიტმან იურიისამან (Юрьевский), გასო-  
მდივან მწიგნობართ უხუჯესის ჭობულოვის თამაზის ძემან სა-  
მებელმან იოაკებ და მიბძანა მე უოვლად უღირსესა ბერს გურა-  
მისვალს ხუცეს-მონაზონს ჭრისტეფურისეს სტამბის. გავეთება,  
და გავავეთებინე სტამბა დადისა კულმოდგინებითა და წარგე-  
ბითა საივასიეათა. მაშინ სელვაკ ძალითა ღვთისათა წმინდისა  
ამის ზატივისა ბეჭვდად რუსულს ზატივზედ უნაკლულოდ; რა-  
მეთუ ფრიად მეგეთა, ვინაიდგან განმშენებულიყო უოვლითურთ  
საეკლესიო რიგითა, ვითარცა ბერმნისა და რუსის საეკლესიო  
წიგნები უცორმელად და უნაკლულოდ ერთი იურ. ვინათვან  
ზირველად ჩენს წმინდათ მთარგმნელო კეთილად და უნაკლუ-  
ლოდ ეთარგმნათ, არამედ უამთა ვითარებისაგან მცირედი რაი-  
მე დაკლებულიყო და არა ესრულ ვრცლად იპოვებოდა და მე  
მცირედი რაიმე რუსის წიგნის გამოცნობა და ტიბიკონის მის-  
დომა ვიცოდი, ამისთვის სურვეილ ვაჭმენ ამისა და მოვიღე  
ჭართული ზატივები და რუსის ზატივისა და ტიბიკონს კამოწ-  
მე და რომელი მუხლი სამწერლო და საცისქრო რუსის ზა-  
ტივისა და ტიბიკონს ემოწმა და იქიდამ შეკვები და ასე აღ-  
ვწერთ, და რომელიც ჩენში დაკლებულ იურ, ის რუსის ზა-  
ტივიდამ გადმოგათარგმნინე ბატონის შვილის დარეჭანის კარის  
მღვდელს გიორგის და მისგან ნათარგმნის ხუცეს მონაზონი  
ხოსაშვილი დავით დიდის გულსმოდგინებითა და გამოძიებით  
ჩენს ენაზედ ასწორებდა და სიმართლეს ცდილობდა და საგა-  
ლობელის საძილისპიროს წინწილს არქიმანდრიტი ბერმანე  
სხესრეკედა და ასწორებდა, და დაიბჭდა სრულიად უნაკლულოდ  
რუსულს ზატივზედ თვისის ტიბიკონით, რაც რომ აღდგო-

მიდამ უოცელთა წმინდათ კვირიაკემდინ ეკულესიის განწესება არის თვენიერ სამის დღის სკანძორისა და ორის საგალობელის შეს ზატივისა და მეხუთის კვირის საციხეორ, ამისთვის რომელ ეს ორი საგალობელი ჩვენს ძილსპირზე ზოგი მუტი და ზოგი ნაკლები მოვიდა და ჩვენ კრც მოუმატეთ და კრც დაგავდეთ. სხვა სრულად უნიკლულოდ რესულზედ აღიწერა. ამ ვინც სელად მიიღოთ წიგნი ესე, ღორცისა უოფელეთ დღეთა სიგრძისათვის დიდის სელმწივის ანსა იოანნესიას და არქიეპისკოპოსის ითავსათვის. ეგრეთვე ღვთის სიუკარულისათვის, თუ ამ იმ ჩვენს ნაკეთებ წიგნში მრუდი და ცოორილი ნახოთ, ნუ გაწევთ: თუ შეგვეტყო, არ ვიქმდით, არამედ მშვიდობით მოგვისენებდეთ.»

ჩვენ შეგვიძლია ნამდვიდლ კოქვათ, რომ ამ წიგნის დაბეჭდვით არ გათავებულა სამებელის და ხხვა ზემოსსენებულის პირთა ურობა. მათ მიჰყეს სელი სხვა წიგნებსაც, ზოგი დაბეჭდეს და ბევრიც დასახელდათ დაამზადეს. მაგრამ ჯერ არ ვიცით, რომელი წიგნები დაიბეჭდა ზემოსსენებულს სტამბაში. ჩვენ გვინახავს მხოლოდ უამნი იმავე სტამბილგან გამოსული სამებელის თაღსნობით და უწმიანდესის სინდის შენდობით და კურთხევით; ამ უამნსა აქვთ წერილი სუცურის ასოებით დაბეჭდილი წინასიტუაციას დამბეჭდავთ; აგრეთვე იმავე სტამბაში იოანესის საფასით და შრომით დაიბეჭდა მარხვანი, შარაკლიტიონი, სახარება, რომელიც ჩვენ გვინახავს სხვა-დასხვა ეკლესიებში, მაგრამ წელი გამოცემისა არ გვასსოვს, ხოლო ეს კი კარგად ვიცით, რომ ის წიგნები, (როგორც მოგვითხოვენ წინა და ბლოკსიტუკას მათი) დაბეჭდილ იქმნენ სამებელის მიერ იმავე იმპერატორიცის ანსა იოანნესიას დროს, რომელიც გარდაიცვალა 17 ოკტომბერს 1740 წ., მა-

შასადამე 1735—1740 წლებში. შეს, ე. ი. უფრო ადრე, ვინემ დაარსდებოდა ქართული სტამბა მოსკოვში, მეფის შვილის ბაქარის სასახლეში 1740 წლის დასასრულის ანუ 1741 წლის დამდეგს, რომელშეაც წიგნის ბეჭდვა იწყება არა ადრე 1741 წლისა.

სამებელის სტამბაშ უურადღება მაიქცია მთელი სამღარე-  
ლო და საერთო მოსკოვში მყოფი ქართველთ საზოგადოებისა  
და განსაკუთრებით გახტანგის მეფის ძის ბაქარისა, აღმერთაც;  
ამაგრებისა გამოუჩინეს სტამბას. მოსკოვში, მეფის შვილის  
ოჯახისაში დაიბადა მაღალი აზრი ქართული დაბადების წიგ-  
ნის გამოცემაზედ.

თუმცა დაბადების წიგნი ძევლადგანვე თარგმნილი იუ-  
ჩენს ენაზედ, \*) მაგრამ ერთ წიგნად ძალიან იშვიათად მოი-

\*) უმარესი, რომ პირველად საღმოო წიგნები გადათარგმნილ  
იქნენ მეხუთე საუკუნეში ასურულ ან ქალდეურ ენიგდან; პირველ  
მთარგმნელებად მოხსენებულია მთლილ ქართველი, სცეფანე და დავით.  
მაგრამ დაბადების წიგნი გვლინებთ სრულიად გადმოთარგმნილ იქმნა.  
მთლილ მეთე საუკუნეში ათონელთ მამათ ევთომე და გიორგის მიერ,  
რომელთა განაახლეს და განაუმჯობესეს პირველთ მთარგმნელთა ნა-  
ურობი, გარდამწერელთაგან გარეუნილი. შემდეგ საუკუნეებში სთარგმ-  
ნილენ საბა თეხარელი და ეფრემ. მათგან ნათარგმნი დაბადების წიგნი-  
გავრცელებულ იყო საქართველოში, მაგრამ მეთუთმეტე, მეოქვემდე-  
ტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში, როდესაც საჭიროებითი ლამაღლოთა დამხეცს  
და მით მოისპო უმთავრესი წყარო ჩვენის ერის განათლებისა და თვით-  
საქართველო ნაწილ-ნაწილად დაიყო და დადგა დრო არევ-დარევისა და  
ქვეუნის ცარცვა-გლეხისა ლამაღლ-სპარსელებისაგან და თვით საქართვე-  
ლოს მთავართა და დიდებულთაგან ერთმანეთთან დაუცხრომელი ლმიანო-  
ბისა და შეფოთხებაგან, როდესაც უურადღება ქართველთა წიგნისაგან მი-  
ცემულ იქმნა ხრმალზედ, — საეკლესია წიგნები იკარგებოდნენ, ისე

შოკებოდა საქართველოში და მასთან გადმომწერალთაგან ხშირად განიცემოდა; ზოგი წიგნები ქველის აღთქმისა დაკარგულიც იუო სრულიად, ზოგი არა სრულად თარგმნილი, მაგალითებრ წიგნი ისო ზირაჭისა და მაკვაჭლთა. ფრიად საჭიროდ სხნდა დაბადების წიგნის შემოწმება ნამდვილ დედანთა მიერ და არიანი მისი გამოცემა. ამ საჭიროებას ჰგრძნობდებ საქართველოში ქართველები საუკუნეშივე და ჭირიქობდენ სტამბის დაარსებაზედ უწარჩინებულესნი განათლებულნი პირნი, მაგრამ განუწყვეტილიან ომიანობაშ სპარსელებთან (შაჟ აბასის დროს) და ასმალებთან (რომელთაც დაიწირეს მაშინ სამცხე-საათაბაგო, უმთავრესი ძროლი ქართველთა ერობისა) და შინაურმა არევ-დაუკევამ ნება არ მისცეს მათ სისრულეში მოეცვანათ თავისი განზრასვა. განსაკუთრებით ბევრსა შრომობდა ამ საგანზედ მეტე არჩილი. მან შეკრიბა სამღვთო წიგნები დარცც კერ იპოვა, ათარგმნისა ხელ-ახლა და ზოგნი თვითცა თარგმნა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, ტასტისა დამკარგებლი, იგი გარდავიდა რუსეთს და დაემცირდა მოსკოვში, მაგრამ სიკვდილმან უსწრო და ფუჭად ჩაუტარა მას თავისი ზრუნვა. უფრო ფიცხლად და ერთგულად მოჰყიდა ამ საჭმეს სელი განათლებულ ქართლისა მეფემან კახტანგ ლეონის ძემან. იმავე განზრასვითა მან გახსნა თვის სამეუფლ ქადაქ თბილიში ქარ-

---

რომ ფერც ვახტანგ მე-ექვემდებ, ვერ//არჩილმან და ვერც ბაქარმა ვერ აშოვეს სრული დაბაზების წიგნი. დაბაზების წიგნი, გიორგის და ევთო-მეს მიერ თარგმნილი მე-ათე საუკუნეში დაცული იუო მხოლოდ ათო-ნის მონასტერში, სალგანაც 1849 წ. გარდმოწერილ იქმნა ერთი პირ სიონის სობორის პიბლიოთეკისათვის, ერთი მეგრელის მთავრისათვის და ერთიც იმერეთის მიურნობლივის დავითისთვის. (Опис. ქრემ. თემ. I. იოსელიანი, 1866 წ., стр. 152—153).

თუდი სტამბა, მოიყვანა მესტამბე კლასეთით, მოამზადა უოკელიკე ნიგია და საბეჭდები მასალა და კიდეც სელი მიჰურ დაბადების დაბეჭდვას (1710 წ.) თუმცა ვასტანგის სტამბით მრავალი საკულტო და საერთო წიგნებიც დაიბეჭდა სუცურის და მსედრულის შრიფტითა \*) და დაბადების წიგნის ბეჭდვასაც სელი მიჰურის, მცირე ნაწილი დაბადებისა კიდეც დაიბეჭდა (სუთი წიგნი მოსესი, მსაჯულთა, რუსისა და რამდენიმე ნაწილი საწინასწარმეტებელობისა), მაგრამ, (კიტუგი თვით ბაქარის სიტყვებით) «არღაცა მას სცა უამხან და დოომან ამაომან დაქარგადმან და დაუშო მასცა ეგრეთებ შეუსრულებელად; » ისტო-

\*) სახვა საერთო წიგნებთ უორის მხედრულის ურიფცით დაიბეჭდა მეფე ვახტანგის სტამბაში უკვდავი ქმნილება რესთაველისა — «ვეზნეს-ცუასანი». ჩვენამდე მოღწეულის ცნობებით ამ წიგნის დაბეჭდვამ დაჭიადა ცილობა მაშინდელი ქათალიკოსის დომენცი მესამის და ვახტანგის უორის და ამ ცილობამ ორად გაჟურ მაშინდელი საზოგადოება. ერთი ნაწილი, რომლის მოთავე იყო ასკეტური შექედულობისა და წმინდის ცხროვრების მიმდევარი კათალიკოსი, უწოდდა ამ წიგნსა ჯოჯონეთის კარად, განმხრწელად ზნებისა, ოქსლად უსჯელოებისა და თვით რესტავრაცია — მქადაგებელად და მოციქულად ეუმარისა; რომლისაგამო სდევნიდნენ დაბეჭდილს უორის წიგნს, ხევდენ და სწვავდენ; მაგრამ მეორე, უძრავლესი ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც ეუფორნოდა თოთონ მეფე, წინააღმდეგ ამისა, ღირსეულად აფასებდა პოეტის და მისს ნაწერს და იმ ნაწილებს მის ნაწერისას, რომელც ზედაც მოწინააღმდეგენი უთიოებდნენ, ალლეგორიულად: ხსნივენ. ამავე სტამბაში დაიბეჭდა მხედრულათვე «ქმნელებათა ცნობა» ნახაცებით და ფიგურებით; დაუდომელი და საქრისტიანო მოძღვრება — მხედრულათვე იმავ ვახტანგის სტამბაში ქაიხისროს (ვახტანგის მაგიერ შმართველის) დორის; აგრეთვე დავითი, სამოციქულო, სახარება და წინასწარმეტყველებანი ხუცრად; ამავე სტამბაში ხეცურავ დაბეჭდილი ქმნი ინახება «წერაკითხების

რეულის ბედის ჩატვან გარდააგდო იგი რესეთში, ტახტისა და მეტარგველი და მუნკე დამაცხა სამუდამოდ.

გასტანგ მეფე გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წელს მარტში. თუმცა განათლების მოუკარე მეფემ კედარ მიაღწია გულის წადილსა და დაბადების წიგნის დაბეჭდის ჭარი საფლავში ჩაიტანა, მაგრამ ეს წიგნი თითქმის მომზადებული იყო დასაბეჭდათ, სლავიანურ დაბადებასთან შეთანხმებული, რაც ავლდა სელახლა გადმოთარებინდი. (სლავიანურითეუ) და გასტორებული, თუმცა კი, ორგორც დაკინასავთ, ეს წიგნი მაინც არ იყო სრულად მომზადებული საბეჭდავად, მას კიდევ ბევრი ავლდა.— მოსკოვში მეოთე ქართველი სამღვდელოება დიდს თანაგრძნობას უწევდა გასტანგის გულის წადილს, და როდე-

---

გამავრცელებელ საზოგადოების „წიგნთ საცავში; უამნი არის კარგის მწერლილის ასოებით დაბეჭდილი ნახაცებით მორთული. უამნე არის შემ-დეგი ზედ-წარწერა დაბეჭდილი, რომლისაგან ნახევარი ვერ ამოიკითხება: «აწ მეორედ... ენსა ზედა ი... მეფისა... გამგებელობისა.. მორწმუნის ჰაკუნი... ბაქ(არ)... გაიმართა ხელითა მეს-ცამბე». (გარ)სევან ეოფილი მღვდელი გაბრიელისათა: დასაბამიდგან აქ... კრისტეს აქეთ ჩლ... განსრულდა უამნი ეს თვესა თებერვალსა კც, ქნესა“... «მეორე წარწერა: «მცირე ამა ბეჭდავთაგან მეს-ცამბე მხურვალისა გულით ვმუშავოდ მოსამსახურე თქვენი გიორგი მხარგარი». გარდა მოხსენებული მეს-ცამბე გაბრიელისა და მხარგარი გიორგისა, რომელთაც, ალბად, ეკუთვნიან უამნი და სხვა წიგნები, გრავიურით გამოუვანილნი ნახავნი, ჩვენ ვიცით, რომ უმთავრეს მეს-ცამბეთაგანი იყო კარის მღვდელ მოძღვარი მიხაილ და რამდენიმე ვლახეთით მოსულნი პირნი. მოხსენებული უამნი დაბეჭდილა 1713 წ., მაგრამ სკუმბა მოქმედობდა მრთელი დროს გასტანგის მეფობის განმავლობაში. ეს სჩანს იქიდგან, რომ ჩვენ გვინახავს იმავე სტამბაში 1720 წ. დაბეჭდილი «კურთხევა ეპალუ-სისა და ოდიკისა».

სარ მცხოვანი მეფე მოსკოვიდან წავიდა და ასტრახანში იმულ-  
ფებოდა ავად-მუოვი, ამავე სამღვდელოებამ, ოთვორც სჩანს,  
თვით იტვირთა დაბადების დაბეჭდვა 1736 წ. დამდეგს, ანუ  
1737 წლის დამდეგს ამა სამღვდელოებამ განიზრახა დაბადე-  
ბის და საზოგადოთ საეკლესიო წიგნების ბეჭდვა და ამ საქ-  
მის წარმატება შანდო ითხებ სამებელსა, ორმეტსაც თავისი  
სტამბა უგეგმი გამართული ჭქონდა იურიევის მონასტერში (ნოვ-  
გორიდის გუბერნია) და, ოთვორც ეტერბა, ამ მინდობილე-  
ბის ძალით გამოისმო იგი მოსკოვში, სადაც ჭიდიქობდენ  
სტამბის გამართვას. ამით აისწება, ორმ ითხებ სამებელმა  
1737 წლის დამდეგს (თებერვალს), ოდესაც მეფე ვახტანგი-  
გილე ცოცხალი იყო და იმულფებოდა ასტრახანში, სთხოვა  
უწიმ. სინოდის არზითა, ორმ ნება მიეცათ მოსკოვში წასკლისა  
(წიგნების საბეჭდავათ. ა. <sup>20)</sup>) თუმცა სინოდი თანაუგრძნობდა  
ამ საქმეს, მაგრამ სამებელს მაინც ნება არ მიეცა მოსკოვში  
წასკლისა. მიზეზი ამისა იყო ის გარემოება, ორმ ნოვგორო-  
დის მიტროპოლიტი, გამოჩენილი რესეტის იერარქი თეოფა-  
ნე პროკოპოვიჩი, ორმლის ვიგარად იყო სამებელი; ამ დროს  
ცოცხალი არ იყო (ის მოვედა 8 სეკდ. 1736 წელს) და მის  
აღავას ჯერ არავინ იყო დანიშნული; სამებელი მარტოდ მარ-  
თავდა ეპარქიას. ამიტომ სინოდმა განაჩინა სამებელის არზი-  
ზედ: «შეიცადოსო, სანამ არქიერი დაქანიშნება ნოვგოროდ-  
სა.» <sup>21)</sup>.

ოდესაც მეფე ვახტანგი გარდაიცვალა და მისი შვილი-  
ნაქარი მოსკოვს დაბრუნდა, ამ უკანასკნელმა ენერგიულად მოჰ-

<sup>20)</sup> Аpx. Сънод. за 1737 г., № 230.

<sup>21)</sup> ibid.

კიდა ხელი იმ კეთილ საქმეს, ორმეტიც მუდმივი გულის წა-  
ღვლი იურ განსეუნებულის და განათლებულის მისის მამისა,  
ორმეტის ბეჭი კელა, თითქო ანდერძით, გარდაეცალ მას. ბა-  
ქარმა განიზრასა დაბადების წიგნის დაბეჭდვის გარდა სხვა სა-  
ეკლესიო წიგნების დაბეჭდვაცა, მაგრამ მას უნდოდა საბეჭდა-  
ვათ საჭირო სარჯი ეტვირთნა თვით რუსეთის მთავრობას და  
ამ განზრასვით 30 სეპტ. 1737 წ. შეიტანა განცხადება უწმ.  
სინოდში, მეფის შეილი სთხოვდა სინოდს ნება-რთვას საეკ-  
ლესიო და სამღვოო წერილის წიგნების დაბეჭდვისას სამეც-  
ნიერო აკადემიაში, და განუმარტებდა, რა დიდათ საჭიროებ-  
და ეკლესია საქართველოსი ამ წიგნებში და სხვ. <sup>22)</sup> ამასთან  
ბაქარმან წარუდგინა სინოდს სია დასაბეჭდი წიგნებისა, ორ-  
მეტშიაც მოხსენებული იყო: სასარება, სამოწიჭულო, დავათ-  
ნი, უამნი, ლოცვანი, კონდაკი, გურთხევანი, ტიბიკონი, სვი-  
ნიაქსარი, თთვენი (სადღესასწაულო), პარაგლიოტონი, მარხვა-  
ნი და ზატივი (ამ სიაში დაბადების წიგნი არ ვიცით რიც  
გამო არ არას მოხსენებული, თუმცა უკრებულია, ორმ-  
რამდენიმე თვის შემდეგ ამის დაბეჭდვის ნებაც დართულ იქ-  
მნა) <sup>23)</sup>. სინოდმა ბაქარმის თხოვნა გაბინეტს მინისტრებისას  
გარდასცა განსასილებელად და ნება-დასართავად (ალბათ მისთვის,  
ორმ ბაქარმი თხოვლიბდა, ორმ ის წიგნები დაბეჭდილიყვნენ  
სამეცნიერო აკადემიაში და ზედ დაურთო შემდეგი თავისი აზ-  
რიც: «თუ მის უდიდებულესობის (ახნა იორნოვის ასულის)  
უქაზით... მოხსენებული ჭართული წიგნების ბეჭდვის ნება და-

<sup>22)</sup> Полное собрание Законовъ Росс. Имп. томъ X,  
1737 г., Указъ отъ 23 Октября, № 7411.

<sup>23)</sup> ibid.

როგორ იქმნება, საჭიროა ჩამოერთვას მოხსენებულს მეფის შეიღვის ბაქანს ანუ უმთავრესსა ქართველთ (რუსეთში მუღლს) სამღვდელო პირთაგანსა ხელ-წერილი, რომ მოხსენებული (ქართული) საღმრთო წიგნები დაბეჭდილ იქმნენ სლავიანურ საეკლესიო წიგნთა თანა სრულის შეთანხმებით, რადგან ეს წიგნები მიღებულია მართლმადიდებელის აღმოსავლეთის კულტის მიერ.»<sup>24)</sup>).

მინისტრების კაბინეტმან, რომელმაც განიხილა ეს საქმე და სინოდის აზრიც, მოხსენებულ წიგნების დაბეჭდილებულ ნება დართო და სინოდის აზრიც მოიწონა. (23 ოქტომბერს, 1737 წ.), მაგრამ თავის მსრით საჭიროდ დაინიასა, შესამოწმებლად დაბეჭდილ ქართულ წიგნებისა სლავიანურ წიგნებთან, მოეპოვებინათ მცოდნე პირი ღრმვე ენისა. და ამისთვის მისწერეს სინოდსა, რომ მან შემდეგში უოკელგარი ღონის-ძეება ისმართს და გასსნას სასწავლებული ქართულის ენის შესასწავლად, რომ «შემდეგში ამ ხალხისთვის საჭირო და სასულიერო წიგნები მათ დედა-ენაზე დაბეჭდოს»<sup>25)</sup>.

მაგრამ მინისტრების რეზოლუციიდგან არა სჩანს, მთავრობამ თვით იკისრა იმ წიგნების გამოცემა სამეცნიერო აკადემიის სტამბაში, თუ მსოლოდ ბეჭდილებულ დართო ნება. ეს კი ვიცით ნამდვილად, რომ ქართული წიგნები დაბეჭდა რუსეთში მეოთე ქართველთა საზოგადოების მეცნიერობით და საფასით. მაშესაბამე მოხსენებულ კაბინეტმან მინისტრებისამან ანუ სრულიად უარი უთხოს ბაქანს მთავრობის დასმარებაზედ, ან თუ იმ რეზოლუციის მაღით მთავრობამ თვითვე იკისრა ეს საქმე,

<sup>24)</sup> ibid.

<sup>25)</sup> ibid.

უქმენდია რამე შემდეგ გარემობამ ისევ დაარღვია მთავრობის პირები გარდაწყვეტილება. უფრო მისაღება აზრი, რომ მთავრობამ შემწეობაზედ უარი უთხრა ბაქარს. ეს უნდა უოფილიყო მაზეზი იმისა, რომ ეს საჭმე თითქმის ოთხი-სუთა წლით შეჩერდა. საჭირო იყო, საშუალება მოეპოვათ და სტამბა გამართათ, გაწერონილი მესტამბე ეშოვნათ. საჭირო იყო ეგრეთვე რიგიანად შეესწორებინათ ჩვენი საეკლესიო წიგნები სცვა ორიგინალებთან და გაესწორებინათ; ამას თხოულობდა, როგორც კუჩკენეთ, თვით სინოდიცა.

ჩვენ მანც ვფიქრობთ, რომ ბაქარი კიდევ იმედს არ ჰქარგავდა, რომ რუსის მთავრობა შეეწერდა მოხსენებული წიგნების გამოცემას და ერთი თუ ორი წელი შეაძლეომლობდა ამაზედ მთავრობასთან ამ საჭმის გასარიგებლად და მსოლოდ მაშინ, როდესაც სრულდად იმედი დაჭერგა მთავრობის დახმარებაზედ, მაშინ შეჭყარა რუსეთში მუოფი სამღვდელოება 1739 წ. ან 1740 წლის დამლევს და ჭეითსა მათ გასწორდეს თუ არა სამღვთო წიგნი და რომელთან შეთანხმებით. რა საშუალება მოუპოვონ დასაარსებელ ქართულ სტამბასა, ვის ჩაბარდეს გასწორება და სხ. კრება, როგორც სჩანს დაბადების წინა-სიტუაციიდან; რომელიც დაწერილია თვით ბაქარისაკან, დათანხმდა, რომ საბჭოდავი ქართული წიგნები გასწორებულ იქმნენ უკეთეს დედაქებთან შეთანხმებით და ბეჭვდის საჭმებაბარი იმავე პირს, რომელიც იმავ სამღვდელოებამ გამოირჩა სამი წლის წინედ—მთავარ-ეპისკოპოსის იოსებ სამებელსა-ში გვარად ეს მძიმე ტეკირთი ეგანზრასვითა და ნებითა უოკელთა ჩვენთა სამღვდელოთა, როგორც იტუკის თვით ბაქარი, სამებელს დაედო.—კრებას საფუძველი ჰქონდა, რომ ააჩნდა ამ მძიმე საჭმისთვის ეს პირი. იგი იყო გაწერთილი სა-

დორთო წერილში, და ამასთანავე სტამბის საქმეც გარეად იცოდა. ოციორც ზემოდ მოვიხსენეთ, მას სტამბა უკვე გამართული ჰქონდა ნოვგოროდში და რამდენიმე საეკლესიო წიგნები კიდეც დაიძესდა ამ სტამბაში; ამ შზა სტამბაში უნდა დაბეჭდილიყო მოხსენებული საეკლესიო წიგნები და თვით დაბადებაც.

ბაქარმან იმავე წელს (1740) აცნობა სინოდის კრების გარდაწყვეტილება და სთხოვა იოსებ სამებელის გარდაუვანა მოსკოვში; ეს უნდა უფლილიყო მიზეზი, ომ სამებელი მართლა აქმნა გადაუვანილი, სინოდის უქაზით, მოსკოვში 1740 წ., ზნამენის მონასტერში, ომლის არქიმანდრიტად იგი ითვლებოდა სიკვდილამდის (1750 წ.)<sup>26)</sup>.

მოსკოვში გადმოუკანილი იოსებ სამებელი და ემკვდრა, კუონებთ, თავის მონასტერში (ЗНАМЕНСКИЙ) და თან გადმოიტანა ნოვგოროდიდგან თვისი სტამბა და წამოიუვანა მესტამბებიც. ამ უკანასკნელთაგანში დაბადების ბოლო სიტყვაობაში მოხსენებულია მხოლოდ ზემო-ნახვენები მღვდელ-მონაზონი ჭრისტეფორე გურამიშვილი, ომლიც საქართველოდგან გადმოჰყავას გახტანგ მეფეს და 1734 წლიდგან სამებელის კრებულში იმუოთებოდა ყოველთვის, ოციორც მოვიხსენიეთ ეს ჭრისტეფორე იუო მარჯვენა ხელი იოსებისა სტამბის გამართვაში და წიგნების ბეჭდებაში, ნოვგოროდში. ბაქარმან ისარგებლა იოსების სტამბითა დაბადების წიგნის დასაბეჭდავად; მაგრამ რაღაც ამ სტამბაში უნდა დაბეჭდილიყო სრული დაბადება და სხვა მრავალი საეკლესიო წიგნები, საჭირო იუო, სტამბა უფრო რიგიანად გაეწყოთ, ვიდრე მანამდე იუო, ამისათვის საჭირო

შეიძნა მეტი საშუალება, კარგი ასოჭბის მოჭრა და ოგიან მოხელეთა შოვნა. ბაქარმა ეს საქმე სრულიად მთანდო სამებელისა და ალბად აღმოუჩინა მას საშუალებაც; სტამბას მისცა ადგილი თავის სასახლეში, მოსვოვის ახლო მუზიკ სოფელ კუსკატეში<sup>27)</sup> (Всесвятскѣ), ანუ, ორგორც ჭართველი უწოდებენ, — სკუსენწევაში. სამებელმა ალბად შეამსო თავისივე სტამბა და უფრო კარგად მოაწყო იგი უოველივე საჭირო ნივთებითა და ამ გვარად გაიმართა ახალი განვარგებული სტამბა ზემოხსენებულს სოფელში, იმპ. ანა იოანნოვნის გარდაცვალების შემდეგ, მაშასადამე, არა აღრე 1770 წლის დამლევისა. ეს ის სტამბაა, ომელისაც ბურევი, იოსელიანი, და სხვანიც ბაქარის სტამბას უწოდებენ. ომი ეს სტამბა იგივე სამებელის სტამბაა, ომელშიაც დაიბეჭდა ზემოხსენებული წიგნები ნოვგოროდს, სჩინს იქიდგან, ომი ასოები და შრიფტი დაბადების წიგნისა, ომელიც ამ სტამბაში დაიბეჭდა, სრულიად ჭვავს სიდიდით და ღირსებითაც ნოვგოროდში გამოცემულ წიგნების ასოებისა და შრიფტს. მოხსენებული დაბადების წიგნის წინასირევაობაში მოყვანილია: «აწ ნებითა ჩვენითა მიზეზ ექმნა სტამბისა ამის გამართვასა და გაკეთებასა არჭივისკონის იოსებ სამებელი და ფრიად ჭამვრა განზრახვითა და ნებითა უოველთა ჩვენთა სამლევლოთა».

სტამბის მოხელედ იუგნენ: მოხსენებული ქრისტეფორე გურამიშვილი, ომელისაც თანა-შემწედ მისცეს კარის (ბაქარის) მღვდელი ფილიპე<sup>\*</sup>) და დავით (გვარით, გგონებით, დვანოვი).

<sup>27)</sup> Буткова. Матеріалъ для исторіи Кавказа, т. I стр. 504, примѣч. 4.

<sup>\*</sup>) სინდოს არხოვიდამ 1753 წ., № 314 სჩინს, ომი ეს ფრლის დაბადებული ჭალაქ დებარს 1703 წ. გვარია პეტროვი იმერუ-

სტამბის ზედამსედველად და მეურნედ იყო დანიშნული გასტანგ მეფის მდივანი მედქისედეპ (ახლისშვილი) გავკასიძე, ომედიც, ვგონებთ, იყო ეგრეთგვე კოროქემტორი. უკელაზედ კითხალი ეჭირა არქიეპისკოპოსს სამებელსა, ომედიც განაგებდა სტამბასა; ბეჭდვის საქმეებში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მეფის შვილი ვასუშტი, ორგორც სხანს მისი ბოლო: სატუკალბიდამ (memento), ომლითაც თავდება ამ სტამბიდამ გამოსული დაბადების წიგნი.

### III. შორთანია

(დასასრული შემდეგ)

თვისმ, ყოფილა შოთავეში მღვდლად იოსებ სამებელთან, 1744 წ. დაქვრივებულა; 1750 წ. გაჟულია ყოზლიარში სამებელს, რომლის სიყვდილის შემდეგ წასულა საქართველოში 1752 წ. შემდეგ წელს კურთხეულა ქათალიკოზის ანგლიის მიერ არქიმანდრიტულად; ქუთათელი ქათალიკოზის პეტარიონის მიუცია მისთვის არქიერილა ხლაფისა, და როდესაც მისი ეპარქია თათრეს დაურბევიათ ისევ, რუსეთში წამოსულა გრამუტებია: იმერეთის მეფის ალაქსანდრეს, იმერეთის კათალიკოზის ბესარიონისა და აფხაზეთის ქათალიკოზის დომენიკისითა. მისცეს საცხოვრებლად პეტროვის მონასტერი (მოსკოვში). გარდამცვალა 1782 წ., რუსეთში. (Arch. Синод. 1782 г., № 257.)

## სოფლისთვის თავ-დადებული.

ამბავი ციმბირის ცხოვრებიდგან:

(რუსული):

თუ თქენსა გგონდათ, რომ ჭკეუანაზედ მხოლოდ ერთი

სიმართლეა, — კოუნის აზრით — ძლიერ სცდებით. მისის აზ

რთ სიმართლე — ერთი ყდა არა — თრია და იგინი მუდამ ერთ-

მანერთს ეწინააღმდეგებიან.

მართალია ეს აზრი თუ არა — ჩემი საქმე არ არის: მე უბრალო მომთხოვობელი ვარ და რაც უნდა ვსოდე, რაც გინდ ბევრი ვამტკიცო, რა ნაირი საბუთებიც უნდა მოვიყვანო ჩემის აზრის დასამტკიცებლად, — ჟ. კოუნი მაინც თავისის არ დარ შლის და ჩემს წინააღმდეგ თავის შორადს. გამოცდილებას წა- მომიუქნება. ლრის სიმართლის არსებობის დასამტკიცებლად.

აა სწორედ ამ ჰირადს გამოცდილებაზედ» უნდა მო- გითხროთ თქვნ მეოთხეულნო.

იურ დრო, როდესაც კოუნისაც მხოლოდ ერთი სიმარ- თლე ჭირდა, როგორც საზოგადოდ უცელას. იგი იმ დროს იურ მხარეული, უკეთოვის მოცინარი, « თვალთაგან ნაპერ- წევალთ მფრქვებელი და თმა მშენივრად გადავარცხნილი; ასე რომ მასთან მიახლოების უმაღლ უკეთოს ქალს ტანში ჟრუან- ტელი დაუკლიდა ხოლმე. სმ გვარს ცხოვრებაში, იურ კოუნი.

უნივერსიტეტში და პირველ სანებში ქალაქ ან...ში სამსახურის დროს. მაშინ კოუნისათვის მსოლოდ ერთად-ერთი სიმართლე არსებობდა და ეს სიმართლე მდგომარეობდა მეცნიერებაში და თავის სამსახურის, ანუ მოვალეობის სკინიდისანად აღსრულებაში. მან კარგად იცოდა, რომ წიმშირში უოველი საქმე გულაცრუებით და ხშირად უკუღმართად მიჰყავდათ და მისი გულითად სურვილი იყო უოველისუეროვანებისა, უკელა უკუღმართობის მიზეზი «ფესვანანად» ამოეფხურა; უკელან და უოველთვის კეთილისათვის მიუწა გამარჯვება და ბოროტება დაეთრგუნა. მისი პატიოსანი და სიმართლით საკუ გული ჭიეთქავდა მკრდში უკელასათვის და უკელაზედ ნაკლებ კი თვითონ მისთვის, რადგანაც, იგი თავისთავზედ მსოლოდ იძღვობდა კუჭირობდა, რომ თავის სიცოცხლე დაეცვა სხვის სასარგებლოდ.

«ახალი ცოცხა კარგზდ დაჭირესო; » «დააცადეთ ცოტის ხანს, ეგეც გაიხეხება და გული აუცრუვდება...» ამბობდენ გამოცდილი პირი კოუნიზე, როდესაც ჭედვდენ, რომ იგი უოველთვის და უკელან დაუუთვნებლივ თავ-გადაგლევილი მიეჩქრებოდა თავის მოვალეობის აღსასრულებლად. ხმირად ისე გაერთობოდა ხოლო რომელიმე ავად-მუთოვისას, გლეხებში, რომ ავიწუდებოდა სადილი, კახშამი და ძილიც კი!..»

მართლაც რამდენიმე ხნის შემდეგ კოუნი გამოიცვალა და ცოტა არ იყოს, გულიც აცრუა; მაგრამ მიტომ კი არა, რომ «მოსწერინდა» თავისი საქმე, — არა მან იპოვა, აღმოაჩინა ამერიკუ სიმართლე...»

და ამ მეორე სიმართლის პოვნაშ იგი ჩამოახმო, მერთა და ფერი დაჭიდო, წელში მოღუნა, ნადვილიანი და თათქმის ბოროტიდა გაჭიადა; თმა ჩამოჭისცვიდა, თვალები დაჭინდდნ

და ამიტომ ქალებისათვისაც აღარ იყო უწინდებურად სათავეა-  
ნებელი... იგი ერიდებოდა საზოგადოებას და მთელის დღეო-  
ბით სასლეში იყო დაკეტილი; ზოგნი კიდეც ამბობდენ, რომ  
ლოთობას მიჰყო სელით; მაგრამ ტურილი გამოდგა ეს უპა-  
ნასკნელი ხმა, რომელიც (ხმა). გაავრცელა წამლების შემზაგმ-  
ბელ-გამსუიდებელის (აფთექარმა), რომელსაც კოუჩინმა დიდი ჭა-  
რიძა გარდაასდევინა წამლების ძვირად გასუიდვისათვის...

## II

ზამთარი იყო საშინელი, თოვლიანი; ერთის კვირის გან-  
მავლობაში განუწევეტლივ ჭროდა „სივერკო“ (ციმბირის ქა-  
რია, რომელიც ჩრდილოეთის უინულების ზღვიდგან მოჭრის) და გარედ ისეთი საშინელი ყინკა იდგა, რომ სიცივე 40°  
(ორმოც გრადუსამდე) მიაღწევდა. კოუჩინი თავის სამეცადინო  
თახასში იჯდა და გულ-მოდგინედ კითხულობდა გამომძიებლი-  
საგან შედგენილს და წარმოგზავნილს ოქმს „ნაპოვნს, უსა-  
თუოდ გაუინულს გვაქჩე,“ რომლის გასაჭრელად იგი მეტრე  
დილით აპირებდა წასვლასა. ღლების მკურნალმა იცოდა რა კო-  
უნის დაუზარებლობა საჭმეში, სშირად მოიაკადმურივებდა ხოლ-  
მე თავსა და თავის საჭმეს მას მიანდობდა. კოუჩინიც ჩვეულებ-  
რივ ერთგულად აღასრულებდა მისდამი მინდობილს საჭმესა.

— საკვირველია! ასე გადაწევეტით რად იწერება: „უკველად  
ჭაუინულია!“ გაიფიქრა კოუჩინმა და იპკუეულად გაიქნა  
თავი.

იგი ამდენად იცნობდა ციმბირის, ცხრავებას, რომ ადგი-  
ლად შეუძლო გაეგო საიდუმლო აზრი უკელა ამ გვარის დქა-

დალდების, ა არზებისა და სხვათა, ოომელინც ხშირად არ ეთნებმებოდენ სიმართლესა. თვისი გამოცდილება და სხვა-და-სხვა გარემოება და შემთხვევანი თითქოს არწმუნებდენ მას, რომ უკეთა ამ გვარი ქანცელარიული მჭერ-მეტყველება უოგელ-თვის უკუღმა უნდა მიღლოს კაცმა, რომ ნამდვილს სიმართლეს მძაფნოსო. მან ერთხელ კიდევ გარდაიკითხა ქალალდი, შეკრიბა თვისი უკეთა საჭირო იარაღები, ქალალდიანად ჰატარა უუთ-ში ჩააწუო და დაიწუო ჩაის სმა.

კიდამაც კარები დააკაკუნა.

— ხომ არ დაგიშლით? იყითხა კიდამაც ჩუმად, სრინწიანის ხმით.

— არა, არა, შემოდით!

ფრთხილად შემოვიდა, თითქოს კატა თაგვს ეპარებაო, გამო შძიებელი, რომელიც იღიძებოდა მთელის თვის მელურის სახითა.

— ჩაის მიირთმევთ?

— გასლებით! თქვენც მიირთმევთ?

— დიდის სამოვნებით! და გამომძიებელი სამოვნების ნიშ-ნად ფეხის თითქბზედ შედგა და ჭუსლებით იატაკზე დაპრა-გუნა. მკურნალმა (კოუინმა) დაასხა ჩაი.— მაშ ხვალ დილით ადრე აპირებთ გამგზავრებას? იყითხა სტუმარმა, თითქოს უმიზნოდ, ასიტუკის მასალად და თან ჩაის დაუწუო კოკზით რეგა.

— ინათებს თუ არა — მაშინვე... რაზედ იყითხეთ?

— არაფერი... ისე შემოგელ შესატურიბად: ერთად არ ემჯო-ბინება წასკლა. მეც განთადისას ვაპირებ წასკლას.

— ბატონი ბოძანდები! რასაკვირკელია, ერთად სჭობია, დაეთანება კოუინი — მკურნალი: — შორს არის?

— ა—ა—ა—ა! ასე — ოომოც კურსტამდე იქნება, მეტი არა, გაუგრძელა სიტუკა გამომძიებელმა.

— ექვსი საათის განმავალობაში სომ მივაჭრ? — იკითხა მკურნალმა.

— რა—ა—ა-საკვირველია, მივაჭრ!

— მაშ ძალიან კარგი, უძლობესია თვალ-ნათლივ მივიღეთ, თორემ ეხლა დღე მოკლეა და გვამის გაჭრაც ძნელია, ჭითქვა მკურნალმა. გამომძიებელმა ოცნორზაც დასამშვიდებლად გაი-ქნივა ხელი.

— ააა, თქმა დალოცვილო! რა გაჭრა უნდა გვამსა; ღმერთს გეფიცებით ტუუილი შრომა იქმნება! ისეც ბეჭრა შრომობთ, თითქმის მეცოდებით კიდეც; — გამომძიებელმა გულ-შემატვი-რობა გამოიხატა სახეზედ: ღმერთს გეფიცებით, მეცოდებით! აქ საქმე ცხადია — გაუინულა! გრძაში გაუინულა! სომ ხედავთ ო-გორი უინგაა! და ამ სიტუაცით ტრიმომეტოზედ მიუთითა.

— «აულია, აუწაპნია და ჭმალავს!» გაუელგა თავში კოუინს და კინაღამ ხმა-მაღლივ არ წამოიძასა, რასაც გულში ზრახვი-და გამომძიებელზე.

— ცარიელი წესია, ფორმაა, განაგრძო გამომძიებელმა. სოფლელი ქურდი იყო! ვინ იცის იმაზედ რამდენმა საქმემ გა-დარა ჩემს სელში, — მოსკენება არა მჭონდა მისგან! რამდენჯერ ციხეში იჯდა, მაგრამ... გამამტუუნებელის საბუთების უქონ-ლობით... გამომძიებელი მოიღრიცა და თითო გაატულა მუნა. — გამოჩენილი ქურდია! არ გაგიგონა — სმინქოვი!...

— საპურობილის ლაზარეთში მუკანდა ერთი ვიღაც სმირ-ნოვი, ჭითქვა მკურნალმა.

— სწორედ, სწორედ ის არის! შაჟგრემანა, მაღალ-მაღა-ლი. ჰირველი აკაზავია! დაუმატა გამომძიებელმა. — დაიჭერდენ თუ არა საპურობილები, — მაშინათვე მოჭუკებოდა ოხვიას: ოჭ, ოჭ... ლაზარეთშიო! იქიდგან კიდევ, გამამტუუნებელის საბუ-

თქმის უქონლობით განათავისუფლებდენ სოლმე. სომ იცით როგორი სასამართლოებიცა გვაჭვს ამ ჟამად... და გამომძიებელმა თვალით ანიშნა მკურნალისა.

— ხუ თუ ისეთი მოსერსებული იყო, რომ ვერაფერი გასამტუუსებული საბუთი კერ უპოვეს? ჭკითსა მკურნალმა.

— რას მიძინებთ? — ასტატია! ღმერთს გეფიცები წამდვიდი ასტატია! სელიდგან ცხენებს აცლიდა, მიჭიკანდა და კიდევ წმინდად, უდანაშაულოდ გამოდიოდა... შე-სა-ნიშ-ნა-კა-არამზადა იყო!.. მკურნალმა დაიძინა იმ აზრით, რომ გვამის გაჭრა და გაჩხრევა სიფრთხილით და დაკვირვებით მოესდინა...

### III

გაყინულის აარტიისტისა ანუ ასტატი აკაზაკის გვამია იპოვეს მიურუებულს ტუში, პატარა მინდოოზედ; მაგრამ გამომძიებელის გასკარგულებით წინათვე გადმოიტანეს ასლო სოფელში და დასვენეს ერთის გლეხის სახლის ოთახში. სალამა მოტანებული იყო, როდესაც მკურნალი და გამომძიებელი მოვიდნენ აქ. კოუინი გულში ჭირუებლიდა გამომძიებელს, რომელიც სუთის საათის მაგიერ, — რაის წასკარზედ-და გამოე-მგზავრა და გზაზედაც, ცხენების გამოცვლის დროს, დიდ-სანს ემუსაითებოდა გლეხებს, კითომ და რაღაც «საქმეებზედ». ამასთან, ორმოცის კერსტის მაგივრად ორმოც-და-ათზედაც მეტი გამოვიდა მანძილი ჭალაჭიდამ ამ სოფლამდინ.

— მნელია დაბეჭითებით თქმა ამდენია, თუ ამდენი, იმართლებდა თავს გამომძიებული: ეს სომ ფოსტის გზა არ არის სასოფლო საურმე შანა-გზაა და კინ გაზამავდა ამას? ზოგი

ამდენს ამბობს, ზოგი იმდენს.

— მაგრამ ამ გვარი საქმის კანონის მიხმარება სრულიადაც არ აკმაყოფილებდა კოუინსა, ორმეტიც უფრო-და-უფრო რწმუნდებოდა გამომძიებელის ცბიერობაში, ორმ მან განგებ მოიკანა საქმე ისე, ორმ ბინდამდინ არ მისულიაუკნენ სოფელში, ორდესაც ადგილია შეკდომა.

კიდერე გამომძიებელი საჭირო განგარგულებას მოახდენდა, მკურნალმა დაწყეო სიარული შეტარა ნათელს ოთახში, ორმეტშიაც ჩამოსდენ. კოუინის კორდა, აქ იჯდა დაღვრებილი და ღრმად საფიქრებული მასშინმელი, საღი და მაგარძს აგებულების სამოცის წლის შოსუცი, ორმდის სახის გამომეტეველებაც ჰქენასა და შეუდრეველობას ამტკიცებდა.

— შენია ეს თოვი, ბიძავ? ჭკითსა უეცრად მკურნალმა, თვითასაც არ იცოდა კი რისთვის და მიუთითა ხელი კუთხეში მიუდებულს თოვზე.

— ჩემი გასლავთ! ურუდ მიუგო მოსუცმა. მკურნალს მოსწენა, გითომ იგი შეკრთა და სასე შეაცეალა.

— შორს მიჰყავს ტყერა-საფანტი?

— კარგა შორს მიჰყავს. ზარმაცად უზასუსა მოსუცმა და სასე-შეკრმუხნილმა იჰკიანად დაუწყო თვალიერება მკურნალსა. მკურნალმა ამ გარემოებას არავითარი უურადლება არ მიაქცია და თითქმის კიდეც დაავიწყდა ზემოხსენებული საუბარი, ორდესაც შევიდა მიცვალებულის ოთახში, — იქ უგეე დახვდენ ფერ-შალი, რამდენიმე გლეხი მრავალმარტლად, ორმეტნიც ტანთ ჭხდიდენ მიცვალებულსა. მკურნალმა ადგილად მოისაზრა, ორმ ეს მიცვალებული საპურობილის საკადმუოთოში ოდესიდაც მუოვი სმირნოვია.

— სწორედ ის არის, უთხრა მკურნალმა გამომძიებელს: —

მეცნობა! მე კარჩენდი ამას საავადმყოფოში...

— დიას, დიას! ოცნერლაც დამარწმუნებელის კილოთი წარმოსთქვა გამომძიებელმა. — უკალასგან ცნობილი ქურდა! კინ ცცის ოამდენჯერ იურ დაჭრილა!

— ბევრის ცოდო ადეს კისერზედ. წაიღუდუნა კილამაც.

— ბევრს აუტირა დედა! ამორსკრით დაუმატა მეორემ.

მეცნიალი თვალს ადეგნებდა ტანისამოსის გასდის წესადა, როდესაც სრულიად გაჭირდეს, — ჭირთხა ფერშალისა:

— აქვს ოამძე ნიშანი ტანზე?

— სრულიად არაფერი! მიუგო ფერშალმა.

— რას ბრძანებოთ, რა ნიშნები უნდა ჭირდეს! — ცხადია — გაუინულა! თითქოს წულით წარმოჭისთქვა გამომძიებელმა: საჭირდლად მიდენილა, გზაზედ სიცდეს მოუსწორია და გაუუნავს. ჰესუსიურის სასჯელის მაგირ — ზეციური მიუღია. — ცლასკებმა მოწიწებით ჰირჯვარი გამოისახეს.

— მაშ არაფერი საეჭვო არა ყოფილა — რა ადგილზედ.. არა ფერი ნიშნები? ჭირთხა მეცნიალმა გამომძიებელს.

— ნიშნებია!? ერთი წერტილიც არა ყოფილა!.. თოვლიმ ეგდო და სხვა არაფერი...

კამომძიებელი ფანჯარასთან დაჯდა და მოემზადა ლქმის დასაწერად.

«წელიწადი»? უკანიასა გამომძიებელს მეცნიალმა, ომელიც გულ-მოდგრძნებით სინჯავდა ცხედრის გვამს. — შესედვით — ღც-და-ათზე მეტი უნდა იყოს, ჲა? მიუბრუნდა გლეხებს.

— დიას, სწორედ მაგ ხნისა იქნებოდა. დაჭისთანხმდენ გლეხები:

— «ტანია?» (სიმაღლე) გააგრძელა მეცნიალმა კარნახობა.

ფერშალმა დაიწყო ზომვა ცხედრისა.

— დორი ალაბი და შვიდი გოჭა!» დაიძახა მკურნალმა და გამომძიებელმა ჩასწერა.

— ძალ-და-ძალ მოკლულის კაცის ნიშანი ხომ არა აქვს-რა? სთვა სტჩაროდ გამომძიებელმა და დაპირა «არა»-ს დაწერა.

— მოითმინეთ! დაიძახა მკურნალმა და დაუწყო სსეულს ხელით სინჯვა თავიდამ ფეხებამდინ.

— თითქოს არაფერი აქვს... ამა გადააბრუნეთ! უთხრა მან ფერშალსა.

ფერშალი იდგა მკურნალის პირ-და-პირ, მიცვალებულის მეორე მხარეს. მან ასწია თავისკენ მიცვალებულის სსეული და, გადაავლი რა ოდნავ თვალი, წარმოსთვა — „არაფერი აქვს!“

კოუინს თითქოს სრულიად დაკარგა იჭინეულობა: იგი თვითონაც ჭიდიქობდა, რომ სმირნოვი მართლა გაყინულია და ამიტომ თავის მსრივ სსეული ცოტათა ასწია, თვალი გა-ჩაავლო ზურგის ერთს ნაწილს და, როგორც ფერშალმა ჭისთვა, — მართლა კერაფერი შეამჩა. გაუსინჯა თავი, პეტა, მაგრამ ეს ნაწილებიც მთელი აღმოუჩნდა.

— აი, ხომ ჭისდავთ, უპეულად გაუინულია! მსიარეულად წამოსტა გამომძიებელი: ამას რაღა გაჭრა უნდა! უმჯობესია ამ ტუუილ-უბრალო ვაი-ვაგლასს თავი დავანებოთ და სასლში გაემუროთ.

— მართლა და რაღა გაჭრა უნდა ამისთანა უპეულ მკგდარსა. წაიდეულუნეს გლეხებმა პირჯვრის წერით.

— ცხადად ჭისჩანს გაუინულა! მთქნარებით წაბუტბუტა ფერშალმა.

— კოუინს თავის ეპები ხელახლად გაუცხოებდა, მაგრამ თანაც ჭიდიქობდა: მართლა და გაჭრა მსოლოდ ფორმალური

წესია. ოქმში შეიძლება ჩაიწეროს: გაესჭიროთო. ხომ ხშირად თავდება საქმე ამ რიგად.

— ძალიან გვიანდება... როდის-და უნდა მივიღეთ სახლში! ჭისთქვა თითქოს თავისთვის გამომძიებელმა.

— არა?! გაჟერებით და თან გაფარებით იკითხა მკურნალმა.

— ეჭ, არაფერი! და გამომძიებელმა გაიქნია სელი.

მკურნალის ეჭებმა ესლა ისევ წინანდელი მიმართულება მიიღეს. იგი ხელახლად მიუახლოვდა მიცვალებულის გამს; გაუსინჯა ფერდები, გვერდები, კისერი—უგელაფერი მთლად აღმოჩნდა... ნაძღვილად გაეინულა! გაუელგა თავში.

— აბა პირქე გადასრუნეთ! უთხრა მან ფერშალს ისე, „სკინიდისის განსაწმენდად.“

ფერშალი გაწითლდა და სელი არ გაასმირა.

— გადასბრუნეთ მეთქი, დაუუკირა მკურნალმა.

ფერშალმა სელების კანკალით ასწა გვამი და გადათვალიერების შემდეგ ჭისთქვა: არაფერი აქვსო!

— გადასბრუნეთ სრულებით! და თვით მკურნალმა ორივე სელით ასწიგა და გადასბრუნა გვამი. პირქე. თიოქო უკელაზერი გარებად მიდიოდა.

გარედ დაბინდებული იუო და გამომძიებელიც ფანჯარის ჩამოჭიარებოდა.

— ოჭ, რა რიგად ბნელა! ჩამოდექით ფანჯარიდამ, უთხრა მკურნალმა გამომძიებელს, რომელიც უკმაყოფილოდ ჩამოეცნდა ფანჯარას.

— უკელაფერი მთლადა აქვს, მართლა. ამბობდა ჩუმად კოფინი და თან ათვალიერებდა გვამსა: — უკელაფერი, მხოლოდ...

უკრძალი გაწითლდა და გამომძიებელი წამოსტა და თითქმის უსტურად ჩამოეყარა ფანჯარას.

— მომითმინეთ! დაიღრია მკურნალმა. — ჩამოდექით!... ეს რა არის? უჩვენა თითით ბეჭები, ხერსემალთან.

— მუწუკა დაწყლულებული! ურუდ, თრთულვით უპასუხა ფერმალმა.

— რათ, მუწუკი! მკურნალი დაიღუნა და გასინჯა თითით: მუწუკი კი არა ეშმაგები არ გინდა! ეს ხომ ჭრილობაა!! უკულას თავ-ზარი დაეცა. გლესები მიღეულმენენ გედელთან, გამომძიებელმა სელები გაშალა და გაწითლებული ბუტხუტებდა: აბა, აბა სად არის ჭრილობა? ფერმალი ურუდ ასკელებდა მ-უდიში: მკურნალი მეტის აღელებისაგან გეღარძიულის ჭედავდა და აღარა ესმოდა-რა. მას მზად ეჭირა სელში დანა და სუვა იარაფი.

— დიახ, კარგი გაუისული კასლავო! დაიღრია გამარჯვებულის ხმით და ამოილო ტყვია: — ა! უგელანი, მკურნალის გარდა, მეხ-დაცემულსაგით გაქვავებულნი იდგნენ.

— სად არის პერანგი, მომიტანეთ? ღრმალებდა კოუინი და თვითონ გამოარჩია მკედრის პერანგი ტანიამოსიავან და დაუწუო სინჯა. პერანგზედ მსოლოდ პატიარა ნატევიარი ეტეობოდა.

— მე... ღმერთს გეფეცებით... არ ვიცი... გერ მოვათიძებდი... დაუღლულებდა გამომძიებელი.

— კერ მოიფერებდით!? დაცინვით გააჭავრა კოუინია: ეს-და სულ ერთია, გეღარ ინებებთ საჭმის ჩაიფუნებას!...

გამომძიებელი ერთბაშად განრისსდა და მოედი თავისი რისსა გლესებზე ამოანთხია: — დამაცადონ, მე ვაჩვენებ იმათ! მე უკულა იუერს აღმოვაჩენ... ვის არის აქ? და დაუცემოდა

უქნევდა თითს, თვითანაც არ იცოდა, კისა. მე... რას მიზრ-  
ძანებთ?!... მკულელობა ყოფილა და მე კი არ ვიცოდი! ჭავაა  
შენი! გმადღობთ, რომ აღმოაჩინეთ ჟეშმარიტება... ჭავაა  
შენი!! ღრიალებდა გამომძიებელი უთავბოლოდ.

— «დმერთო, დაგვისცენ და დაგვითვარე!» პირვერის წე-  
რით ამბობდენ გლეხები.

## IV

მკურნალი ცხენების მოლოდინში გაციებულსაკით დარბო-  
ლა ერთიას კუთხიდამ მეორეში და უსაროდა, რომ გამომძიე-  
ბელმა კერ მოასერსა საჭმის «ჩაიგარცხვა». მართლა-და უკეთ-  
რომ სკინიდისაინად ასრულებდეს თავის მოკალეობას,— რა-  
გარეთ იქნებოდა მაშინ: ქვეუასზე არც მკულელობა იქნებოდა,  
ადარც ავაზავობა და ცარცუა-გლეჭვა, არც მტრობა ურთიერთ-  
შორის... რა ბედნიერება იქნებოდა მაშინ ქვეუასზედ!...

გამომძიებელი გარედ, დერეფანში გლეხების ელაპარაკებო-  
და რაცდაზედაც; ოთახში, მკურნალის გარდა, ისევ ისე მდება-  
რედ, სასე-შეჭმუსკნილი იჯდა მოხუცი და ღრმად რსრავდა...  
მკურნალი ამას კერ ამჩნევდა, რადგანაც ფრიად იუო გატაც-  
ული და გასარებული თავის გამარჯვებით.

— პატონო, პატონო!... ნუ დაგვილუპებ! შეჭმულავდა უცრად  
მოხუცება.

— კისა? რათა? გაგეორებით ჰყითხა მკურნალმა.

— ჩვენ, სოფელს, ნუ დაგვილუპებ! ნუ აგვაოსრებინები... და-  
იყარე როგორმე ეს საჭმე... საჩივარში ჩაგვაგდებენ და აგვი-  
გდებენ სულ ერთიანად და ამ სიტუაციით მოხუცი დაუცა მკურ-

ნაფლის ფეხ-ქვეშ.

— შენთან რა საჭმე მაჭვს, ბიძიავ, რას ლაპარაკობ! გავირ-  
კიბით და შეკრთომით უთხრა მკურნალმა და თან ჭიდვილობ-  
და მოხუცის წამოუწენებასა.

— ნუ დაგვდებამ, ბატონო, შეგვიძრალე! განაგრძობდა მო-  
ხუცი ურუდ და მიწაზე ემხობოდა მკურნალის ფერხთა წინა-  
შე: — ნუ დაგვდებამ! ეს საჭმე — სოფლის საჭმეა... დათვარე  
როგორმე!...

მკურნალი მისვდა, რომ მას ჭითხოვდენ საჭმის «ჩავა-  
რცხვას» და საშინლად აემდვრა გული.

— მე არ შემიძლიან ავაზავობის და ბოროტ-მოქმედების  
შეწყნარება! მაგრამ შენ რა შეაშა ჩარ აქ?

— სოფლის გულისთვის, სოფლის მაგივრად გთხოვ, გა-  
ნაგრძო მოხუცმა: სოფლის საჭმეა ეს; ხომ გესმის... სო-  
ფლებმა გადასწუკირა ეს საჭმე სიმართლით... და ვისაც წილი  
შეხვდა — იმან შეასრულა... მკურნალს პირველად ესმოდა ამ-  
გვარი დაპარაკი და საჭმე: ესმოდა და კურც ესმოდა მოხუცის  
დაპარაკი.

— ვინ არის მკულელი? იყითხა მან, თითონაც არ იცოდა  
რისთვის.

— სოფლები ვერავის დაუსახელებს მკულელსა თვით ღმრთის  
მტერსა... სოფლებმა მოჰყვდა წილის-ურით, გესმის?! იგი  
ჟურდი იყო და ავაზავი; უკულას აწესებდა, მოსკენებას არავის  
აქცევდა...

მკურნალი თან-და-თან უფრო განცემულებაში შევიდა.

— თქვენ შეგეძლოთ გეჩივლათ, გაუბედავად წაიძურიბუტა  
მან და, თთქო შერცხვაო, — გაწითლდა.

— ვისთან უნდა გვეჩივლა? ღმერთთან თუ? მწარედ წარმო-

სთქვა მოსუფრა: აკი ვიჩივლეთ; გსცდილობდით, რომ ეს საჭ-  
მე: სე უბედურად არ დაბოლოვებულიყო, მაგრამ მაინც ვერ მო-  
ვასერსეთ-რა და აი, ღმერთი გაგვიწყრა! რამდენჯერ წარუდგინეთ  
მთავრობას! დაატუსალებდენ და გამოუშვებდენ ისევ! ის კი  
უფრო და უფრო უარეს აკაზაკობას და ოინებს ჩადიოდა.

მკურნალი თრთოდა მეტის ალელებისაგან.

— გამომძიებელი კეთილი კაი! განსაგრძო მოსუფრა, თითქმ  
ამით უნდოდა მკურნალის გამსწევება. ასი მანათი შევკრიბეთ  
სოფელში, როგორც იურ, და დავიყოლიეთ...

— ჴოოო — ოო! გააგრძელა მკურნალის, არაკი შეიტყო, რა  
მუცლის ტკივილიც ჴქანდა ამ საქმეში გამომძიებელს.

— არც შენ დაგროვებთ ისე, შენივისაც შეგვრებო, საჩქა-  
როდ წარმოსოქვა მოსუფრა. მოსუცს ეგონა, რომ მკურნალის  
სმის გაკრძელება ამას ნიშნავსა: უკანასკნელს პერანგს გაუა-  
დით, ოღონდ სოფელს ნუ დაჭრუშამ, ნუ დააწიოკებ კლეხებსა!

— მე... მე... მე არავერი მთხდა, ხემს სკინიდისას რადი  
კუიდი მე! და ხან უკითლდებოდა და სან წილდებოდა მკურ-  
ნალი მეტის ალელებისაგან: ადექ, ადექ, კარგი!...

— ჴეს მეტს მოგათთმეთ, ესგმწებოდა მუსლ-მოდრეებთ  
მოსუცი: ცოლ-შვილს დაგაირავებთ და თქვენ კი დაგაკმაყო-  
ფილებთ, აღონდ ნუ დაგვღუშამ, ბარონო.

ეს-ვი მეტის-მეტი იურ კოუინისათვის. იგი თრთოდა,  
განკუდებდა, თავი ურატრატებდა და თავ-ბრუ ესპერდა.. რა-  
ღაც ასალი აზრი ერთსა და იმავე დროს ანათებდა და აბნე-  
ლებდა მის გრძებასა... მისი აზრები ირეოდენ უთავ-ბოლოდ:  
იგი მშად იურ ქვითინა დექტურ... ერთი-ორი წამიც და თვით  
შედგენილი აქმიც ლუკმა-ლუკმად იქცეოდა; მაგრამ თითქმის  
განგებ, ამ დროს გამომძიებელი შემოვიდა ოთახში.

— რა ამხავია აქ? წამოიძახა შემოსულის უმაღლეს გამომძა-  
ებულმა მეცნიერის სმით.

მკურნალი გრანს მოვიდა. მოსუცი მარდად წამოსტა  
ფეხზედ.

— საჭმის დაივარვას თსოულობს საზოგადოება, დაიწყო  
გამომძიებულმა. უცრად მიიღო მხატვრების კილო და განა-  
გრძო; რა კენათ, ღარიბი სალსია და სასამართლო უფრო  
გააღარიაკებს და არაიერი-კი არა გამოვარა, რადგანაც მკურნალის  
სოფელი არასოდეს არ გასცემს. საზოგადოება, სომ იცით  
კრთა-კი წამოიძახას ვინმებ და... მაინც-და-მაინც რა იქნება;  
ბოლოს საჭმე მაინც ისევ დაიწყებას უნდა მიეცეს და სხვა  
არათერ!

ამ სიტუაციას მკურნალი სოულიად გადარიეს:

— ბეჭრი მიიღეთ «დამატებითი» მიღებულის ასის მანათის  
გარდა ამ შეამდგომლობისათვის? მკასედ ჭითსა მან გამომძიე-  
ბულსა და თვალი თვალში გაუყარა.

— მე... მე... რას მიბრძანებთ? რა ასი მანათი... განა  
მე ჭრთამი გამოვართვი ვისმე? და მიუბრუნდა მოსუცის.

— მე არაიერი შემიტუვი! უპასუსა მოსუცის.

მკურნალმა შექსედა მოსუცის და, რა შეამჩნივა ბოროტე-  
ბით და მძულვარებით საკვე სახის გამომუტყველება — უნებურად  
თვალები დაბლა დაუშეს. იგი მისვდა, რომ მოსუცი უგელა-  
ფერზედ უარს იტყოდა. გაფითრებული ბოლოთასა სცემდა  
ერთის კუთხიდამ მეორისკენ და უკრადღებას არ აქცევდა გა-  
მომძიებულის ბურდღუნს. ნუ თუ მონაწილეობა უნდა მივიღო  
მეც ამ უსკინიდისო საჭმეში? გაუღვა თავში... მაგრამ მაში-  
ნათვე მძულვარებით შექსედა გამომძიებულს და ჭითება გულში:  
ღმერთმა ნუ ჭია!... რა ღმერთი გამიწყრა, სხვის მაგივრად

წამოკესერე ამ საჭმის შესამოწმებლად! ნანთბდა გულში. ბოლოს მძულვარებით გააფურთხა და,—გამოვიდა—რა დერეფნში საჩქაროდ, დაინახა ცხენები, მაგრამ, თათქოს განგებ აგვიანებით, ცხენები არავის მოჰყვანდა. იგი ისეგ შებრუნდა ათასში და ჩემად ბოლოთის ცემა დაიწყო.

გამომძიებელი ბუტბუტებდა ვიღაც «მტრებზე», რომელიც, ვითომ, ცუდს ხმებს ავტოცელებდნენ მასზედ. ბუტბუტებდა, რომ ემე შემძლო მტრების სამართალში მიცემა, მავრამ ავტოცენის გერიდებით, და სხვა ამ გვარებს. ბოლოს მან, ვამთინინა გასაოცარი გამომძიებლის ნიკი: აღლო ხელში აქმი, გადაათვალიერა და ვიღასაც დაემუქრა. შემდეგ, დაინახა ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთთა შორის ტუვია,—აღლო ხელში და ვაქანა კუთხეში მიუყდებულ თოვისაკენ.

— გამოადგა! დაიღრიალა მან უკრად საშინელის ხმით და თას აზმანებდა ტუვის თოვის ტუჩსა; თვალები მხეცსავით გაუბრწყინდენ: შემოწხედეთ და! სწორედ ზედ-გამოჭრილია!

— მკურნალი უნებურათ შეჭიდგა და შეამცირა, რომ ტუკია მართლა საკვირვლად გამოადგა თოვსა.

— ხომ გამოადგა, ჟა! ღრიალებდა ისეგ გამოშმიებული და შემდეგ მიუბრუნდა მრავულს:

— უა, შენ, წერო! შემოჭიდე, ჟედავ? შენი საჭმა განა? თვალების ბურალით ჟეითხა მან.

— მოხუცი მკვდარსავით გაფათრებული უძრავად იდგა.

— გამოტუდი, ჟსოჭვა! დასჭუროდა გამომძიებელი მოკუმშელის მუშტებით მოხუცს—ჟსოჭვა შეთქვი!

მოხუცი მდუმარებდა, თათქოს რაღასაც ჟიფრობისო.

— ეხლავე ბორკილებს შეგიური სელ-ფეხში! დასჭუროდა გადად გამომძიებელმა.

— შემჩერე! მძიმედ და თავაზიანად უპისუხა უცრად მოსულა: — შემიყარე, მაგრამ რის გულისათვის? ჩვენ უველა ერთის ყალიბის თოვები გვაჭვს და, მაშესადამე, ტუკიებიც. ერთის ყალიბისა გვეჭმნება.

მცირეს სანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— მართლა! ნაღვლიანად წარმოქსთვეა გამომძიებელმა: აქაური თოვები სულ ერთის ყალიბისანი არიან, აი დასწულვლის წმინდა.. მაგრამ ცოტას სხის შემდეგ იგი ისევ გაცხარდა და დაუწეო ტუკიას სინჯვა. მას მოაგონდა, რომ ციმბირები მოხადირენი ხშირად საკუთარს ნიშინს ასმენ სოლმე თავის ტუკიებია.

— მოიცა დაიღრიალა მან, რა შეამჩნია ტუკიას ნიშანი: — ამა მიჩვენე შენი ტუკიები, მიუბრუნდა მოხუცს.

მოხუცი ხელასლად გაფითოდა და ადგილიდამ არ დაიძრა.

— მოიტა მეტე ე ტუკიები, მიჩვენე, სადა გაჭვს? დრიალებდა გამომძიებელი და ათვალიერებდა ოთახის კუთხებს და, რა შეამჩნია ერთს კუთხეში ღურსმანზედ ჩამოვიდებული უბრალო სანადირო ტოპორაკი, — ჩამოქცელივა იგი და წამოუყარა იქმდგან ტუკიები. აღმოჩნდა, რომ უკელას გვაშიდგან გამოღეულის ტუკის ნიშნები ჭრონდა.

— კა-ა-ა-ა შე-შე-შე ქორქები! დაიღრიალა მან, გახარებულმა. — ბორკებულები ამას! ჩქარა ბორკებულები!!

როდესაც მკურნალი დაბრუნდა სოფლიდგან (მარტოდ წამოვიდა), იგი გამოაცილა მოხუცის სათესავთა წივილ-კივილმა და ტირილმა; მოხუცი მდებარებდა, მხოლოდ სამუშ-სამუშ ჰირჯვარს იწერდა..., რაღაც ბურუსმა აუხვია კოუის თვალების ასე რომ გზაზედ იგი თითქმის კერათერს ჭედავდა. სამა-გიროდ სმენა ისეთი იურხილი და გამახვილებული ჭრონდა,

რომ როდესაც ქალაჭში შემოვიდა, მას თითქოს ცხადად ესმოდა ტირილი და ღრიანწელი მთელის სოფლისა...

## V

ამ ამბის შემდეგ მკურნალი ისე ნაირად გამოიცვალა, რომ თითქმის უკეთა. მისი მცნობინი შეხვედრის დროს უნებურად ეკითხებოდენ: „ა, ამბავია თქვენს თავს?“ ან „როგორ ბოძანდებით?“ თეთრ-წითელი სახე მკრთალად შეეციალა, წელში მოიღუნა, აღარავისთან ადარ დაიარებოდა; მსოფლიდ თავის საავად-მყოფოში ატარებდა მიულს დღეებსა. მესუთეს დღეს იგი ჰოლიციის სამმართველოში დაიბარეს რილასიც შესამოწმებლად, კოუინი. მივიდა, საჩქაროდ შეისრულა რაც საჭირო საქმე იყო და, აიღო თუ არა ჭედი წამოსასვლელად, — უკრად შეაუენა იგი ჰოლიციის ბოჭაულმა.

— იცით, ბატონი მკურნალი, რომ ის მოსუცი დამსაშაბდე არ გამოდგა? უთხრა მან თითქმის ჩუმად უკრში: მკელე-ზი სულ სსკა არის.

— როგორ თუ სსკა? გაკვირვებით ჭერითსა მკურნალმა.

— დიაღ, სსკა არის: თვითონ მოვიდა და გამოტეუდა უკალაივერში. გარდა ამისა, მოწმებმაც აჩვენეს, რომ მოსუცი რამდენიმე დღის განმავლობაში სასლიდგან ეზოშიც არ გამოსულა.

მკურნალმა თითქო რაღაც სიამოვნება და შეღაეთი იგრძნო, თითქოს გულზედ მოეშეალ.

— მაშ ტევის ნიშნები? იკითხა მან.

— ეგ სრულიად ადგილად იხსნება: მკელე-ზი თოვე მოსუ-

ცისგან უთხოვნია. უკელათერი ნათლად სჩანს, ას, ამა წაი-  
გითხეთ! და ამ სიტუაციით ბოქაულმა სელში მიაჩეხა «საქმე.»

მკურნალმა წაიკითხა მოწმების ჩვენების ჩამორთმევის ოქ-  
მი. „გლეხი, აბოლი ცხრამეტის წლისა, რომან შეტროვი  
თავის ნებით აღიარებდა თავისგან გლეხის სმირნოვის მოკვლას.  
თოვი მას სთხოვა მოსუფას სანადიროდ, ჩაუსაყიდვა სმირნოვს  
ტუში და მოჭკლა იგი, რადგანაც უკანასკნელის ჯავრი ჰქონი-  
და ცხენების მოშარვისათვის. ბოლოს ნათქვამი იყო, რომ  
მკვლელი არავისგან არ იყო დარიგებული და დაკალებული,  
თვითონ, თავის ნებით ჩადინა სსენებული მკვლელობა. ბოლოს  
მობლაჯნული იყო „რომან შეტროვი.»

— რას იტუკით ამზედ? ჭკითხა ბოქოულმა.

მკურნალმა სმა არ გასცა, მსოლოდ მხრები აჩვინა.

— იპინეულობთ, განა? მეც, სწორე გითხრათ, როგორ-  
დაც ეჭვში ვარ, მოსდება სოლმე. მე შევიტუ, ვითომც მოქლეს  
საზოგადოებას გარდაეწყვიტოს და წილის ურით მიენდოს ერ-  
თისათვის ბოროტების შესრულება, მაგრამ რას იზამ, როდე-  
საც მკვლელი თვითონ აღიარებს თავის დანაშაულს და მოწმე-  
ბიც ამტკიცებენ... მაინც ჰსჯობია კიდევა კეითხოთ დამნაშა-  
ვეს.

— აქ შემოიუკანეთ ტუსჩლი! უბრძანს ბოქაულმა ყარაულებს.

შემოიუკანეს ასალ-გაზდა გლეხი, მაღალის, გაწყობილის  
ტანისა, ფერ-მკრთალის, დალაგებულის სახით. იგი შემოვი-  
და თამამად, თავისუფლად; მსდალობა ამას სოულიად არ ეტ-  
კობოდა, როდესაც სხვა დამნაშავეთ ეს უკანასკნელი. თვისება  
ძლიერ ემჩნევათ სოლმე. მის თვალებში მშვიდობიანობა, გულ-  
გეთილობა და ლმობიერება ისე ცხადად გამოჭსჭირდენ, რომ  
გასაოცარი იყო მისი, ცისები ფოინა.

— გამიგონე, შენ! მიუბრუნდა მას ბოჭაული. მართალს აბ-ბობ შენ? სხვის დანაშაულს ხომ არ ჰყისრულობ? ხომ იცი ეს დიდი და საშინელი ცოდვა.

ტუსალს სახე ცოტათი შეეცვალა, თვალები მოუსკენრად აუხამხამდენ; იგი თითქოს შეკრთა; მაგრამ მალე მოვიდა გონის და დამშვიდებით ჭითქვა; —ჩემი საქმეა და ჩემი ცოდვა!

,სულაც არა!“ გაუელვა მეურნალს თავში.

— აა, მეურნალი ამბობს, უთხრა უფროსმა ტუსალს, რომ ეგ საქმე საზოგადო საქმეათ, შესრულებული წილის ხდომით.

მეურნალი თვალს არ აცილებდა ტუსალს. ახალგაზდა გლეხი შეკრთა, სახეზედაც შესამჩნევად შეიცვალა, მხოლოდ ხმა-ღა იყო მისი დამშვიდებული; მაგრამ თვალები კი, თეალები, მიურობილი მეურნალისადმი, ბრწყინვდენ საშინელის და ღრმა მძულვარებითა.

— ააა, ბატონო, საზოგადოებას რას ერჩით; ეგ სულ ტუუილი მოგონებაა... საზოგადო საქმე სულაც არ იუო ეგ... მე ჩემის ნებით შევასრულე ეგ საქმე! ნუ ჰრეგთ ტუუილად! ჭითქვა უბედურმა.

იგი წაიუვანეს საპურობილებით.

## VI

თუმცა მეურნალი სცდილობდა გართობასა, მაგრამ კერ ახერხებდა. მას ხშირად აგონდებოდა მოსულის სიტუები: „სასოფლო საქმეა.“ და სხვა ამ გვარები და რომან შეტროვა, მერთალის და მძულვარებით სავსე სასითა. რამდენჯერაც მასლოვდებოდა საპურობილის საავად-მულოსა, უოკელ-

თვის მოქანებოდა ხოლმე, კითომც რომან პეტროვი უუ-  
რებდა მას მეორე სართულის რკინის სარისანის ფანჯრებიდ-  
გან. მისი სახე იყო მართლა, თუ სხვა ტუსაღისა,— ვინ იცის,  
მაგრამ მეურნალი კი დაწმუნებული იყო, რომ ის სახე ნამ-  
დვილად „იძისი“ იყო. იგი შეკრთხებოდა ხოლმე და საჩქა-  
როდ გაიღენდა საპურობილის ეზოსა.

რადგანაც რომან პეტროვი თითქმის უოველთვის ფანჯა-  
რასთან იდგა, საკვირველი არ არის, რომ იგი სიჭრერქმში ჩა-  
ვარდნილიყო გაცივებისაგან და მართლა ასე მოსდა. ერთხელ,  
როდესაც მეურნალი საპურობილის საავადმყოფოში იყო ჩვეუ-  
ლებრივ,— ოთხმა კაცმა შემოიტანეს სრულიად ღონებისდილი,  
გამსდარი, დაუძლურებული და ფერ მიხდილი ავად-მუოფი. —  
ეს იყო რომან პეტროვი.

მეურნალი დაიღუნა მის გასასინჯავად.

— დამესესენ!.. ნუ მოაწვაგ! ურუდ წარმოსთვა ავად-მუოფ-  
მა. — დამესესენ!

მეურნალი ცოტა არ იყოს, შეკრთა; მაგრამ მაიც შეა-  
მოწმა ავად-მუოფი, რომელსაც საშინლად გაძლიერებული ჭილ-  
ქი აღმოაჩნდა.

— ცალკე რთახში დააწვინეთ ეს. უთხოა მან ფერშედებსა.

— ბატონი! დამითხოვე ჩემს ბინაზედ, დამითხოვე! აღმო-  
ოთხრა ავად-მუოფმა.

— რათა? შენ ძალიან ავადა ხარ!

— არა, ბატონი, მე ისე, ცოტათი გმეავობ; მალე გა-  
მიგლის...

— არ შემიძლიან შენი აქედგან გაშვება; აქ გირჩევნია; თო-  
რემ სო თვითონ შეიტყობ.

მეურნალი ლაპარაკობდა გაფითხებული. იგი თავის შეაქ-

ში გერ ჭირმნობდა თავის-თავსა. რაღაც აწეუსებდა და გულს უშუთავდა მას. მთელი დღე და დამე ელანდებობდა ფერ-ძვრთა-და აჩრდილი პეტროვისა და მოსკოვებას არ აძლევდა მას.

მეორე დღეს, როდესაც მკურნალი მივიდა სახადმუოფო-ში, შეიტყო, რომ ავადმუოფი უფრო შემძიმებულიყო, არავის სიტყვას არ უგონებდა, ჩუმად წამლებს ჭრილდა და, როდე-საც მოსამსახურეს გაიგულებდა — ჭირდილობდა ფანჯარაზე აცოცებასა.

— რად შვრები ამას? ალექსიანად ჭითხა მკურნალმა.

პეტროვმა სმა არ ამოიღო; მსოლოდ სრიალი ამოჭრილ-და მძიმე სუნთქვას მისის სწეულის გულიდგან.

— დღეს უფრო ცუდად ჭირმნობ თავსა? ჭითხა ჭალად მკურნალმან და აიღო მისი სელი.

— დამესისენი, ბატონო! დაიწყო ტირილი უბედურმა და თვალებიდამ ლაპა-ლუპით ცრემლები გადმოსციავდა: — თავი და-მანებე!

— დამშვიდდი, ანუკეშა ალექსიანად მკურნალმა: ნუ გემი-ნან! გიჩამლებ და მორჩები.

— რათა! ურუდ ჭითხა პეტროვმა: სულ-ერთა: მიწამლებ თუ არა, მაინც მაღე მოვკვდები. ჩემი აღსასრული მოახლოე-ბულია!... ოოქ! ამოითხოა უბედურმა და ტუჩებთან სისსლის დაუკი მოადგა.

— გამიგონე! დაისარა მასთან მკურნალი ათრთოლებული და თვალებ-დაბნელებული: გამიგონე, წასხურჩხულა მან აღელ-გებულის სმით: მე უოგელს ღონის-მიებას ვისტარებ, რაც-კი ჩემ ხელთ არის!... გამიგონე! შენ არ მოგიკლავს, განა, სმირნოვი? შენ განგათავისუფლებუჩ...

ავად-მუოფი შეგრთა. ცრემლები შეაშრენ თვალებზედ,

რომელშიაც ბოროტება და მტრობა გამოჲს ჭკრეტდენ.

— ბატონი!... მისი ხმა ჭიშუდებოდა ხრიალით და უწუ ხველებით.—ბატონ! ნუ მაშინძ... ნუ მრევ! გასწორდა და წამოიწია: — ჩემი საქმეა ეგ, ჩემი და არა სოფლისა!... და ღონებ-მისდილი, იგი დაეცა ლოგინზედ...

მკურნალმა მთელი თავისი ხელოვნება და ცოდნა იხმარა აკადმიურობის გამოსაბრუნებლად, არ დაშეურა მისთვის თავისი სარჩო და შეძლება და შეუწყო სელი ასე, როგორც კი შესაძლებელი იყო; მაგრამ, საუბედუროდ, უკელავერი ამაო შეიქნა უბედურისათვის: იგი გაწირული იყო ამ სოფლიდგან...

## VII

ზაფხულის თბილი საღამო იყო. სარისანის ფანჯრებიდამ თათახში წენარად შემოსმოდა მივრინველთ ჟღივილი და ვიღასიც ლაპარაკი სამკურნალოს ეზოდგან. ისმოდა, აგრეთვე, ფეხის სმა გუმაგისა, რომელიც ზომიერად მიღიმოდიოდა ეზოში. აღის ფერი სხივები ჩამავალის მზისა რქოც ივერად ჭიცემდენ სამკურნალოს შენობის კედლებსა. გაფითრებული, აღელვებული და, თითქმის, მტრობალი მკურნალი იდგა აკად-მუოფის წინ, დაჭურებდა და მაჯას უსინჯავდა. პეტროვი იწვა უძრავად, მმიმედ ჭიუნიაქავდა და სიცოცხლეს მოკლებული თვალები ჭერში ჭონდა მიძართული.

— არათური არ გინდა? ჭკითხა მკურნალმა.

— მღვდელი რომ მოგეუქათ..., მოწყვეტით და სუსტის ხმით მიუგო აკად-მუოფმა.

— მე გუბრძანე დაძახება... არა, იქნება სხვა რამ გინდო-

დეს? და ამ სიტუაცით მკურნალმა ხელში აღღო მისი საშინლად გამხდარი და ცვერ ხელი.

— შენ?! გავერგებით ჭყითხა უბედურმა.

— ჴო, მე... მე აღისრულებ უკულას, რასაც კი მოისურ-სებ, ოღონდ მითხარ: რა გსურს გულით?

მოუღანება იმ სიკეთისა, რაც მკურნალმა დასდო, სიკე-დილის მოახლოვება, თუ კოუინის სახის ამ ქამად სხვა-ნაირი გამომუტებელება იყო მიზეზი, — მნელია თქმა, — მხოლოდ ეს კია, რომ აკად-მუოფმა ეხლა პირველად შეჭრდა კოუინს კუ-თილი თვალით და გული მოიბრუნა მასზედ,

— მადლობელი კარ! ღმერთი სამაგიეროს გადაგისდის! თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა აკად-მუოფმა.

მკურნალმა ოდნავ მოუწიონა ხელი მის ხელს და თავით ჩამოუჯდა, რადგანაც მუხლები ჩაეკეცნენ.

— რა გინდა, მითხარ?

აკად-მუოფმა გამხდარის ხელით ბალიში. ქეშიდამ გამო-იღო ჭუჭუის ძონბში გამოსვეული ერთი მუქა მშობლიური «შავი» მიწა და ჩაუდო მკურნალს ხელში.

— საფლავში ჩამაყოლეთ, ძლიერ აღმოსთქვა უბედურმა.

კოუინმა უნებურად ჩამოართვა მიწა, სუნთქვა შეეხუთა და თვალთ დაუბნელდა.

შეტოვება საშინლად ამოახველა, თითქოს გულ-ღვიძლი თან ამოაყოლეოთ. გადმოასრუნა ასაღუსი და სარჩელში რი-დასაც ძებნა დაიწეო.

— მე მოგეხმარები! უთხრა მკურნალმა: მოიცა! და ამ სი-ტუაცით ამოიღო ახალუხხიდგან ორი მანათიანი ქაღალდის ფუ-ლი და თეთრი ბამბის ხელთ-ცახლცი:

— ამას ეძებდი?

ავად-მუოვმა ანიშნა კმაყოფილება თვალების მიღუდვით, რადგანაც თავის განძრასვის წარმოთქმის ღონი აღარა ჭროდა.

— სოფელში... ჩვენსას... ძლივს ამოგენესოდა მომაკვდავი: ანი ჭრიან... სელიჭონტოვისად...

— იმას გარდავცე ესენი? ჭრითხა მკურნალმა.

უბედულმა თანხმობა ანიშნა.

როივენი დადებდენ... ავად-მუოფი სადღაც, შორს იუკრებოდა უსიცოცხლო თვალებით; მკურნალს ეჭირა მისი. ხელი და ვერავერს ჭრედავდა, რადგანაც თვალები ცრემლებით ჭროდა აღვსებული. ბინდდებოდა. ავად-მუოვმა შვილთვა დაიწყო.

— მღვდელი... მღვდელი მომგეარეთ!... ძლივს ამოილულულა მომაკვდავმა.

კვალად სისტემე ჩამოვარდა. ავად-მუოფი დაწყნარდა და სუნთქვაც უფრო თავისუფლად დაიწყო, თითქოს უკედ შეიქნაო. უცრიად მკურნალისკენ მოატრიალა თვალები და დაკირვებით დაუწუო უურება.

— გესმის! წინურნეულა ავად-მუოვმა.

მკურნალი უფრო ახლო დაიღუნა ავად-მუოფთან.

— იგი უსასაბოდ, უდანაშაულოდ მოჰქმდეს...

მკურნალი მიხვდა, ვისზედაც ამბობდა საცოდავი.

— სოფელმა გარდასწუვიტა მისი მოკვდა, ჩურჩულებდა მომაკვდავი, თითქოს აღსარებას ამბობსო: რადგანაც სძულდათ, თუმცა უმიზეზოდ...

მკურნალი უფრო მიუახლოვდა ავად-მუოფს.

— ჩემი საქმე არ არის... მე არ მომიკლავს... სოფელს შეკრინე ჩემი სიცოცხლე... რომ საჩიკარს სოფელი არ დაუკავშირდება...

კოჟინმა ოდნავ მოუჭირა ხელები მის გაცივებულს ხელსა.

— კო, სოფლის გულისათვის... მოხუცი შემცირდა... დიდი სახლობა ჰყავს... მე-ე-.... მარტოდ-მარტო კარ, მხოლოდ ან...ნეა...

მომავალდავი შეინძრა და სარბად დაუწეულ ჭარეს უდაბნა. გონება-დაკარგული მეურნალი წამოხტა და აუწია თავი, რომელსაც დაუძლურებელი კისერი კეღარ იმაგრებდა.

— სოფლის გულისათვის... ჩე...მი... თა...ვი გა...ვსწი-...რე... უგანასკნელად ამოიგინესეს და სამუდამოდ დადუმდებ გაციებული ტუჩები სხვის გამოსსნისათვის თავ-გაწირულის ჭაბუქისა!

მეურნალი მხოლოდ მაშინ-და მოვიდა გონს, როდესაც მოსული მდგრედი «შენდობის» ლოცვების უფითხავდა ახლადგარდაცვალებულს—რომან პეტროვსა.

რ. ძამსაშეილი—უ—ვი.

## ჩვენის გლეხ-კაცობის ისტორიუმი.

(უნივერსიტეტი ბაკონ-ყმობაზედ)

მეტს საქართველოში ჭერდალურ წეს-წყობილებასთან  
ერთად არაებობდა ეპრედ წოდებული ბატონ-ყმობა, ორმეტსაც  
თავისი გარეგანი აგებულება და ჭორმა ჰქონდა, თავისი განხია-  
გუთოებითი სული, მიმართულება. ბატონ-ყმობა, ორგორც  
იურიდიული დაწესებულება, ღამეარებული იყო თავი ძალაზედ.  
ერთს ძალას შეადგენდა დაწერილი კანონი, მეორეს — ჩვეულებ-  
რივი უფლება. დაწერილი კანონი, ორგორც ნაყოფი ჭერდა-  
ლური ცხოველისა, უფრო ჩაგრივდა გლეხ-გაცობას და ესარ-  
ჩლებოდა ძალალ-წოდებას. სულ სხვა ხასიათისა იყო ჩვეულებ-  
რივი უფლება; ეს უკანასკნელი ხედი უწყობდა გლეხსობას, უმ-  
სუბუქებდა მძიმე უღელს, ორმეტიც, კანონის ძალით, კის-  
რად ედო. კანონის და ჩვეულებრივის უფლების ამ ნაირის ხა-  
სიათიდგან წარმოსდგა ის ორ-გვარი უკიდურესი შესედულობა  
ბატონ-ყმობაზე, ორმეტსაც ეხლაც ხშირად მისდევენ. თუ ერთ-  
ნი ამტკიცებენ, ორმ ბატონ-ყმობა ისე მოქმედობდა, ორგორც  
კანონი ბძანებდათ, მეორესი სულ წინააღმდეგს აზრს ღადა-  
დებენ — კანონი ცხოველიში თავის სიმკაცრეს ჰქაოგადათ, ბა-  
ტონ-ყმობა ჭუმიანურის ხასიათისა იყო და სისამდგრილე არ ეთან-

ხმებოდა დაწერილს უფლებასათ. <sup>1)</sup> საჩვენები უგიდურესობა წარმოსდგა უმთავრესად იმ მიზეზისაგან, რომ დაიკიწყეს გავშირი, ორმელიც არსებობს კანონის და ჩეულებრივის უფლების შორის. ჩექენშიაც, ორგორც სხვაგან, დაწერილს კანონს გვერდით უდგა ჩეულება, არმელიც ხშირად იურიდიულ სინამდვილეს ცოტად თუ ბევრად სხვა მიმართულებას აძლევდა, ასუსტებდა კანონის დამჩაგვლელს ძალას, ბარბაროსულ ხასიათს. ბერიე, მხრით, თვით კანონებშიც მოიპოვებოდნენ ისეთი მუხლები, სადაც ჰიროვნული და ზერობრივი თავისუფლება გღრხისა აღიარებული იყო, სადაც უმაც კაცად იყო ცნობილი. ამას შემდეგში კუჩენებთ და ეხლა შევნიშვნავთ მხოლოდ, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც ბატონ-უმობის კანონებზეც გაედგა სჭა. ხშირად ერთი მუხლი კანონისა წინააღმდეგია მეორესი, მეორე მესამესი და სხვ. <sup>2)</sup> კანონებიდგან რო-

1) Густавъ Калантаровъ, Крѣпостное право въ Грузии, гл. 1—3. აյ ავ: კორი, რომელსაც ჩვენი ბატონ-უმობა ქვენიურ ჯო-ჯოხეთა მიაჩნია, გადაჭრით ამბობს, რომ ბატონ-უმობა ისე მოქმედებდა, როგორც კანონი ბრძანებულა. წინააღმდევის უქედელობისა არის თ. ა. ჯამბაკურიან-ორბელიანი; ამის აზრით — «მებაზონე თავის უმას შვილსაკით უურს უგდებდა და შვილის მსგავსად გუჯი სკუთაზა უმისაჲის». იხილე მისი თხზულება, გვ. 77.

2) ა) მაგალითიც: «ვისაც შერისხდეს ლმერთი და თავის ბატონი მოჰკლას, ან დაჭრის, ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისათვის, რომ უმისა უკედა ბატონ ისა. არ ის „...“ (ვახტ. სამართ., მუხ. 258;) ამას ეწინააღმდეგება იმავე სამართლის 231 მუხლი, სადაც ლაპარაკია სამე-მკვიდრეო საკუთრებაზე: «ვინ მოკვდეს და დარჩეს ცოლი და შვილი, ამას უკან შვილიც მოკვდეს და დარჩეს დეზა-კაცი, მამულობრივი ხელი არა აქვს, ბატონისა არის... და თუ შვილი ისევა ჭუავს, მამულს ვი-რავინ წაართმევს, შვილის არის...»

მელიმე მუხლის ამოღება და მასზე დამეარება საზოგადო დაც-  
კნისა, შეცდომა იქნება. საჭიროა მთლიან კანონების მიმართუ-  
ლების, მათი სულის შეგნება. მაშინ და მხოლოდ მაშინ შეძ-  
ლება პირუთვნელი და უტუური საზოგადო დასკვნა, ნამდვი-  
ლი იურიდიული სინტეზი.

თუ რა შეცდომა წარმოსდგება აჩქარებისა, მარტო ერ-  
თის ომელიმე მუხლით ხელმძღვანელობისაგან, ამას გვიჩვენებს  
სახელმწიფო ოჩევის წევრი და სენატორი ბარონი განი. ხსე-  
ნებული ბარონი 1837—1841 წ. იმუოთებოდა საქართველო-  
ში. მაშინ მთავრობას ჰსურდა ზოგიერთა ცვლილება შემოუ-  
ღო სამოქალაქო მმართველობაში, და სენატორმა განმა წარუდ-  
გინა სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს წერილი, იმ ზომა-  
თა შესახებ, ომელნიც უნდა წინ წასძღვროდნენ ახალს  
სახელმწიფო მეურნეობას (ჭინანსიურ სისტემას); ეს მეურნეო-  
ბა უნდა შემოეღოთ საქართველოში. ბ. განი თავის წერილში  
ამტკიცებდა, ომი საქართველოში ბატონ-უმობა არა უთვილეთ  
და კასალობა, ომელიც წარმოსდგა ჭეოდალური წეს-წყობი-  
ლობისაგან, მხოლოდ უკანასკნელი მეფების დროს გარდაიქნა  
ემობათათ<sup>3)</sup>). რაზედ დაამუარა ბარონ განმა თავისი დედა-აზრი,  
საზოგადო დასკვნა? მან მეტად ადგილი საშეალება იხმარა —  
სომხური სამართლიდგან ამოგდია ერთად-ერთი 171 მუხ-  
ლი<sup>4)</sup> და მაზედ დააფუქნა თავისი შეხედულობა, თუმცა ამ

<sup>3)</sup> K. L. Зиссерманъ. Сборникъ материаловъ, т. I, вып. I, стр. 265.

<sup>4)</sup> ... პაკრონ-უმობა ამისი (კაცისა) ნდომებითა, იქნა მიწისა და  
წყლისა და ვისაც, არა აქვს მიწა და წყალი, ის კაცი აზაფია, სადაც  
უნდა წავიდეს არ არის სამართლი ხელმწიფეთაგან და თავადთაგან მა-  
რტად დაჭრია და დაუენება ერთს აღვილს, გინდა და არა აქ იყავთა.  
სომხური სამართლი მუხლი რო.

შესედულობისათვის უნდა მოეძებნა სხვა და-სხვა ისტორიული  
და სოციოლოგიური საბუთები, რადგანაც ამას ითხოვდა საგ-  
ნის უაღრესი მნიშვნელობა. სესხებულ მუხლიდგან მხოლოდ  
ის დასკვნა გამოდის, რომ ვისაც არა ჰქონის სხვის მიწით და  
წელით ისარგებლოს, ის თავისუფალია და სადაც უნდა წავა,  
იგი აზარია. თუმცა საჭართველოს მაშინდელი მთავარ-მმარიუ-  
ბელი გენერალი გოლოვინი ბარონ განის აზრის უარ-ჰქოთვა  
ცალება წერილში, <sup>5)</sup> მაგრამ ამ უგანასკნელის ხმა მაინც ძლიე-  
რი იყო. ბარონ განის აზრმა დიდი შთაბეჭდილება იქონია  
მმართებლობის წრებში. საკრიფიც მიჰევეს, სელი შესწავლათ და  
განემარტათ სხვა-და-სხვა კითხვები წოდებათა შესახებ. მთავრო-  
ბას ეწადა თავისუფალ მსკნელ-მთესპელ გლეხთა წოდების დაარ-  
სება. <sup>6)</sup> სამწუხაროდ, თვით ჩვენი თავად აზნაურობა წინ აღუდ-  
გა მთავრობის კეთილს განზრახვას, გზაზე გადაეღონა სასარ-  
გებლო საქმეს, და უფრო სამწუხარო ის იყო, რომ ამ საქმე-  
ში ჩვენი კეთილ-მობილური წოდება სელმძღვანელობდა ვაწრო-  
პირადი სარგებლობით, წოდებრივი ანგარიშით, საზოგადო  
საქმე, საერთო კეთილი კი ავიწუდებოდა. ჩვენმა თავად-აზნაუ-  
რობამ მიართვა ცალება წერილი თავის საჭიროებაზედ სამხედ-  
რო მინისტრს ჩერნიშვილს, როდესაც ეს უგანასკნელი საჭართვე-  
ლოში მოვიდა და ამ წერილში, წინააღმდეგ ბარონ განისა,  
ამტკიცებდა, რომ სომხურ სამართალს საჭართველოში ძალა  
ჭრინდა მარტო სომხებისათვის, და კახტანგმა შემოიღო იგი

<sup>5)</sup> Сборникъ материаловъ, стр. 265—267., იხილუ აგ-  
რუოვ Сборникъ статистическихъ свѣдѣній о Кавказѣ, т. I.  
стр. 14—15.

<sup>6)</sup> Сборникъ материаловъ, стр. 268—269.

იმ განზიანებით, ორმ უფრო ბლობად კადმოექას ჭებინა სრმ. ხები სპარსეთიდგან და ოსმალოდგან, სადაც მათ სდევნიდნენ. თავად-აზნაურობა, რასაკეირელია, მართალს ამბობდა, ორცა ამტკიცებდა, რომ სატონ-ყმობა კანონიერი შეიძლი იყო ჩეენის წარსულის ცხოვრებისა, თუმცა კი სცდებოდა იმაში, ვითომ სომხურ სამართალს ძალა და მნიშვნელობა არა ჭრისა ქართველთათვის. ამ სამართლით ხელმძღვანელობდნენ ქართველი მსაჯულები იმ შემთხვევაში, როდესაც თვით კახტანგის სამართლი რომელიმე იურიდიულ ტაქტიზე არას იხსენიებდა, არას ამბობდა<sup>7)</sup>). აյ საჭირო ის კი არ არის — რამოდენად მართალი იყო ჩეენი კეთილ-შობილური წოდება თავის იურიდიულ სჯაში, არამედ ის, ორმ ამ წოდებამ გაიმარჯვა, რადგანაც თვით მთავრობამ უარ-ჟერ ბარონ განის აზრი და განმარტა, ორმ არ შეიძლება დასკვნის დაფუძნება მარტო ერთს 171 მუხლზე, რადგანაც სხვა მუხლის სომხური სამართლისა ეწინაღმდეგებიან ხსენებულს მუხლს.<sup>8)</sup> ბარონ განი გორგაცებული. უკა მაღალის აზრით, წმინდა გრძნობით. იმის მუთიფობის დროს

<sup>7)</sup> Сборникъ материаловъ, страница 252, примѣч.

<sup>8)</sup> მაგ., მუხლი ლ. 8 «ვინცა ვინ თავის-თავის ხელი მქონე მივიღეს ვისთანაც ხაყმოდ და ოქვას კაცთა წინაშე თუ შეექნილვარ უმა ამისოთ, ვისაც აყმო თავისი თავი თვითონ თუ იყოს კაცი იგი თცის წლისა დაკარგეს. თავისი თავი ხელი მქონებივამ... თუ ფასიც რამ გაულია და შეესვამს შექმანია დარჩა იგი კაცი უმაღ მას კაცსა, ვის წინაც ეს რაც ქნას და ოქვას. იხილე ეგრეთვე მუხ. ლ. გ. სადაც ქალს შეეძლო მთახლედ მისცემოდა სხვას იმ პირობით, რომ მთახლედ გამყოლი თცის წლისა უნდა ყოფილოყო. См. Сб. Матер., стр. 253. Сбор. статист. сбъд., стр. 7, სადაც ჩამოთვლილი არიან მუხლის, რომელიც არღვევს 171 მუხლს.

საქართველოში, დაბალს წოდებას ჰედმა გაუღიმა, შეიძლებოდა ეს ღიმილი სისარულად გადაჭცეულიყო, მაგრამ თვით თავად-ზენაურობა გაჭირებაში ჭხედავდა თავის-თავს, შეღავათკა მოელოდა იძიდგან, ორმ უმები სრულიად მოსიალნი უთვილიურნებ ბატონებისა და დაუკოვნებლივ ეხადათ მათ სასარგებლოდ მრავალ-გვარი ხარჯი. კიდევ ამიტომ გუნერალი გოლოვინი სწერდა უმაღლეს მთავრობას, ორმ უფრო მეტად განე-მტკიცებინათ ბატონების უფლება, ჩვენი ბატონ-უმობა ოუ-სეთის წესზე, იქაურ ბატონ-უმობის კვალზე დაუკენებინათ; ამ გვარი მოქმედება უშესლის მაღალ წოდებას და დაკმაყრი-ფილებს მისს კანონიერს სურვილს, მოთხოვნილებათაა.<sup>9)</sup>

მკითხველი თვითონაც ჭხედავს, ორმ ბარონ განი სცდებოდა. ჩვენმა უფლებამ, სამართალმა ძველადგანვე იცოდა ბატონ-უმობა, ორმეტიც იყო შედეგი ტეოდალურის სახელმწიფოობისა. ეს ბატონ-უმობა, ორგორც აღიარებული იყო რიული ტაქტი, ორგორც განხორციელებული იურიდიული მოვლენა, შეტანილ იქმნა კახურების მიერ მის კანონებში და ეს კანონები ხომ უკლებრად ცხოვრებიდგან იქმნენ ამოღებულნი, უტუკარად ჭხატავდნენ მაშინდელს ისტორიულს სინამდვილეს. გარდა ამისა, გასტანგმა თავის კანონთა კრებაში მხოლოდ ის იურიდიული წესები შეიტანა, რომელნიც ძველ დროიდგანვე შეგავშირებულნი იუკნენ ხალხის ცხოვრებასთან, მის ჩვეულებასთან. ხსენებულ კანონთა კრებაში კრიტიკად არის ნაჩვენები რა გზით, ორმლის საშუალებით არსებოდა უმობა; მაგ., ჩვენმა კანონმა ფის ბოძება მეფისაგან ჭახერ. სამ.,

<sup>9)</sup> Сбор. Статист. свѣд., стр. 14—15, Матер. Зиссер стр. 265—267.

მუხლი. 233), შეუძლებელ მოვალეს ყმად აუკანა («ესეც იქმნების, მოვალეს ოომ კაცი ვერ აუკიდეს, საქონელი არა ჭრობეს, კაცი მიეცების იმ საქმით, ოომ ურჯულოზედ არ გაუღილა მუხ. 142), უკანონო შვილს შეუძლო თავის ძმებს ჟყობოდა და სს. მაგრამ როდის დაარსდა ყმობა, ომეულ უგანასკნელ მეფების დროს, ოოგორც ჭვიიქობს ბარონი განი, გადაჭრით არ შეიძლება ითქვას, თუმცა კი ყმობა მოინოვება ჩვენში მეცხრე საგვუნეშიაც<sup>10</sup>). აქ შევნიშნავთ, ოომ თვით სიტყვას ცემა სხვა-და-სგვა მნიშვნელობა ჭრონდა, იგი ნიშნავდა მეფის ერთგულს, წინად ცემას უწოდებდნენ თავის-თავის გამეოდველს; სოლო შემდეგში ამ სიტყვით ასევე ნიებდნენ უგელა იმ პირებს, რომელნიც სხვების დამოკიდებულების ჭეშ იძყოთებოდნენ<sup>11</sup>).

რადგანაც ჩვენი წარსული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრება ფეოდალურ წესზე იყო გამართული, ამისათვის თვით გლეხ-კაცობის იურიდიული აგებულობაც საზოგადო ფეოდალურ წესს ეთანხმებოდა; ოოგორც სხვაგან, მაგ., დასავლეთს უკოპაში, სადაც ფეოდალიზმი შექმნა სხვა-და-სხვა გვარი გლეხ-კაცობა, ისე ჩვენში დაბალი წოდება, გლეხობა დას-დასად იყო დაუმოვიდი: თვითეულს დასს თავის ადგილი ეჭირა სახელმწიფო შენობაში, თავისი უფლება და გადატებულობა ჭრონდა შემოხაზული, ოოგორც სხვა წოდებაში, ისე გლეხობაშიც განხორციელებული იყო დიდ-პატარაობა, იურიდიული უფროს-უმცროსობა (თუ ასე შეიძლება, ითქ-

<sup>10)</sup> Крѣпостное право въ Грузии, стр. 23, Г. Калантарова.

<sup>11)</sup> ibid, стр. 21.

კას) და ორდესაც ერთი გლეხი განსხვავდებოდა მეორესაგან თავის უფლებით, მაშინ ამ განსხვავებას თავისი საბუთი ჰქონდა და საბუთიც სსვა-და-სხვა ნაირი იყო. ფერადად აჭრელებულს გლეხობას თავს დაცემეროდნენ მსახური, რომელიც შეადგინდნენ ცალგა წოდებას; ეს წოდება იყო შემართებელი ხილი გლეხობის და მაღალ-წოდების შორის. მსახურის სისხლი ერთი-ოდად ძვირი იყო უბრალო გლეხის სისხლზე (მუხ. 32 კახტ. სამ.), მას შეეძლო აზნაურობა მიეღო ბარონისაგან. დანაშთენი გლეხობა ოთხს წრეში იყო მოთავსებული, ოთხს ნაწილად განუოფილი. პირველს ნაწილს ეკუთვნოდნენ: შემოხიზნულნი, უცხოეთელნი, რომელიც სცხოვრებდნენ ბატონების მამულზე და საბატონოს ხდილობდნენ, როგორც დორებით კალდებულნი გლეხნი. მათი დასაკუთრება არ შეიძლებოდა, რადგანაც საბატონოს ძლევის გარეშე, იგინი მოშორებულნი იყენენ უოკელგვარ დამოკიდებულებას. მეორე დასა შეადგინდნენ ისეთი გლეხნი, რომელიც დიდი ხნიდგან დასახლებულნი იყენენ ბატონის მიწაზე; ეს მიწა, მამული, თუმცა ბატონის საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ გლეხის ხელში იყო სარვებლობა და მფლობელობა. ჭანი და ღონე ჩაღვრილი ჰქონდა ამ გვარ მამულში; სამართალიც და ჩეკულებაც თხოულობდა, ეს მამული მისთვის უმიზეზოდ არ გამოეწირა ბატონს. კიდეც ამიტომ ამ მამულზე გლეხს ჰქონდა სამემკვიდრო უფლება. მესამე ადგილი ეჭირათ მონებს, ნასეიდს გლეხებს, მეოთხე—ყმებს<sup>12)</sup>. გლეხ-გაცობის ამ გვარი დანაწილება, დას-დასად დაუოფა მიაჩნიათ უმთავრეს მიზეზად მისი დაჩაგვრისა, შეკიწროებისა. გლეხ-გაცობა არ წარმოად-

გენდა ერთიანს სხეულს, ერთს შეერთებულს ძალას, კოდექს ამიტომ კერ შეეძლო აჯანყებულიყო ტერდალების წინააღმდეგ, როდესაც აჯანყებას ითხოვდა გარემოებაო, ასე ამბობენ მრავალნი, ასე ამბობს თვით უაღანთარაშვილიც. <sup>13)</sup> მაგრამ ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა მართლა დაჩაგრული იყო და მერე მოიძებნოს მიზეზი — თუ რასა-თვის საქართველოს გლეხ-კაცობის ისტორიაში არ იცის, ყავრია და სხვა ამ გვარი ნაყოფი დასავლეთის კუროპატის ტერდალიზმისა.

საჭმე ის არის, რომ, ორგორც უბეჭ შევნიშნეთ, თვით ჩვენი კანონი აღიარებდა გლეხ-კაცის ზნეობრივს და პირუენულს თვისუფლებას. ჩვენს კანონებში დადას ზოლით არის გატარებული კარელ-წოდებული პოლიციური მზრუნველობა (ПОЛИЦЕЙСКАЯ ОПЕКА), ის სახელმწიფო გამგობის სისტემა, ორმედიც წარსულს საუკუნეს დაგვირგვინდა დასავლეთის კუროპატის სახელმწიფოში (Polizeistaat). კამონების გარდა ამ მზრუნველობას უფრო ხშირად კარგები. ჩვეულებაში. გლეხი, კანონის და ჩვეულების ძალით, როდი იყო რომელების «servus», რომელიც შეადგენდა მოძრავს ნიკოს. არა სახელმწიფო მზრუნველობა გლეხ-კაცობაზე, იმფარავდა მას. .... ეს ამიტომ დავსწრეთ, რომ ნურა-კაცი თავის ყმას ძალის ნუ დაატანს, თორემ წავა, ეჭვს წელიწადს სხვაგან დაჭუროს, მოვა, ხელმიწიფეს კუმობა და ყმა დაგეკარგებათ». (კახტ. სამ., მუხ. 201) უგეოთ ბატონი ცუდად მოეშერობოდა ყმას, «ძალას დატანდა», ყმას შეეძლო სხვა ბატონს შეხიზნოდა, დაუკა მასთან აუცდა-ათი წელიწადი და სრულებით განთავისუფლებულიყო მოუ-

<sup>13)</sup> ibid.

სკვნარი ბატონისაგან (იქნ., მუხ. 202; თრიალეთზე წასული—  
სათვის კადა თორმეტი წელიწადი იუო—თრიალეთზე ქართვე-  
ლის ბატონის სახასოშიდ თორმეტის წლის წასული რომ მო-  
უვიდეს, აღარ მისცემენ). ამა თუ მარტო კანონში კორვებთ  
მზრუნველობას გლეხ-გაცობაზე, არამედ მართებლობის კერძო  
განკარგულებაშიაც. ამ გვარის მზრუნველობით აიხსნება, მაგ.,  
ის საუკადღებო ფაქტი, რომ 1765 წელს მეფე ირაკლი მე-  
ორემ ბძანება გამოსცა, რომ ტუკობდებან დაბრუნებული გლე-  
ხი თავისუფალი იუო და ვინც ჭირდა, იმას უმობოდა.<sup>14)</sup> ეს  
მზრუნველობაც რომ არ უოფილი იუო, მაინც არც თვითონ გლეხი  
გასლდათ ისე ღრმად დაჩაგრული, უოკელ პროტესტის მაღას  
მოკლებული, როგორც ჭიდვერობენ. მართალია, ჩვენმა ისტო-  
რიამ არ იცის ისეთი ჯგუფად გლეხების აჯანყება, როგორსაც  
ესედავთ ჰუგაჩოვის დროს ოუსეთში და სხ., მაგრამ ეს კი-  
დევ არაუკრს ამტკიცებს. ჯგუფად აჯანყება იმას მოგვიოხ-  
რობს, რომ მთლად გლეხობა შეკიწოებული და დაჩაგრუ-  
ლი უოფილა და, თუ ჩვემში ამ გვარს აჯანყებას არა კორვებთ,  
უფრო იმიტომ, რომ მთლად გლეხობა, როგორც წოდება,  
სახელმწიფოსა და მარალის წოდების მზრუნველობის ქეშ იუო-  
გერძოდ, ცალ-ცალება გლეხი ჩვენშიც ხშირად დაჩაგრებოდა, მაგ-  
რამ პროტესტისაც იჩენდა. და თუ გლეხს «ძალას დაატანდ-  
ნენ», მას ადვილად შეეძლო მოკლა თავისი შემაწუხებელი ბა-  
ტონი, გაულიოტა კიდეც მოკლი სახლობა მისი და გამცემულ-  
იუო სამზღვარ-გარედ. ამ გვარი მოკლენა ხშირად ხდებოდა

<sup>14)</sup> Д. Пурцеладзе. Груз. Крестьян. Грамоты, стр. 17.

და გარემოებაც სეჭს უმართავდა გლეხობას: <sup>15)</sup> კიდევ ამი-  
ტომ ბატონი იძულებული იყო ადამიანურად მოპურობოდა  
თავის გლეხებს, კაცურად მოქცეოდა მათ. ურთი-ერთობრივი  
სათხოება, ნდობა—აა საფუძველი, რომელზედაც ამოუკნილი  
იყო ის დაწესებულება, რომელსაც ბატონ-უმობა ეწოდებოდა  
და რომ ეს სათხოება, ნდობა იყო ნიმდვილი ჭარბიერი მა-  
ლა უფრო აშეარად მტკიცდება ჩეკულებით. მაგალითად, ჩეკუ-  
ლება იხოულობდა, რომ ბატონი შიმშილობის დროს შესწე-  
ოდა თავის გლეხებს. ამ უბედურობის გამო მთელი წლის განმაჭ-  
დლობაში სოფელი განთავისუფლებული იყო უოგელ-გარ სარჯი-  
საგან; ეგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცდა აათხოებდა  
სოფელს, ათხოებულს სოფელს არა რამე გადასახადი არ  
მოეთხოვებოდა, ვიდრე მცხოვრებლები არ მოგეთდებოდენ და  
სს. <sup>16)</sup> ურთი-ერთობრივი სათხოებას, ნდობას, მკვიდრის კავ-  
შირს თხოულობდა სახელმწიფოს საქიონება, შოლიტიერი  
ინტერესი და არა თუ მარტო მეფეები, არამედ უმაღლესხი  
მოხელეებც კი ფხსისლად, სასტიკად ზორუნავდნენ, ეს სათხოე-  
ბა, კავშირი არ შერყეულიყო. ღრმად სცდება ბ. ყალახთარა-  
შვილი, <sup>17)</sup> როდესაც ამბობს, რომ ჩენს მეფეებს ვითამ ძალა  
არა ჭრილდათ კანონები აღსრულებაში მოუკანათ. არა; მეფეე-

<sup>15)</sup> Крѣпостное право, стр. 31—32. აქ ბ. ყალახთარა-  
შვილს ჩამოვლილი აქვს ის მიზეზები, რომლებიც სელს უწყობდენ  
გლეხს თავი დაეხსნა უციწროებისაგან. ავდო რის სოცეკით აღმოსავლეთ  
საქართველოში გლეხი უფრო დაჩაგრული იყო, ვიდრე დასავლეთ სა-  
ქართველოში. რადა?—ცალიერი სოცეკის გარდა არა რამე სახუთ  
არ მოჰყავს.

<sup>16)</sup> Крѣпостное право, стр. 25, 46.

<sup>17)</sup> ibid, стр. 23, 26.

ბი და მათი შვილები თვით უდიდეს ტეოდალებსაც კი ნებას არ აძლევდნენ კანონის წინააღმდეგ მოქსდინათ რაიმე. 1781 წელს გლეხმა სკიმონ პეტრიაშვილმა იჩივლა მეფის მემკვიდრეს გიორგისთან (უკანასკნელი მეფე საქართველოსი), სბუ ან-ზორანიკაშვილმა ორი ქალი მომტაცა და მოახლებათ წაიყვანია, ერთი კიდეც გააუსატიურა და ორსულად არისო. მეფის შვილმა ბძანება მისწერა მოურავს რევაზს: გაიგე ეს ამბავი და თუ მართალი გამოდგეს, პეტრიაშვილი თავის სახლობით ჩა-მოარიგი ანდრონიკაშვილს და სახელმწიფო მამულზე დაასახ-ლე. უთხარ, «მამაძალლს» აბელა ანდრონიკაშვილს, ორმ თუ წინააღმდეგობას გასწევს, მიწასთან გავასწორებთ. ეს კარგად იცოდეს იმან. <sup>18)</sup> რასაკეირველია, ბატონისაგან უმის დაჩაგრევა ხშირს მოვლენას შეადგენდა, მაგრამ თვით ბატონ-უმობაც ხომ ამ დაჩაგრევას ნიშნავდა, ამ მოვლენას მოასწავებდა. საჭმე-ლს არის, ორმ ძევლი ჩვენი გლეხობა ისე არ იყო დაჩაგრუ-ლი, როგორც შემდეგში და არ იყო იმიტომ, ორმ ბეკრი გა-რემოება ეხმარებოდა მას, ხელს უწეობდა. და ორმ უოგელის ეს მართალია, სხანს იმ ტაქტიდგანაც, ორმ 1832 წელს სა-ქართველოს მთავარ-მმართობელმა ბარონ როსენმა შეამოწმა ზნეობითი და კეთილი კეთილი განწეობილება ბატონების და უმების შორის, ორმელიც ძევლი ჩვეულებაზე იყო აშენე-ბელი. უმაღლესმა მთავარობამ მოსოხოვა ბარონ როზენს აზ-რი, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო გლეხების გარდასახადი. მთავრობას ეწადა შეეცვალა გლეხების კეთილმიური დამოკიდებუ-ლება და ეს უკანასკნელი რესულის ბატონ-უმობის კვალობაზე,

<sup>18)</sup> ერთ კრესტ. გრამ., ცტ. 38; იხილე ეპრეზე გვ. 29, 45, 31. 79 და სხვანი...

წესზე დაუყენებითა. თავის პასუხში 11 თებერვლიდან 1832 წ. ბარონ როზენმა მოასესნა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ გლეხ-კაცობა გმაუოფილია თავის ძეგლებური ჩვეულებისა. და კონომიური დამოკიდებულების შეცვლა რუსულ წესიზე საჭირო არ არის ( 19). მარტივი სახელმწიფო ორგანიზაცია, მთავრობული ბიუროებრატიულს სენს, ბუნებრივი სახელმწიფო მეურნეობა, რომელიც კერძომიურად ისე არა სჩაგრავს გლეხობას, როგორც ფულებრივი მეურნეობა — აა, სხვათა შორის, მიზეზი გლეხ-კაცობის კეთილ-მდგრადრებისა. მართალია, პირველი შეხედვით მკითხველს ეგონება, რომ გლეხობას დიდი გადასახადი ედგა, რადგანაც თვით გადასახადი მრავალ-გვარი იყო ( 20), მაგრამ, ჩვეულების ძალით, გლეხი გარდასახადს აძლევდა შეძლებისა გვარად და ისიც ფულით არა, და ეს გარემოება დიდს შეღავაოს უშვრებოდა მას. უოკელსაც ამას ზედ უნდა დაუმატოთ განსაკუთრებითი თვისება მეფის უფლებისა ( 21). ეს თვისება ამხნევებდა გლეხ-კაცობას, რადგანაც ამ თვისების ძალით მეფე იყო დაბალი წოდების მოვარკელად. კიდევ ამიტომ ხშირად თუ კლესს დაუშაგებდნენ რასმეს, პირ-და-პირ მეფესთან მიდიოდა საჩივლელად. მეფის ბძნებით საჩივარიც მაღე თავდებოდა. ტემოსსენებულით ჩენ სრულებითაც არ კუგმევთ გუნ-

<sup>19)</sup> Сбор. матер., стр. 275—280.

<sup>20)</sup> Грузин. Церковн. Гуджари, стр. 78—79, 110 და სს.

<sup>21)</sup> უმდევ მუვენიერის სკრიქთნებისა მეფის უფლების თვისებაზე («ივერია» № 8, 1881 წ., წერილი, «რანი ვიყავით გუშინ?», გვ. 73—75.) რომელიც ეკუთვნიან ბაკონ ი. სვიმონიძეს, ჩენ აქ მეცად მიგვაჩნია განმეორებით ამ უფლების თვისებაზე ბაასი.

დოკუმენტების გლეხ-კაცობის წარსულს მდგრადარეობას. ჩვენ  
შეოღოდ იმას კაშთაბოთ, რომ ეს მდგრადარეობა არ იყო ისე ცუდი,  
როგორც ჰერნათ ბევრს და ღწება ჩვენი გლეხობის უოფა-  
ცხოვრება უფრო ცუდი არა უოფილიყვეს, ვიდრე დასავლეთის  
ეკონომიკის ზოგიერთა სახელმწიფოებში, მაგ., საფრანგეთში,  
რომლის დაბალს წოდებაზე ად რას სწერდა მეჩვიდმეტე საუგუ-  
ნეს მწერალი ლაბორური: «სოფლებში ერთგვარს პირუტისებს  
ჰქედავ. — ბინძურებს, გამხდრებს, შიშველებს, მზით დამწერებს;  
ისინი დაჭვრობიან მიწას, დიდის გაჭირებით სჩიჩქნიან  
მას, მცნარეების ლერს და ფესვებს დაემძენ საჭმელად.  
იმათ თათქმის არ შეუძლიანო ადამიანურად ხმის ამოღება;  
შეოღოდ მაშინ, როდესაც ფეხზე წამოდგებიან, თქვენ შენიშ-  
ნავთ, რომ ისინი ადამიანები არიან, ნამდვილი ადამიანები!..»<sup>22)</sup>

ლირს-შესანიშნებია ერთი მოვლენა გლეხ-კაცობის ცხოვ-  
რებაში. ძველს სკერთველოში დაბალი წოდების კაცი ხშირად  
თვითონ ეძებდა ბატონს, უმად აძლევდა მას თავის თავს. ასა-  
ლოვიურ მოვლენას ჰქედავთ ეპროპაში. იქ ეგრედ წოდებული  
უმამული ვილანები უმებად ეძლეოდნენ ზოგიერთა ძლიერ  
ტერდალებს იმ მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელი მივარვა-  
ლობას უწევდნენ მათ, შეწუსებისაგან ისსნიდნენ. <sup>23)</sup> დასავლეთ  
ეკონომიკაში ამ მოვლენის პირველი და უკანასკნელი მიზეზი  
არეულ-დარეულობა, უწესობა იყო, რომელიც თან მოჰყენა  
ჭერდალობას. იქ სუსტს და უძლეულს ძლიერისთვის უნდა  
მიემართა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაანადგურებდნენ. ჩვენშიც,

<sup>22)</sup> Організація Уголовної юстиції Беко, стр. 311—312.

<sup>23)</sup> ibid, стр. 168—169.

რასაკვირველია, ტეოდალურ ანარქიას ადგილი ჭირნდა, მაგრამ აქ ბატონი, ტეოდალი იზიდავდა თავისკენ გლეხს უფრო თვით ბატონ-უმობის ხასიათის, მიმართულების ძალით, მით რომ ბატონი სშირად პეტრონები იყო თავის გლეხისა<sup>24)</sup>). არეულობა არ იყო უმთავრესი და მუდმივი მიზეზი. მემკვადრე გლეხი, რომელსაც არავინ და არა აწესებდა ოა, პირობის აძლევდა ბატონს, გეუმობი და შენ კანონიერად, სამართლიანად მამეკიდე, ჩემზედ ძალა არ ისმართოვთ (მაგალითად, დავით ზბითელის წერილი ბახუტა თულაშვილისადმი, კрест. გრაмотი, стр. 49 და სხ.) საკვირველია, რომ უმდევში, აწინდელი საუკუნის 20 წწ. დასაწყისში ურთიერთობითი დამოკიდებულება თავად-აზხაურობის და გლეხ-კაცობის შორის ძირეულად შეიცვალა. გლეხ-კაცმა დაჭკარგა ძველებური სათხოება, ნდობა და ხელი მიჰყო რომ თავი როგორმე დახსნა ბატონისაგან. მეტად გახშირდა საჩივარი, დაკი-დარაბა — არა, მე ამის უმა, ამის კაცი არა კარო. ამის მიზეზათ ის მიაჩნდათ, ვითომ ბატონებმა უმების კუთხილობის დაწერილი საბუთები დაჭკარგეს არეულობის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის უგანასკნელ წლებში და ეს შეიტევს უმებმათ; ამას იმასაც უმატებდნენ, რომ პოლიცია თავის მოქმედებით აქეზებდა გლეხ-კაცობასათ. რადგანაც გლეხ-კაცობა თვითისას არ იშლიდა, მთავარ-მმართებელი თ. კორონცოვი იმულებული იყო მოეხსენებინა ეს გარემოება ხელმწიფოსათვის, რომლის ბძანებით დაწესდა, რომ გლეხს არ გაებედნა თავისუფლების მებნა მარტო იმის მიხედვით, რომ ბატონს ხელთ არა ჭირნდა დაწერილი საბუთი; თუ ჭიულდა თა-

<sup>24)</sup> Крѣпостное право въ Грузіи, стр. 21

ეს გაენთავისუფლებინა, უნდა დაემტკიცებინა, ორმან თვითონ, ან მამა მისი და ან შეპა წინად თავისუფალნი უოვილან. <sup>25)</sup> მთავრობა სცდილობდა ყმების მდგომარეობა გაეუძღვოს ესებინა. 18 მარტს 1825 წელს და 6 სექტემბერს 1826 წ. გამოიწა ლრი ბძანება, ორმლის ძალით უკეთუ მებატონე ზომას გარედ სარჯუს გარდასხდევინებდა ყმას, შეუბრალებლად მოვიდებოდა მას, ერთის სიტყვით, რაიმე ბოროტ-მოქმედობას იქმოდა, მაშინ მთავრობა მის მამული, ყმებს თავის მზრუნველობის შექმა იყენდა (ოპეკა) <sup>26)</sup>, მაგრამ გლეხ-კაცობა მაინც თავისას არ იშლიდა, დაკას არ სტოცებდა. რისთვის? უმთავრესი მიზეზი ამ მოვლენისა იმაში უნდა მოიძენოს, ორმ უწან თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა ერთს საზოგადოებრივ სხეულს შეადგინდნენ, ორგანიულად იუნენ შეკვშირებულნი. ბატონი ჭავჭავაროებდა გლეხში, გლეხი ბატონში. დამოუკიდებელი სახელმწიფო, გარემოცული მტრებით, თხოულობდა წოდებრივი კავშირის, საონოების წოდებათა შორის და კიდეც ეს კავშირი, სათხოება მკვიდრად იყო განსორცილებული. შემდეგ 1801 წ. ბატონ-უმობის სასათი, მიმართულება შეიწვალა. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის ჭავჭავარი, ორმ თვით მთავრობამ გამოსცა ზემოსესებული ბძანება (უქაზი) ყმების სასაზებლოდ. ბძანება, რასეგარებლია, საჭირო არ იქნებოდა, თუ კი გლეხ-კაცობა გაჭირებებში არ უოვილიყო.

რაც უამი და დრო გადიოდა, იმდენად crescendo ის პობოდა, იფუშებოდა მკელებური განწყობილება ბატონსა და ყმის შორის. 1823 წ. მთავრობამ ისურვა გამოეპლია ეპო-

<sup>25)</sup> Сбор. статист. свѣд. стр. 32—33.

<sup>26)</sup> Сбор. матер., стр. 278.

ნომიური მდგომარეობა ყმებისა, რაოდენობა მათის გადასახადისა. ეს კითხვა აღიძრა იმის გამო, რომ, როგორიც შევნიშნეთ, ყმებმა გამართეს საჩივრები თავისუფლების მოსაპოებლად. მთავრობას ეწადა შეეტყოთუ რამოდენად შევიწროებულია გლეხაცობა. გენერალ ერმოლოვმა, საქართველოს მთავარ-მმართებელმა, წინადადება მისცა. «საზოგადო კრებას», რათა მას მოეწვია თავად აზნაურობის წინამძღოლებით და გამოჩენილი მებატონი და მათის დახმარებით გამოეკვლა — რამოდენს გადასახადს აძლევდნენ მებატონებს თავისუფლების მემიებელით გლეხნის სამის წლის შემდეგ (1826 წ. 30 აპრილს) «საზოგადო კრებამ» მოახსენა გერენად ერმოლოვს, რომ საქართველოში ყმების გადასახადი გადაჭრილი და განსაზღვრული არ არის, თუმცა ეს გადასახადი დიდია და მრავალ-ხაირით. ამას «საზოგადო კრება» იმასც უმატებდა, რომ შეიძლება ისე დაწესდეს, რომ თავისუფლების მემიებელით ყმასი, რომელიც ღალას და გულუს არ იხდიან, სამ დღეს ემსახურონ ბატონს კვირაში, სოლო ისინი კი, ვინც დაღა-გულუს აძლევენ, რა დღესაც. კრებამ წარუდგინა ერმოლოვს სასა-და-სსე, გადასახადის სია. ამ სიღდგან სჩანს, რომ გლეხი უგელაფერს აკეთებდა თავის ბატონისათვის, უკელაიერს აძლევდა მას. <sup>27)</sup> «საზოგადო კრების» აზრი უშედეგოდ დასტოვეს, მაგრამ საქმე კი ამითი არ გათავდა. 1831 წელს საქართველოში მოკიდნენ რევიზორებათ გრაფი ჭუთაია-სოვი და მეჩხივოვი. ამით განიხილეს უსაზოგადო კრებისა შრომა, გადაწყვეტილება და პასკეზი-ურივანსკის ნება-დართვით მოასენეს სელმწიფეს — საქართველოშიაც ისეთი ურთიერთობა

<sup>27)</sup> Сбор. матер. срп. 274—275.

დაარსებულიყო, ოფიციალურად რუსეთში იყო მებატონეთა და კლებთა შორის. ამ აზრს წინააღმდეგა ბარონ როზენი, ომში მონაბეჭდის შესედულობა: ამ საგანზე უპირ იცის ჩექები მკითხველმა.

1847 წელს «მთავარ-სამმართველოს რჩევა» (Совѣтъ Главнаго Управленія) შეუდგა პროექტის შედგენას, რომელსაც სასელად ეწოდებოდა: «Систематической своль отношений помѣщиковъ къ крестьянамъ и обратно». ეს პროექტი წარუდგინეს თ. კორონცოვს, ომშემდგრავს, შემდგარ განსილვისა, წარმოსთვევა, რამ პროექტი უფრო დიდს უფლებას აძლევს ბატონს, ვიდრე ძველად ჭრილდა მას მინიჭებულით. კორონცოვს ჭრილდა გაეგო — არ შესედულობისა იყო თვითუელი მაზრის თავად-აზნაურობა. ამისათვის მან უბრძნა თავად ბებუთაშეილს მაზრის კომიტეტები დაქარსებინა. როდესაც კომიტეტები დააარსეს და მათ მოსთხოვეს წარუდგინათ მთავრობისათვის შენიშვნები პროექტზე, მაშინ აშვარად აღმოჩნდა მტრობა თავად-აზნაურობისა გლეხ-გაცობისადმი. პროექტში ჩართული იყვნენ ზოგიერთა ლიბერალური ზომანი, წესები გლეხ-გაცობის სასარგებლოდ. ეს მეტად არ ესიამოვნა თავად-აზნაურობას. სამწესაროდ, დიდი ანგარება გამოიჩინა გორის მაზრის თავად-აზნაურობაში. აი ნიმუშად ზოგიერთა წომანი, ომშელნიც უარ-ჟორ გორის მაზრის ეკრედიტოდებული მა მხდალმა წოდებაში. პროექტის მეორეთმეტე მუხლი თხოულობდა, ორმ უკეთუ ბატონი მოჰკლავდა თავის გლეხს, მოგლეული გლეხის თვალი და მისი გაუურელნი მმანი ყმობიდგან უნდა განთავისუფლებულიყვნენ და სასელმწიფო გლეხებად შერიცხულიყვნენ. მესუთ მუხლის ძალით, თუ ბატონი ახლად გააშენებდა სოფელს, გლეხნი ეჭვის წლის განმავლობაში თავისუფლნი იყვნენ სასელმწიფო გაუდასასადისაგან (ამას ით-

ხოვდა ძველებური ჩვეულებაც, (Еркюист. право, стр. 46). მეთერთმეტე მუხლის მაღით, ორდესაც ცალქე გლეხი, მთელი ჯალაბობა ან სოფელი უნდა გასუიდულიყო ვალში, თვით გლეხს ან სოფელს შექმოთ დანიშნული ფასი წარედგინათ და თავისუფლება მოეპოვათ, თუ სიცა მსუიდებელი არ აღმოჩნდებოდა. გორის მაზრის თავად-აზნაურობამ უარ-ჰეთ ეს მუხლის იმ მიზეზების ვარო, ორმ ჩემი სასარგებლობა არ არიანო. <sup>28)</sup> არც სიღნაღის მაზრა ჩამოარჩია უკან გორის მაზრას. იქაური თავად-აზნაურობა თხოულობდა ნება მოგვერთ გლეხები დავაგირავოთ საქართველოს გარდა სკვაგანაცხად და არა მარტო «პრივაზშირ» (Приказъ общественнаго призвѣнія), საქიროა ჩვენს ჭალებს მზითვეში მთელი სოფელები გავატანოთ და ნება გვერნდეს იმერეთშიც ვიუიდოთ გლეხები და იქიდგან გადამოვასხლოთ. <sup>29)</sup> ცოტად ადამიანური გრძნობა გამოიჩინა თბილისის მაზრის თავად-აზნაურობამ. <sup>30)</sup> თვით თ. კორონცოვმა უფრო ლიბერალურად შეკსედა პროექტს ამისა კეთილ-შობილური აზრი და გრძნობა უწევებდა საზოგადოებას, ორმ მთავრობა ზნეობით და გამჭრილობით და-შთარებით მაღლა იდგა ჩვენს თავად-აზნაურობაზე. სამწუხაროდ, საქმე კერაფრით კერადაბოლოვდა, ოდგანაც თ. კორონცოვმა დაასკვნა, ორმ ვიდრე მამულები არ გამიზნება და თავად-აზნაურობა ჭორმალურად არ დაიმტკიცებს ლირსებას, შეუძლებელია ურთი-ერთობრივის დამოკიდებულობის შეცვლა.

<sup>28)</sup> Сбор. матер. стр. 282—292.

<sup>29)</sup> ibid, стр. 293.

<sup>30)</sup> ibid, стр. 291.

ბატონი-უმობის ასალს წესიზე დადგენა<sup>31</sup>). მკითხველი თვითონ  
ნაც ჭიშედავს ჩვენი თავად-აზნაურობის მოქმედებას, მის ზნე-  
ობირივა სახეს. საყურადღებო და ღირსებულიშნავი ის არის,  
რომ გორის მაზრა იყო უდიდესი ბუდე ტეოდალებისა, უძების  
რიცხვი ამ მაზრაში უფრო მრავალი იყო, ვიდრე სხვაგან <sup>32</sup>)  
და ას სწორედ ამ მაზრის თავად-აზნაურობაში გამოიჩინა მტრო-  
ბა გლეხობისადმი, გვიჩვენა ვიწრო წოდებირივი ანგარიში, პი-  
რადი სარკებლობა.

სულ სხვა ნარი კავშირი, ურთიერთობა სუვერენიტეტის ძეგლს  
საქართველოში. ეს მკითხველს უმის გუჩენები, აქ შევნიშნავთ  
მხოლოდ, რომ თვით არისტოკრატიასაც გარეად ასთვდა ბე-  
ჭებური სათხოება და ბატონი-უმობის გაუქმების წინად თი-  
თონეე აღვიარებდა თავის პირით, რომ ბევრი მაგალითები მო-  
იპოვება ბატონის თავი შეწიროს უმისათვისათ <sup>33</sup>). უოგელივე ეს  
მართალია, თუმცა კი, მეორეს მხრით, მართალი არ იყო გე-  
ნერალ-ლეიტენანტი თ. ბაგრატიონ-მეხრანსკი, რომელიც  
ჭიშიქობდა, რომ საქართველო უბატონ-უმოდ კერ გასძლებდა  
და უმტკელად მაღე და მხოლოდა. <sup>34</sup>) ბატონ-უმობა ჩვენში,  
როგორც მოვიხსენით, ძეგლს იურიდიულს დაწესებულებას შე-  
ადგენდა, ამ დაწესებულებას თავისი ისტორიული raison d'être  
მოკლევებოდა, მაგრამ იგი როდი იყო ისეთი ძალა, რომდისა  
კარგებე სახელმწიფოის, ხალხის ან შეიძლებოდა. ეს

<sup>31</sup>) ibid, стр. 295.

<sup>32</sup>) Сбор. статист. свѣд., стр. 37.

<sup>33</sup>) Зиссерманъ, Сбор. матеріаловъ, вып. II,  
стр. 347 и слѣд.

<sup>34</sup>) ibid, стр. 359.

აკიწუდებოდა ჩეენის თავად-აზნაურობას, როდესაც სჯა დაიწყო იმაზე — შამულით თუ უმამულოდ უნდა განთავისუფლებულიყო გლეხი. საკვირელი რამ იყო ეს სჯა. თავად-აზნაურობას ეკონა, რომ რადგანაც ბატონ-ყმობა უძველესი დაწესებულებაა, რომელმაც შეაგავშირა არი წოდება, ამისათვის კაშირი მოისპობა, თუ გლეხს საკუთარი მიწა მისცეს და ისე გაანთავისუფლესთ. თავად-აზნაურობის ღოვივით, გლეხ-კაცობას რომ საკუთარი მამულები მისცემოდა, ეს წინააღმდეგი იქნებოდა ზნეობრივის კანონისა, სინდისისა, ეს მოსპობდა კეთილს განწყობილებას მათ და გლეხთა შორის, დასთესდა მტრობას, შეუღლს. ერთის სიტყვით, თავად-აზნაურობა ზნეობრივი ჰრინციპით ამართლებდა თავის აზრს, რომ გლეხს საკუთარი მიწა არ უნდა მიეცესთ<sup>35)</sup>). შესანიშნავი რამ არის ეს ეგრედ-წოდებული ზნეობრივი ჰრინციპი, უგელასთვის უგელაში და უოგელთვის გამოსადეგი! რასაკვირელია, თავად-აზნაურობას სრული ნება ჭრონდა ელაპარაკა, რომ თუ გლეხს საკუთარს მამულს მისცემენ, ამითი შემცირდება უიმისოდაც არა-სანატრელი ეკონომიკური კეთილ-დღეობა მაღალის წოდებისა და ნება ჭრონდა მით უმეტეს, რომ ეს კეთილ-დღეობა დაბალი ფასისა იყო, მარაც და თავად-აზნაურობა გალით იყო საგსე.<sup>36)</sup> მაგრამ რო-

<sup>35)</sup> ibid, стр. 347, აგრეთვე 352—353.

<sup>36)</sup> თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ჰუვანდა დაგრივებული «პრიკაზში» 1 ივნისს 1864 წლამდე გამოცანილს ფულში 30,714 სული ყმა, კაცი და ქალი. ეს ყმები დაფასებულნი იყვნენ თავით მამულებით 2,042,100 გ. სულ ემართა ვალი თავად-აზნაურობას 1,810,840 გ. მეოთხედი ნაწილი მამულებისა პრიკაზში იყო დაგრივებული, ცოტათ კიდევ მეტი, ასე რომ მოელის გუბერნიაში ითვლებოდა 16,409 კომლი, პრიკაზში იყო დაგრივებული, 1864 წ. 4,848 კომლი. Сборникъ статист. свѣд. стр. 36—40.

დესაც თავად-ზნაურობა ბუნებრივ მიზეზებთან (естественныя причины) იხსენიებდა ზნებრივ მიზეზებსაც (естественныя причины) და ამბობდა, რომ გლეხს არ უნდა მიუკეს საკუთარი მიწა, მაშინ ერთს ჭაჭრის ამტკიცებდა, სახელდობრ იმას, რომ საუკუნოდ მოისპო უწინდელი კავშირი ბატონისა და ყმას შორის.

ზემოდ მოხსენებულიდგან საკმაოდ სჩანს, რა დიდი ცვლილება მოხსდა ჩვენს ბატონ-უმობაში, რა ღრმად შეიცვალა მისი ხესიათი, მიმართულება შემდეგ 1801 წლისა. ასლად დაარსებული რუსეთის მთავრობა, შეძლებისამებრ, სცდილობდა, ასე თუ ისე, შეღავათი მიეცა გლეხ-კაცობისათვის, მაგრამ საქმეს გერა უშეელა-რა. შემდეგ რუსების შემთხვევისა, საქართველოში სულ სხვა ცხოვრება დაიწყო და ბატონ-უმობა, როგორც ნა-ჟიფი სანგრძლივის ისტორიულის ცხოვრებისა, უპენელია, უნდა დაშლილიყო სხვა გარემოებათა, სხვა პირობათა გავლენის შექმნა და კიდევ დაიშალა, კიდეც განწერა ძველებური დაბატონობა — პატიონობა. მთავრობა, როგორც გარეგანი ძალა, აქ არათერს შეუძინა იურ. როგორც კსთვეოთ, მთავრობა კიდეც სცდილობდა ცოტად თუ ბევრად ჭუმინიურად განეშეულ ბატონ-უმობის საქმე. ამითი უნდა აიხსნას ის ჭაჭრი, რომ მან 1808 წელს, სასულიერო პირზე გაანთავისუფლა უმობის უღელიდგან, რადგანაც უმობა სასულიერო წოდების დირსების დამამცირებელია და, გარდა ამისა, წინააღმდეგიც რუსეთის კანონებისა;

1832 წ. მოქალაქეებს აღუკრძალა უმების უღლა და სხ. <sup>37)</sup>). თუმცა ჩვენი უფლება დიდი და საპატიო ადგილს აკუთნებდნენ სასულიერო წოდებას და თავი ამ წოდებისა, კათალიკოზი სუ-

<sup>37)</sup> Сбор. материа́ловъ, вып. I, стр. 258.

დას სეფამშითვეთ იყო მიღებული (კახტ. სამ. მუხ. 25), მაგრა რამ მაინც მეორეს სრული ნება ჰქონდა მღვდელი უმად ებობა ეკლესიისათვის, <sup>38)</sup> თავადისათვის ერთგულს სამსახურში, <sup>39)</sup> ასე რომ არათუ მარტო ეკლესიას ჰქონდა მღვდლები უმებათ, არამედ თავადებს და აზნაურებსაც; მეფის მოძღვარიც კი ხშირად უღვეს-გვარ სახელმწითლო და საბატონო სარჯა იხდიდა. ეს გარემოება სრულებითაც არ უმდიდა სასულიერო წოდებას გეთილ-დღეობაში უოფილიყო. თვით მეფე და გერმო პირნა უხვად სწირავდნენ ეკლესის უმებს; მთელ სოფლებთან ეკლესიას ებოტებოდა ხოლმე ქორები და მიმინოები, რადგანაც სასულიერო ტეოდალებისათვისაც მიუცილებლად საჭირო იყო ნადირობა. <sup>40)</sup> ეკლესია: არა თუ მარტო ქრისტიანებს იყვნდა უმებად, არამედ ურიებსაც, რომელთაც, სხვათა შორის, სარჭად ედოთ ქრისტეს შობის თვეში წმინდა სანთელი მიეტანათ ეკლესიაში (ცხინვალელ ურიას დანიელას წელიწადში ხუთი ღირირა წმინდა სანთელი ჰქონდა შეწერილი) <sup>41)</sup>; არც თაორების უმობას ერიდებოდა ეკლესია. (1797 წელს ალაკვრდის სობოროსას მულანდობაში იმოზე სამოც-და-რვა კომლი რათარი ჰქონდა უმად; თაორები უღვეს წელიწადს რამდენსამე ტომარს და ზითლ ხალისას ამღევდნენ სობოროსად ასე გასინჯეთ, ხალიჩა ხაორიანი არ უნდა უღვილიყო) <sup>42)</sup>). საზოგადოდ რომ დთქვას, საეკლესიო უმანი უფრო გარგს მდგომარეობაში იყვნენ,

<sup>38)</sup> Церковные Гуджари, стр. 9, 79 და ს. ს.

<sup>39)</sup> Груз. Двор. Грам. стр. 7, Д. Пурцеладзе.

<sup>40)</sup> Церков. Гуджари, стр. 53.

<sup>41)</sup> ibid, стр. 110.

<sup>42)</sup> ibid, стр. 20.

კიდრე საერთო ტეოდალებისა. უმთავრესი ამის მიზეზი ის იუო, რომ ხშირად მეფები უღველ-გვარ სასელმწიფო სარჯისაგან ანთავისუფლებდნენ საეკლესია უმებს, <sup>(3)</sup>) სანდისსან თხოულობდნენ მათვან ეგრედ წოდებულს თათრების და სამსედრო გარდასასადს, <sup>(4)</sup>) იშვიათად ნაღირობისას. სასულიერო წოდებას საქართველოში მაღალი ადგილი ეჭირა, დადა პატივი ეჰყო ხელთ, ძლიერი გავლენა ჭერნდა; ამისათვის მეფე ესარჩელებოდა საეკლესია გლეხს მაშინაც კი, როდესაც ეს გამოსარჩევა წინააღმდეგი იუო ასეთის «დიდებულისა», როგორც მაგაროვა ამილახვარი <sup>(5)</sup>). კიდეც ამიტომ გლეხ-კაცობა ეკლესიას უცემეროდა როგორც «მფარველს», «დამცველს», მეუსწრავებოდა მისკენ. საზოგადო მოვლენა იყო, რომ გლეხი უფრო ადვილად კისრულობდა ეკლესის უმობას, კიდრე თავადისას ან აზნაურისას. თუ საერთო ტეოდალს თავისი უმა შეკიწროებაში ჰყავნდა, უკანასკნელს შეძლო შეხიზნოდა ეკლესიას, რომელიც იღებდა მას თავის მფარველობაში. <sup>(6)</sup>) ეკლესია და მეფე — არ ური პირი, რომელიც უფრო იზიდავდნენ გლეხ-კაცობას. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ საერთო ტეოდალები შედარებით უფრო ცუდად ეჰყობა დანენ უმებს, კიდრე ეკლესია. მართალიც არის. ეკლესია უფრო მდიდარი იყო და არ აწესებდა უმებს. დადის გარდასასადით; ზნეობით და სწავლა განათლებით სასულიერო წოდება მაღლა იდგა საერთო ტეოდალებზე, რადგანაც ეს სწავლა-განათლება სასულიერო-წოდებრივის მიმართულებისა.

<sup>(3)</sup>) ibid, стр. 13, 22, 27, 103 და სხ.

<sup>(4)</sup>) ibid, стр. 36, 37.

<sup>(5)</sup>) ibid, стр. 99 და სხ.

<sup>(6)</sup>) Церков. Гуджари, стр. 45.

იუ; გარდა ამისა ხსენებული წოდება უფრო ზომიერად სცხოვ-  
რებდა და ს. 47) მზრუსელობა, ოომელსაც მისდევდა თავად-  
აზნაურობა გლეხ-კაცობის შესახებ, ეკლესიისათვისაც შეადგენ-  
და საჭირო საგანს და უფრო დიდს, ოადგანაც ეს მზრუნვე-  
ლობა ეკლესიის პირდაპირი საღმრთო მოვალეობა იყო. ამ  
გვარს საეკლესიო ბატონ-ემობას ის შედეგი მოსდევდა, ოომ  
საერო ტეოდალები იძულებულნი იყვნენ კარგად მოჰკიდებოდ-  
ნენ უმებს, ოადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, უმებს შეეძლოთ  
დაეტოვათ ბატონები და შესიზნოდნენ ეკლესიას. 48) მაგრამ  
მაინც საეკლესიო გლეხ-კაცობაც ემორჩილებოდა ტეოდალურს  
უღელს და ეს უღელი უოკელ შემთხვევაში დიდს და მძიმე  
ტეირთს შეადგენდა. და ოომ ეს ჭეშმარიტებაა, სჩანს იმ კა-  
ნონებიდან, ოომელნიც შეესბოდნენ გლეხ-კაცობის პიროვ-  
ნელს და ქონებრივს უფლებას.

როგორ და რა ნაირად ისატებოდა ზნეობირივი არსება  
გლეხ-კაცისა? კანონის ძალით გლეხი შეადგენდა ბატონის სა-  
კუთრებას. ამისათვის ბატონს დიდი უფლება ჭრონდა მინიჭი-  
ბული გლეხის პიროვნობაზე; ეს უფლება უგელაფრის ნებას  
აძლევდა მას, გარდა სიკვდილისა და გახეიბრებისა; «უკედ-  
მშიოდე კაცს თავისის უმის სიკვდილი და გასეიბრება არავის  
ხელმწიფების» (კახტ. სამ. 95 მუხლი). სიკვდილის და გა-  
ხეიბრების ნება ჭრონდა ბატონს მხოლოდ ხელმწიფის «დას-  
ტურით». აქ უნდა შევნიშნოთ, ოომ ჩვენი კანონი სრულ  
დესპოტიურს ძალას არ ანიჭებდა ბატონს; უდანაშაულოდ  
ბატონს როდი არა შეეძლო-რა, ოადგანაც მაშინაც კი თუ კაც-

<sup>47)</sup> Крѣпостное право въ Грузіи, стр. 14—15.

<sup>48)</sup> ibidem.

მან თავისი უმა ან მოკლას, ან გაახებოროს, თუ დანაშაულზედ უქნია, მით ბატონისაგან და კათალიკოზისაგანაც საწყენი არის» (მუხ. 95) და ეს იმიტომ, რომ «თუ ბატონი გაუწიურების, სულის გარდა უკელაზე სელი მიუწიდება» (მუხ. 160). რადგანაც ასელის გარდა ბატონის უკელაზე სელი მიუწიდებოდა, ამისთვის სელმწიფის უდასტუროდ გლეხის სიკვდილს ან გასეიბრებას ცუდი შედეგი ჭრონდა ბატონისათვის, თუ გასეიბრებულმა. «კიდევ მისი უმობა ინდომა, მამულს პერ მოუშლის და სისხლიც უნდა მისცეს და თუ იმის უმობა აღარ ინდომა, სისხლი არ უნდა გამოართვას, თავის ცოდნ-შვილით ვისთანაც უნდა მივა, უწინდელი პატრონი ველარას მიედავების», მოკლულის გლეხის მმები და ნათესავები, მასი სახლობა თავისუფალი იუენე მეკლელის ბატონის უდლიდგან. («მმას და სახლის კაცს თუ არ სიკვდილისათვის გასეიბრებიათვის შერავინ გამოართვამს» მუხ. 95.) მაშასადამე, თვით ის ზარალი, რომელიც მიუცილებლად თან მოსდევდა გლეხის სიკვდილს. და გასეიბრებას, ასესტებდა იმ უფლებას, რომლითაც აღჭურვილი იყო ბატონი. თუ სიკვდილისა და გასეიბრების ნება ჭრონდა ბატონს, რასაცირკელია, ჭარიმის გადახდევინებისა და ჭოხით გალახვისაც ექნებოდა (71 მუხ. ჩეულებათა). და უმას შერცე შეეძლო კერსად ეჩივლა. სულ სხვა იურ, უპოთუ უმა რასმეს დაუმაკებდა ბატონს. «ვისაც შერისხდეს ღმერთი და თავის ბატონი მოკლას, ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისათვის რომე უმისა უკელა ბატონისა არის» (მუხ. 258); მაგრამ მოკლას ვილა ღრუვის, როდესაც გლეხი უბრალო შეუაცხადებისათვის სასტიგად ისჯებოდა, ასე რომ თუ უმამ ბატონს გაჭავრებით ან ჭოხი ჭკრას, ან სელით სცემოს, სელი მოკვეთოს, ან იმ კაცს სელის ფასი წაერთოს;

თუ ან გაჯავრებით შირისპირ შეაგინოს, ენა მოექმნას, ან ენის ფასი წაერთოს» (ვას. სამ., მუხ. 259.) ასეთი უთანასწორობა იყო განსორციელებული სისხლის სამართალში, უთანასწორობა, რომელიც შეადგენდა მიუცილებელს შედეგს ჭურდალურის წეს-წყობილებისას. ესევე უთანასწორობა სისტემატიკურად გატარებული იყო მთლად ჩეენის კანონებში და იქამდის მიღიოდა, რომ უმა ბატონის ხელში აღებ-მიცემობის საგანს შეადგენდა. ასე, რომ ბატონის, კანონის ძალით, შეეძლო გლეხი დაეგირავებინა, გაესუიდნა. («თუ კაცმან სოფელი, ან გლეხი იყიდოს თავადისაგან ან აზნაურისაგან, ხელმწიფებაც უნდა დაკითხეა, მაგრამ უკითხავადაც სუიდულა და არც ხელმწიფე გამოვიდება...» მუხ. 162 ვას. სამ.) და აადგანაც უმა ბატონის საკუთრება იყო («პატრონების რომ უმას თავი დაახსნევინოს...» იქვე მუხ. 260), უგანასკნელს სრული უფლება ჰქონდა მოქმედებინა ირ თავის კერასათვის და მოსამსახურეთ წაეუკანა, მხოლოდ იმ შირობით ვი, რომ სამაგირო უნდა დარჩენილიყო გლეხის ოჯახში, რათა ოჯახი არ დაეცეს, გლეხ-კაცას მეურნეობა არ შემცირდესა; გარდა ამისა ბატონი გარდასახადს კერ მოსთხოვდა ოჯახს, ვიდრე მოსამსახურე მასთან იმუოფებოდა. აქ დირსია შესანიშნავად ის ჭაჭრი, რომ დასაკლეთ საჭართველოში ბატონის შეეძლო მოახლეების გამოყანა მარტო ზოგიერთა და არა უკელა ოჯახიდგან. <sup>49)</sup> ამ შიროვნულს შეგიწროებას, სხვათა შორის, ისიც უნდა ზედ დაერთვას, რომ გლეხს არა ჰქონდა სრული თავისუფლება ერთი ალაგიდგან სხვაგან გადასახლებისა, თუმცა ვი, მეორეს მხრით, გლეხი არ იყო მიწის კუთვნილება, მიწაზედ დაკრული. კანო-

<sup>49)</sup> Сборникъ материаловъ, вып. I, ст. 306—307.

ნი (კასტ. სამარ. მუხ. 199 და 200) მართალია, ნებას არ აძლევდა გლეხს თავისუფლად გადასახლებისას, მაგრამ ისეთს პირობებს კი უდებდა, რომ გლეხისათვის ადვილი საქმე იყო ერთის ბატონისაგან მეტოქეთან მისვლა, მასთან შეხიზნეა. როგორც ვიცით, ეს შესიზვნა ჩვეულებრივს მოვლენს შეადგენდა. მასში მოიპოვება ერთი უმთავრესი მიზეზი იმ ფრიად საუკრადლებო გარემოებისა, რომ გლეხი არ ეწავონისებოდა ბატონს და ბატონიც იძულებული იყო არ დაეხაგრა იგი.

შიროვნულს უფლებას რომ თავი დავანებოთ და ქონების მივმართოთ, აქაც იმავე სურათს შევსვდებით. აქაც გლეხი დახაგრულია, აქაც მისი უფლება მეტად მკრთალი და სურია ბატონის უფლებასთან შედარებით. გლეხის შიროვნული და ქონებივით უფლება ერთს და იმავე წერტილზე სდგას, ერთსა და იმავე ღირსებისაა; რამოდენადაც გლეხი შევიწროებულია შიროვნულად, იმოდენად ქონებივით არის შევიწროებული; აქ სუზებს სრული ჭარმონია, თანასწორობა. შაგრამ, როგორც უკუ შეანაშეთ, თვით ჭარმონის მუსლინ გლეხის ქონებისა, და საკუთრების შესასებ, გადგვეული არ არიან, ერთო-ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. სან ჭარმი კატეგორიულად ბძანებს: «უმისა უკეთა ბატონისა არის» (მუხ. 258), ბატონს სულს გარდა «უკეთაზე სელი მაუწვდების» (მუხ. 160), «ნასუედი ემა გერც ვალს აიღებს, გერცარავის მისცემს, ამისათვის რომე არა აქვს-რა» (ბერძული სამართალი, მუხლი რდე), ზოგჯერ კი თავის ბძანებას სტუგნობს, სულს სხვას დაღადებს, წინააღმდეგებს ჰქადაგებს. და რომ უოველივე ეს მართალია, სხანს იქიდგან, რომ თუ ვაცი ამოვარდეს..., რაც საქონელი დარჩეს მალი-გორად გაიყონ (მოვალეებმა)... მაგრამ საქართველოს რიგით ბატონიც წაიღებს» (კასტ. სამ.

მუხლი 137), «თუ ქალის მეტი არა დარჩეს-რა და საჭინე-  
ლიც დარჩეს, ცოტა რამე სარჩო იმ ქალს უნდა მიეცეს და  
სხვა მოვალეებს მაღი-გორად გაუყონ» (იქვე, მუხ. 138),  
«გინ მოვალეს და დარჩეს ცოტა... და თუ შეიღი ისებ ჰეგი  
მამულს ვერავინ წაართმევს, შვილისა არის» (იქვე მუხლი  
231). მაშასძამე გლეხს ჸქონდა საკუთარი «საჭინელი», რო-  
მელსაც მოვალეები მაღი-გორად გაიყოფდნენ, ჸქონდა «მამუ-  
ლი, რომელსაც შვილს «გერავინ წაართმევს» და სხვ. სამწე-  
საროდ, ჩვენში თურიდულ კოსტებს არ მისდევთ, <sup>50)</sup> კიდეც  
ამიტომ გადატერით ჯერ-ჯერობით არა ითქმის-რა გლეხს-კაცის  
საკუთარების უფლებაზე (право собственности), დაბეჭიოუ-  
ბით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ გლეხს ჸქონდა სა-  
მემკვიდრო უფლება (наследственное право), უფლება  
სარგებლობისა და მფლობელობისა, საკუთრება კი არა ჰქო-  
ნია. თვით სამემკვიდრო უფლებაც შემცირებული იყო, რადგა-  
ნაც სამკვიდრებელი გაუი-შვილზე გადადიოდა და არა ქალზე.  
და როდესაც გლეხის უფლებაზე გააჭვს სჯა, სასეში უნდა გი-  
ქონიოთ ის განსსაკებაც, რომელიც ქონებით უფლებამ იცო-  
და. ჩვენშიც, როგორც სსგაგან, ქონება იყო მამა-ბაბუქლი და  
მონალგაწი (роловое и благоприобретенное), უძრავი და  
მოძრავი. ბატონს მამა-ბაბუქლ და უძრავს მამულზე უფრთ დი-

<sup>50)</sup> თუ არ ჩავსოვლით ასეთს უკვლიად უვარგისს და უგვანო ნა-  
წარმოებს, როგორიც არის, მაგალითად, ფურცელაძის «Краткое си-  
стематическое изложение уголовного законодательства Вах-  
танга VI, Царя Грузинского, съ показаниемъ достопицтва  
и недостатковъ его» Тиф. 1864 г. ნერავი ვისოვის არის საჭი-  
რო ეს ვითომ და განმარცება და ისიც ლინეებისა და ნაკლულევანებათ  
ჩვენებით??...

დი უფლება ჭირნდა, ვიდრე მონაღვაწს და მოძრავზე. ეს უკანასკნელი, მონაღვაწი და მოძრავი მამული მთლიად გლეხს ეკუთვნოდა. შაგრამ სულ სხვა იყო, როდესაც საქმე უძრავს მამაშაპულს მამულზე მივარდებოდა; აქ გლეხის ნება არათერს ნიშნავდა, მისი უფლება მეტად მცირე იყო, არც ყიდვა და არც გასუიდვა არ შეუძლო მას, რადგანაც «თავადის უმა ნურას იყოდის... თავადისა და ვინგინდას კაცის უმა თავისის ბატონის უბეჭდოდ ნურაც რას გაუიდის, თორებ მისი მებატონე არ იყაბულებს, მამულს თვითონ დაიჭირს და ფასს მიმსუიდველს სითხოეს» (გამ. სამ. მუს. 163) ასე ბძნებდა ქანონი მამა-პამულის მამულის შესახებ; კეთილ-შეძენილი, მონაღვაწი მამული, როგორც შევნიშნეთ, გლეხის საკუთრებას შეადგუნდა, გლეხს როგორც ჭირდა, ისე მოიხმარდა. ბატონს, მაგ., ნება ჭირნდა ცუდის ურთა-ჭრევისათვის, ურჩობისათვის წაერთვა მამა-პამული მამული ერთის გლეხისთვის და მეორესთვის მიეცა, მაგრამ კეთილ-შეძენილს ანუ მონაღვაწს მამულს კი კერ შესახოდა; სამწუსა როდ, შემდეგ 1801 წლისა ჩვენის გლეხ-კაცობის ქონებრივს უფლებაში შესამჩნევი ცელილება მოხდა, მეტად საზარალო და მავნებელი ამ წოდებისათვის. ამ ცელი-ლების მიზეზი იყო განკირვებული კუონომიური მდგომარეობა თავად-აზნაურობისა, რომლის სიღარიბე თან-და-თან მატულობდა. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ ასაღმა ცხოვრებამ თავად-აზნაურობას ურიცევი ვალი შესძინა. საჭირო იყო მაღალ წოდებას გლეხ-კაცებისათვის მიემართა და მიძართა ვიდეც. ამის გამო ძველი განსსვავება მამა-პამულის და მონაღვაწის მამულის მორის მოსპეს, თუმცა ამ განსსვავებას საძირკვლად ედგა ჩვეულება; ეს ორ-გვარი მამული ერთი-ერთმანეთში აურიეს. და რადგანაც ბატონების ვალს გადახდა უნდოდა და ამისათვის არა

გმაროდა მამა-პაპეული მამული, გლეხის მონალვაში მამულსაც  
მიჰყეს ხელი, დაუწეს მას გასუიდვა. <sup>51)</sup> თუ რა საირად შე-  
სცვლიდა ეს განკარგულება გლეხის მეურნეობას, ამას მკითხვე-  
ლი თვითონაც მისვდება. მაგრამ ამას ორდი დაავერეს გლე-  
ხობა. რესეთის მმართებლობის შემთღების შემდეგ, კანონად  
დაიდო, რომ გლეხს ნება არა ჭიროდა უძრავი მამული ეუიდნა;  
თუ იუიდდა, ბატონის კალში წაართმევდნენ. ეს კიდევ არაფე-  
რი—გლეხს არ შეუძლო ბატონისათვის ეჩივლა, ესა-და-ეს მა-  
მული ჩემი საკუთრებაა და არა ბატონისათ, ამ გვარს საჩივარს  
სასამართლოში არ ღებულობდნენ. <sup>52)</sup>—ამითი კათაკებთ ამ წე-  
რილს და ზოგიერთა საგნებს კსტოვებთ იმ განზრასვით,  
რომ იმათზე ღდესმე ცალკე მოკულაბარაკოთ მკითხველებს.

ნიკო ხიზანიშვილი.

<sup>51)</sup> Сбор. матеріаловъ, стр. 316—317.

<sup>52)</sup> ibid, стр. 312.

## საზულის-ხმიეროდ

(გაზეთებიდამ)

### I. წარსულის მოგონებილგან. \*)

შევლელობა 1857 წელსა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თავა-  
ლის გაგარინისა, იმის ჩინონენიკის იღინისა და პორუჩიკის არდიშვილი-  
სა—სვანეთის მფლობელის თავად კოსტანტინე დადიშვილისანისაგან.

ვიდრე დავიწყებდე იმ საშინელის დრამის აღწერას თ. გა-  
გარინის სიკვდილის შესახებ, რომელმაც თავის დროზედ აღმა-  
რიდი ამბავი სამზღვაუ-გარეთაც კი, და ჩვენში სომ ათას წარი  
მიმოთქმა დაჭიბადა, ზოგი გასამართლებელი და ზოგი გასამტკუ-  
ნებელი ამ დრამის მოთავისა,—მე მსურს წინ წავუმძღვარო მოკ-  
ლე გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა ისეთის განსაკუთ-  
რებულის თემისა, როგორიც არის სვანეთი, რომ უკეთესად  
გაიგოს მეთხველმა: სამდვილად თავადი დადიშვილიანი წინად  
განძრახული მკვლელი იყო, თუ როგორც თავსედი მთიელი თავის  
კალურის ჰაზრებით თავისუფლებაზედ, იგი იცავდა ამ თავის-  
უფლებას და ამასთანავე ჰითიქორობდა, რომ მისი მშვიდობაიანობის  
დამრღვევი იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მაშინ, რო-  
დესაც განსკუნებული თავადი გაგარინი აღსრულებდა მხოლოდ  
უმაღლესის მთავრობის განკარგულებას.

სვანები, რომელნიც როდესდაც შეხიზნულან იალბუზის  
ძირში, სამხრეთ-აღმოსავლეთის მისა მხარეს, ინგურისა და

\*) ეს საინტერესო წერილი დახუტლილი იყო «კავკაზია» მე-18  
და მე-19 №№-ში, და ეკუთხის ა. შეჩრდებულს. რედ.

ცხენის წეალის სათავეში, სრულიად განმარტოვებული თვით ბუნებით ვეღვის პირს მდებარე ღელებისგან ასაზეთისა, სამურჩავანოსი და სამეგრელოსი, ყოველთვის მიიჭივდენ უფადებას თავისის მიუდგომელის ქვეშით, მაგრამ მაინც ამ საუკუნის 30 წლებამდე, გეოგრაფიულის და ისტორიულის მსრით სვანეთი გამოკიდეული არ იყო. იმათ კიდევ ჰქონდათ ოადაც ბნელი ჭაზრი, რომ როდესაც მათში ქრისტიანობა არსებოდა, მხოლოდ ეხლა ქრისტიანობა კვლეულს ცოტ-მორწმუნებათ შეეცემალათ. მიუდრეკებები მთის ბუნებამ შეაუენა განათლების გავრცელება, ხოლო ნასწარი ღვდღების უკოდობამ სრულიად მოსპოთ ქრისტიანული სარწმუნოება. ეს მსარე, ყოველის მსრით კავკასიის მთებით შემოზღუდული, მისაკალი კიწრო ბილიკიძეთ მხოლოდ თუ-სამს თვეს მთელის წლის განმავლობაში და ისიც ზაფხულის თვეებში, სრულიად მოშორებულია მეზობლებს, და ამის გამო მისმა მწხოვრებლებმა ისეთი გარეული სასიათი დაიჭირეს, რომ ასალ ნაშობ ბავშვებს, ქალებს, ხოცავდნენ.

კავკასიის აქთა მხრის სალხში და თვით ქართველთა შორის არის გადმოცემა, მითომ თამარ მეფე სშირად მიბრძნებოდა ხოლმე სვანეთში, როგორც ერთს უსაყვარლესს მსარეში მაშინდელის თავის კაცელის სამეფოისა და ვითომ ეს შესანიშნავი მეფე ასაფელავია იქ. ამ უკანასკნელ გარემოებაზედ ისტორიული საბუთები არ არის; მხოლოდ იქ რომ ქრისტიანობა არსებოდა და იმავე სიძლიერთ, როგორც საქართველოში—ამას ამტკიცებს რამდენიმე კვლებია და უფრო მრავალი ქართული ზედ-წარწერანი. \*) როგორ დაუცა ქრისტიანობა სვანეთ-

\*) Записка, читанная ученымъ грузинологомъ академикомъ Броссе въ Академіи наукъ 14 октября 1853 года.

ში მე, ოთვორც მნახველი, მაგალითს მოგიყვანთ: 1851 წ.  
მე ვიუა გაგზავნილი სამერჩენაბრი მაზრაში, ომდღის მცხოვ-  
რებსიც იმ დროს არ იყვნენ ძალის მორწმუნები; შევედი ერთს  
კულებიაში წირვის დროს და იქ მუთოვ ხალიში შევნიშნე ლი-  
სკანი და არ ერთი მათგანი წირვის დროს მივა ხატთან, ომ-  
დღის წინაც წმინდა სანოელი ანთა, მოგლეჭის სანოელს და  
თავის მოკლე ჩიბუხს მოუკიდებს და მითომ არაფერობ არა  
უოფილა, სანოელს ისევ ხატის წინ დაურჩობს.

კიდრე სოულიად არ გადაკეთეს სკანეთი საკუთარ საპ-  
რისტავოდ, ომელიც მალე მოხდა შემდეგ მოგვლისა ჭუთი-  
სის გენერალ-გუბერნატორისა თავადის დადიშევლიანისაგან, ის  
(სკანეთი) იუთუებოდა სამს განცალკეულ-ულს ნაწილად: სათავ-  
დო სკანეთი, ომელისაც ჭოდობდა დადიშევლიანთა გვარუ-  
ლობა, სადადიანო, ომელიც სამეგრელოს მფლობელთ ეპუთ-  
ვნოდა და თავისუფალი სკანეთი, ომელიც იუთუებოდა 11  
საზოგადოებად. თვითოუელი ამ საზოგადოებათაგანი შეადგენ-  
და თითქო რაღაც გერმო რესპუბლიკას. და მის მმართველი  
იყვნენ აღმოჩეულნი მამასახლისნი, ომელიც თავის სამმარ-  
თველოში ასაკითას უცხო რჩევას და პირთ არ ურკვდნენ.  
1853 წელს პოლეოგი ბარტოლომეი, \*) ომელიც მაშინ-  
დელის ნამესტნივის მ. ს. კორონცოვის განვარგულებით, სკა-  
ნეთში იურ გაგზავნილი, სწერს, ომ სკანეთის სოფლები  
ძღვარებებ განსაკუთრებით მდ. ინგურის, ცხენის წყლის და  
მათ ტოტების ნაპირებზედ. სახლები მთელს სკანეთში ჭირ-

\*) Книга Ш Записокъ Кавказскаго Отдѣла Импе-  
раторскаго Русскаго Географическаго Общества.  
Тифлисъ 1855 года.

კირისაა, ორ-ერთთეულიანები, უავრული ასპიდის ფიციებისა, აქეთ, ფასჯრები სადარაჭო ფასჯრების გვარად, შემოზღუდული არიან ქვით-კირის გალავნებით და გალავნის ერთს კუთხეში არის სუფთად აშენებული მაღალი კოშკი. კავკასიაში ამშობენ, კითხომ თავისუფალს სკანეთში, სახელდობრ, მუჟლახის საზოგადოებაში, ეხლაც კი შეიძლება შესკეთ «ზაპაროზჩები» შოა-მომავლობას, ორმეტნიც იქ მოსულან ღდესმე. მე თითოს მინახევს სკანები, ორმეტნიც იმათ საშინლად ჰგვანან და ვინ იცის, იქნება მართალიც იყოს ეს გადმოცემა? სკანეთში შესა-გალი გზა ჩრდილოეთ კავკასიიდგან ბევრით უადვილესი იყო, ვიდრე სამეგრელოდგან და იმერეთიდგან. ესეთი მოძრავი და საშოკარის მიმდევარი სალსი, ორგორც «ზაპაროზჩები» იუ-კნენ, შეიძლება თავის მტაცებლობის დროს მდ. უებანის მი-დამოთა შორის დადიოდნენ და მერე ნელ-ნელა სკანეთში გად-ვიდნენ. და რაკი ერთხელ ნ.ხეს სკანეთი და თავიანთ მონა-გვარი სალს, ცხოვრებით და პოლიტიკურის განწყობილებით, შეიძლება, იქმა დასახლდნენ და შეადგინეს თავისთი საზოგა-დოება.

სათავადო და თავისუფალს სკანეთზე ჩენი აზრი 1853 წლამდის ძალიან გაურგებელი იყო. კავკასიის მართებლობა არც სამოქალაჭო და არც სამხედრო იმათ არ ეხებოდა. 1832 წლის დამლებს დედა სკანეთის მფლობელისა თავადის ციონს დადიშებიანისა, დოლურ-ხან, ჩამობრძანდება თბილისს საქართველოს მთავარ-მართებელთან გენერალ ბარონ როზენთან თა-ვის მცირე-წლოვანის ვაჟით, ბეჭირ-ბეით, და სოხოვს, ორ რუსეთს დაუქუმდებარონ სკანეთის საბარონო. მარტში 1833 წ-ბარონ როზენმა ისევ სკანეთში დაბრუნა ქნეინა დადიშებიანისა, ხოლო მისი შეიძლი: თავისთან დაიტოვა თბილისში და

ამასთანავე გაატანა წერილი თავადს ციონსთან, ორმელშიაც უხსნადა, რა პირობითაც უნდა მიეღო ქვეშევრდომობა რესეფის იმპერატორისა, სოხოვდა ამაზედ ფიცი მიეღო მასთან გაგზავნილის ჩინოვნივების თანადასწრებით: პოდპოლკოვნიკის თავადის ბესო გელოვანისა, პრაპოლშჩივის თავადის ალექსანდრე თარხან-მოურაულისა, თავადის ივანე ფალავანდოვისა და კადეკ ერთის სამეტო სამეცნიეროს მღვდლისა. ამასთანავე ატყობინებდა, ორმ ფიცის მიღების შემგაბ ქალადი უნდა გაიგზავნოს ხელმწიფი იმპერატორის განსახილევადათ. იმავე წლის ნოემბრიში ბარონ როზენმა აცხობა უცხო საქმეთა მინისტრის გრაფ ნესაელორდეს, ორმ სამეცნიეროს მფლობელის თავადი და-დიანის თაოსნობით, სკანეთის მფლობელმა თავადმა ციონს დადიშებდანმა შთანთ ფიცი და მოაწერა ხელი ამასთანავე ფი-ცის ფურცელზედ, გადა ამისა სთხოვდა ეშვამდგომლათ ხელ-მწიფის თან გრამოტის, ხლმისა და ხანჭლის ბოძეზედ და ნიშნად უზენაესის მოწყებისა იმისთვის, დადიშებდანისთვის, მიეცათ მაიორის ჩინი და ნება დაერთოთ ეპოლეტები ეტარებინა.

1834 წლის დასაწყისს თავადმა ციონს დადიშებდანმა მოისურვა მიეღო მთელის რჯახობით მართლ-მადიდებელი ქრის-ტიანებრივი სარწმუნოება, ორმელიც, როგორც თითონ ამბობდა, იმის მამა-პაპათ სწამებითთა ამის გამო საქართველოს ეგზარ-სტატან რჩევის შემდეგ, სკანეთში გაგზავნეს მჭადაგებელი სა-ასეთო სასაულიერო კომისიისა, ორმელი მოსკოვისათანავე თა-ვადმა ციონს დადიშებდანმა განაცხადა სრული თანხმობა მო-ნათვეზედ; მხრულოდ იმ პირობით, ორმ ნათლიებათ ყოფ-ლაშენებს: თმონო იმის ნათლიად ხელმწიფი იმპერატორი, ხო-ლო იმის შეულლისა, ქვეით ჭრუმ-ხანისა, ხელმწიფი იმპერა-

ტრიცა. რადგანაც გამოგზავნილ მღვდელთარ იცოდნენ ის წესა, რომ ამ საქმისთვის უზენაესი ნება-რთვა უნდა შეეთხოვათ, ამისათვის 10 მკათათვეს 1834 წელს მონათლეს იგინი. მათის უდიდებულესობის სახელით და დაარჩევს: თავად ციონს მიხედვით, ხოლო კნეინა ჯერუმ-ხაჩის — მარიამი. თავ. დადიშველიანების უძებმა რა ნახეს ამ გვარი მაგალითთ თავიანთ ბრძანებებისა, თავათაც მიიღეს ჭრისტიანობა, ასე რომ რამდენიმე დღის განმავლობაში სხვა-და-სხვა სოფლებში მოინათლა 2000 მეტი კაცი და ქალი.

ნოემბერში იმავე 1834 წ., რადგანაც ბარონ როზენს სურდა დარწმუნებულიყო თ. დადიშველიანის რესერტისადმი ერთგულებაში და ამასთან ქვეთით დაწვრილებითი ცხობანი სკანეთზედ, გაგზავნა იქ, თავისთან მოსამსახურე გენერალურის შრაბის გაზირანი თავადი შახოვსკო, რომელიც მიკიდა სამეგრელოში, უკეთავერზედ მოელაპარაკა მისს მფლობელს თავადს დადანს შემდეგს მოგზაურობაზედ და ფეხით გასწია სოფელ ჭვარიდგან ინგურის ნაშირით, თან წაიუენა თავისთან დანიშნულნი სამგზავროდ სამეგრელოს თავადი-შვილნი: ვამესა დადანი და ვიორგი აბაქიძე, აგრეთვე მღვდელი დავით ჭობულოვი. დღეში 10 საათზე არა ნაკლებ მოგზაურობდენ. თ. შახოვსკოდ 8 დღეში ასტერ მეტი კერძი გაიარა და ბოლოს მივიდა სკანეთში. აი იმის ნამდვილი სიტყვები, რომელიც ამოდებულნი არან ბარონ როზინასადმი მოხსენებიდგან, 24 ნოემბერს 1834 წელსა, № 41\*).

\*) Акты Археографической комиссии т. VIII,  
стр. 466.

არის. მთლად წყლის ნაპირი დაბურულია სჭელის ტყით, სა-  
დაც სის ტოტებში ძვრები და მაინც კიდევ რიგიან გზას ვერ შე-  
სვედისარ; ტიტევლი გადმოკიდული კლდები გიღობავენ გზას,  
უნდა დაქმო წყლისავენ და სულ წყალ-წყალ იარო, ან არა  
და უნდა შეუდგე საჩარელ მთებს და ოთხით იარო, სადაც  
თუ ერთი ფეხი წაგიცდა, სრულიად დაიღუპება». მართლაცა  
და ძალიან თავის გამომეტება უნდა კაცს, რომ ამისთანა დროს  
(ხუმბერში) და იმისთანა გზით, რომელიც 30 წლებში იყო,  
იმგზავროს, როგორც ეს ჩაიდინა თავადმა შასოვსკოიმ სკა-  
ნერში მოგზაურობის დროს; იმისათვის, როგორცა ქსოვით,  
დიდი გამედვა იყო საჭირო. როდესაც დაბა ჭუბის-ხევში მო-  
ვადა თავად ციოს დადიშველიანთან, თავადმა შასოვსკოიმ გარ-  
დასცა იმის დედას უზენაუსად ნაბომები ძვირ-ფასი ტერმუარი,  
მერე წავიდა თავად დადიშველიანების მეორე შთამომავლობის  
წარმომადგენელთან, თავად თარჩან დადიშველიანთან და საჭ-  
სის თანა-დასწრებით დააფიცა, როგორც ის, ისე იმისი შვი-  
ლი რუსეთის ქემეპრდომობაზედ. როდესაც თბილისში დამ-  
რუნდა, თავადმა შასოვსკოიმ წარუდგინა მასთან როზენს სკა-  
ნერთის აღწერა და წერილიც მიართვა იმაზედ; თუ რა ზომებია  
საჭირო, რომ შემდეგ ჭმართავდნენ სკანერს.

კვებასის დაუკიწყარმა მთავარ-მართებელმა თავადმა პ. ს.  
კორონცოვმა დიდი უურადღება მიაქცია სკანერთაც. გარდა იმი-  
სა, რომ იმან სსვა-და-სსვა წეალობით შეითვისა იმისი მფლო-  
ბელი თავადი კოსტანტინე დადიშველიანი და იმისი ლვიძლი-  
მის, თავადი ალექსანდრე, გარდა იმისა იმან ისიც მოასერსა,  
რომ თავისუფალი სკანერთის საზოგადოებამ მიიღო რუსის  
პრისტავი, რომელს თანამდებობაზედაც დანიშნული იყო შო-  
რუნიყი თავადი მიქელამე. რასაკვირველია, ეს თანამდებობა მხო-

დოდ ცარიელი სასელი იყო, და თთონ. მხარეს კი მართავდნენ მაინც ამორჩეულნი მამასასლიერი. თუმცა ამ საზოგადოებათა არავითარი სარჯი შეწერილი არა ჭქონდათ არც ფულად და არც სხვა-გვარ ჩეგარით, მაინც თავადს მიქელაძეს პატივსა სცემდენ, ორგორათაც რუსის მეფის წარმომადგენელს, და კიდეც ამაულბდნენ იმის დანიშვნით. ამ პრისტავის მეცნადონებით ქრისტიანობამ დაიწყო გავრცელება თავისუფალ სეანეთშიაც, ასე რომ 1853 წელს ზაფხულში შეიდი სკანი მოვიდა, ბორჯომში, სადაც ზავხელობით თ. კორონცოვი იმუოვებოდა და ითხოვეს, რომ მოქანათლათ. თითონ მთავარ-მართებელი და იმისი მეუღლე იყვნენ. ნათლიერი. დაუკავშირდება და უსკად დაჯილდოვებული სკანები დაბრუნდენ თავიანთ მთებში, აღტაცებით მოუთხობდენ, რაც ენახათ და რასაკვირველია, მათ საჭრიელს ბეკრძა სისვამაც მიშნას და მოინდომეს გაქრისტიანება.

1853 წელს (აღმოსავლეთის ომის დაწყობის დროს) სეანეთი ამ მდგომარეობაში იყო:

სათავადო სეანეთს განაგებდა მისი მფლობელი, როტმისტრი ლეიბ-გვარდიის ყაზახის პოლუისა თავადი კოსტანტინე დადიშვილიანი, — კაცი, რომელსაც არავითარი. განათლება არ მიეღო და რუსულათაც კი ცუდათ. დაპარაკებდა. იმ მიზნით, რომ იმასა და მართებლობის შეა უოთვილიყო საიმედო შეა-მდვალი, მასთან დასტოვეს მისი ლიძლი მმა. ალექსანდრე, პო-რუსიე ნიუეგორიადის დრაგუნის პოლეისა, პაულესკის კორპუსში გაზრდილი, ორგორც იტუკიან, მთლად გარესებული. თითონ მფლობელს, გარდა ჩვეულებრივის ჯამაგრისა, რაც ჩი-ნით გვარდიის როტმისტრის ეძღვა, ჭქონდა კიდევ მცირედო ჟენსიაც, ხოლო იმის მმას კი მარტო ჯამაგრი. უოკელი ით-ხი თვის შემდეგ ჭეთაისის გუბერნიატორი სამსედრო. სამმარ-

თუკოდგან უგზავნიდა სკანეთში ფულს იმ შირთა სეჭით, რომლებსაცა გზავნიდა ხოლმე იქიდგან თავადი ალექსანდრე და დაშექლიანი. თავადი კოსტანტინე და მმა მისი ხშირად მოდიოდნენ ხოლმე ქუთაისში, ჩამოდიოდნენ თბილისშიც, სადაც თავადი მ. ს. კორონცოვი და კნეიხა ელისაბედი თავისებურის სიამოვნებით მიღებდენ და უალერებელენ ხოლმე. ჩემი ნაცნობობა სკანეთის მთავართას იწყობა 1849 წლიდგან, როდესაც მე ვიყარ დანიშნული ადიუტანტათ ქუთაისის მამინდელ სამხედრო გუბერნატორთან გენერალ ბელიასკისთან. ეს ნაცნობობა ბოლოს დროს მეგობრობად შეიტყვალა, ასე რომ 1852 წელს თავადმა კოსტანტინე დადაშექლიანმა ჩამოიყვანა თავის უფლოსი ვაჟი ქუთაისში და ჩემს ცოლსა სოხოვკა, რომ აღსაზრდელად ჩვენს სახლში აგვევგანა.

ასე მგონია, ეხლა თვალ-წინ მიდგას მეთქი ეს შესანიშნავად მშენიერ კაცი თავადი კოსტანტინე დადაშექლიანი. წარმოიდგინეთ ასოვანი კაცი სიძალლით ერთს საწამდის, მოუკითხონო ხუჭუჭის თმით, ლურჯის, როგორც ცა, თვალებით, მშენევრად მოუკანილის ტანისა, წარმოსადევი გმირი ღონით, რასაც მკითხველი შემდეგს ჩემს ნამიბობში დაინახავს. დიდებული მახვრა-მოხვრა, ბრწყინვალე იარაღი, თოვლიკით თეთრი ჩერქესება და ქუდი-სუუელა ამას აღტაცებაში მოჭუკდათ უოკელი მაუურებელი. მიეცით ამ მმართველს კულურის სკანეთისას განათლება და შეიძლებოდა იმისგან შესანიშნავი მმართველი გამოსულიყო, რადგანაც ბუნებითად ჭკვიანი იყო და არა ჩვეულებრივი გამჭრიახობა ჭქონდა. მე ბეჭრ ქალებს კაცნებდი, რომელიც იმისთვის გრედებოდნენ; მაგრამ, როგორც ღრმად ლკითის მოუკარე კაცი და შეუძლიველელის ზნებისა, ის იმათ უკრადღებასაც არ აჭუკდა.

წარსული აღმოსავლეთის ოში დაიწურ გურიის მხრით, როდესაც ღალატით დაცნებ თურქი სამზღვარზედ ჩენ წმ. ნიკოლოზის სიმაგრეს, 16 ოქტომბერს 1853 წელს, ვიდრე ჩენ მოგვივიდოდა მანიჭესტი ომის შესახებ. იმ მოვალი საფრანგეთის, რომელიც სამზღვარზედ იდგა, მხოლოდ 40 კაცი გადასახა. სხვები კი ზოგი მამაცად მოვჭრა ბრძოლის კელზედ, ზოგი ტუპეთ წაიყვანეს. ატიცრებიდგან მხოლოდ ორი გადარჩა: ერთი კაპიტანი კოინსეი ნახალნიკი და ერთიც პორუჩი, რომელთაც დაეტოვებინათ ნიკოლაევის სიმაგრე და თათრების პირველს დაცემისათნავე მოცვივდნენ დაგდევილის სერთუ- კებით აზურგები, ში. ეს ატიცრები მალე გამორიცხულ იქმნებ სამარავლოდან, როგორც არის ნათევამი სამხედრო მინისტრის მოწერილობაში მთავარ-მმართველისადმი — მხედრის გულა- ლობის უქონლობის გამო. ჯარის გასამრავლებლად გურია- ში დაიწურეს მოკრეია მცხოვრებლებისა მილიციისათვის; ამავე საქმისათვის მიმართეს სკანეთის მთავარს. თავადმა დადიშე- ლიანმა, როგორც მე მახსოვს, გამოგზავნა 40 ანუ 50 ცუ- დათ შეიარაღებული მილიციიელები, რომელიც მალე, როგორც უსარგებლო ხალხი, უგანკე დააბრუნეს სახლში.

ომის დაწეებისას სკანეთის მთავარს კიდევ ჰქონდა მიმო- სკლა ჭუთასის გუბერნატორთან, გზავნიდა ჭუთასში საგან- გებოდ კაცს ჯამაგირის; მისაღებად, 1854 წლის დამლევს კი უკეთა ამას თავი გაანება, ჩაიგეტა თავის მიუდვომელს საბუ- დარში და ისე იყო, მითომ არც კი არსებობდა. იმასთან გან- დებ გაგზავნილი კაცები ბრუნდებოდნენ უკავებოდ უბასუსოდ ჩენს მოთხოვნილებაზედ: რა ამულებდა სკანეთის მთავარს ამ გვარად მოჭრეცებდა მართებლობას, მნელი სათქმელა, რადგა- ნაც მისი ღალატის ნამდვილი საბუთებრ ჩენ არა გვერდა.

ზოლოს დროს მითომ იმისი წერილები ეპოვნათ ომარ-ფაშის-  
თან მიწერილი, რომლებშიც მითომ ისმალეთის მმართებლო-  
ბას მფარველობას, სოსოვდა, — მხოლოდ ეს წერილები მე არ  
მინახავს, თუმცა გურიის ჯარების უფროოსის საქმები ძალიან  
დაახლოებით ვიცოდი. გასაკვირველიც არ არის, რომ, რო-  
დესაც სკანეთის მთავარმა დაინახა, რომ თითქმის აღებულია  
ასესზეთი და სამეგრელო და ესმოდა ვიდეც, რომ რუსები დღეს  
არა სკალ არამცო თუ რიონის მსარეს დასცლიანო, არამედ  
თვით გავყასის აქეთა მსარესაცაო, — დაუკვერა ამ სიმებს და  
ელოდა: კინც გამარჯვებული დაიჩინება, იმასთან გადავალო. რომ  
დარწმუნებულნი იყენებ, რომ ჩვენ გავებასის აქეთა მსა-  
რეს თავს დაგანებებთ, არამც თუ სალსი, არამედ თვით თავა-  
დიშვილობაც, ამის დასამტკიცებლად ის გარემოებაც შეიძლება  
მოვიყვანოთ, რომ ზოგიერთი თავადთაგანი მთხოვნენ, 25.  
მანეთიან ქაღალდის იულში არა ანუ ერთი მაინც პოლუ-  
იმპერიალი მიმეცა ღვროსი.

ომი გეთავდა, მარტში 1856 წელს, როგორც ვიცით,  
მოსდა შერიგება. დანიშნული კვალად ახლად მთავარ სარდ-  
ლად და გავყასის მმართველად თ. ა. ი. ბარიათინისვი მოვიდა.  
თბილისში პეტერბურგში მიღებულის მინდობილობით — გამოე-  
ცხადოს სამეგრელოს მთავრინის და აბესაზეთისა და სკანეთის  
მთავრებს უზენაესი სურვილი სელმწიუე იმპერატორისა იმის  
შესახებ, რომ მათი სამთავრონი უნდა გადაეცთდნენ ღლებად და  
მაზრებად, ხოლო თმოთონ მთავართა, რომელთაც მიეცემათ ზუ-  
ლი და სხვა ჭილდო, უნდა დაუტევონ თავიანთ საბრძანებელი  
და გადასახლდნენ რუსეთში. გამოწვეული აგვისტოში 1857  
წელს სკანეთის მთავარი თავადი კონსტანტინე დადიშვილიანი  
და მმა მისი ალექსანდრე მოვიდნენ თბილისში. მე დაწერილე-

ბით არ ვიცი ის ამბავი, როგორც ხსნიდნენ მათს საქართველოს კუთხა-ქცევას ამების დროს, — მხოლოდ როთა თუ სამი კვირის შემდეგ ჭუთასის გენერალ გუბერნატორმა მიღლო ცნობა თავად ბარატიისკისაგან, რომ პორუჩივი ნიუ-გორიდას დრაგუნის პოლკისა თავადი ალექსანდრე დადიშვილიანი გადა-უკანილია ერთს დრაგუნის პოლკოაგანში, რომლებიც იმყო-ფება ქ. ელიზავეტეგრადში (ეკატიონისლავის გუბერნატი), და უკვე გასტუმრებულია იქ თბილისიდამათ. ხოლო სკანეთის მთავარი პოლკოვნიკ ბარტოლომეისთან ერთად მოდის ჭუთა-ისა, რათა გამოიწვიოს სკანეთიდამ თავისი ძმები, რომლებსაც მასთან ერთად წამოსკლა არ უნდოდათ, როდესაც იგი თბი-ლისში გამოიწვიეს.

სექტემბრის დამლექს სკანეთის მთავარი პოლკოვნიკი ბარ-ტოლომეისთან ერთად მოვიდნენ ჭუთასში და ჩამოხდნენ იმ დროს ერთად-ერთ გრივნავის სასტუმროში, სწორედ ჩემი სახლის პირ-და-პირ. თავად დადიშვილიანს მინიჭებული ჭრან-და სრული თავისუფლება. თითქმის უოკელ-დღე ნახავდა ხოლ-მე თავადს გაგარინს, სადილობდა და სეირნობდა ხოლ-მე იმასთან ხშირ ბინდამდის — ერთის სიტყვით იმათი ერთმანეთთან დამოკიდებულება, როგორც უკელას გვეგონა, ძალიან მეგობრული იყო. მაგრამ ბოროტი სული დასდევდა უბელა ამას. ლვარძლიანი ხასიათი თავადი დადიშვილიანის და-რაჯისა, როგორისაც იყო პოლკოვნიკი ბარტოლომეი, ხან-და-ხან უშვილოებდა მას მუქდროების. საჭმე იქმდამ დაიწურ, რომ იმან მოახერხა განკარგულება მიეცათ, რომ სასტუმროსათვის უოკელ-დამ ათა-თორმეტი ჟაზახი გარს შემოერტყათ, ვითომ იმ აურით, რომ შესაძლებელი იყო სკანეთის მთავარი გამცე-ლიყო. რასაკეირულია, მთავარმა ეს ამბავი გაიგო; უოკელ-

გუარად ცდილობდა დაქმალა, რომ სკანეთიდგან მთავრის სახ-  
ლობა არ გამოეწვიათ, რასაც, რასაკვირკველა, კერ მოესწორო,  
რადგან სამი დღის წინად თავად გაგარინის შოგილამდის თა-  
ვადი დადიშველიანის მეუღლე შვილებით ჩამობრძანდა ქუთასს.  
მათ ასლდნენ ურმოცილებელი შეარაღებული სკანი. მე მაგულია-  
ნებდა არ მიმეტა გარე ხანს ჯამაგირი, რომელიც მთელი  
ობების დროს არ მიეღო და გადაწყვეტილი კი ჰქონდა; მე,  
რასაკვირკველა, არ შევასრულე ეს თხოვნა ჩემი დამოკიდებუ-  
ლების გამო მთავართან, რომელიც ჩემს სახლში დადიოდა  
თითქმის უოსელ-დღე, თავის შვილის სანახავად, (მისი შვილი  
ქუთასის გემნაზიაში სწავლობდა). უკელაზედ სშირად იარებოდა  
თავადი დადიშველიანი კაპიტანი სავინიჩთან, რომელსაც ქართ-  
ველი ქალი ჟუვანდა ცოლად (გურამიშვილის ქალი), სადაც თა-  
ვის მწუხარებას იქარებდა.

იმის ქუთასში მუოფობის დროს უოკელი განკარგულება  
მიცემული იყო, რომ წაბმანებულიყო სამეგრელოდგან კნეინა  
კვატიონისა ალექსანდრეს ასული დადიანისა, რომელსაც უნდა  
გაჭურულიყო ფოთამდის თავადი გაგარინი და იქიდგან გემით  
უნდა წაბმანებულიყო ოდესაში და შემდეგ პუტერბურგში. გორ-  
დიდგან (საზაფხულო სადგომი მთავრინასი, ქუთასიდამ 25  
კერსზედ) გამობაქების დღედ იყო დანიშნული 25 თქოობ-  
ბერი. ამასთანავე სიფრთსილისათვის, მიღებული იყო ზოგი-  
ერთი ზომები: კინოდათ მეგრელების აჯანებისა; და ამისა-  
თვის გორծისა და მარანს შეა თოი როტა იდგა, ხოლო  
გორდში იყო ასი როტა ფაზასი. იმ დროს იქვე იყო კნეინა  
ა. დ. გაგარინისა, რომელიც ქუთასიდგან მოვიდა, რომ გა-  
მოსთხოვებოდა მთავრინას. 24-ს დილით თავად გაგარინს მო-  
უვიდა ბრძანება მთავარ სარდლისა, რომ ვიდორე ის გორდში

წავა, იმავ წამს გაამგზავროს თავადი დადიშებულიანი თბილისს და ნუდარც იმას მმების მოსვლას მოუცდის. იმავე დღეს უოკელივე განკარგულება მიცემული იყო, რომ გაეგზავნათ და ამასთანავე სასტრიგად იყო ნაბრძნები, რომ მთავრისთვის არა-კის არ შეეტყობინებინა ეს ამბავი.

25 ოქტომბერი გვირა დღე იყო. დღლით 10 საათზედ თავადი დადიშებულიანი შემოვიდა ჩემთან გასაგებად, იმას შვილს მოვიყვან. გამნაზიდამ, თუ არა, და, როდესაც დავპირდი მოუვანას, იმან მითხოვა რომ წილვაზედ მივდივარო. გამოვედო თუ არა სახლიდამ, შევხვდო გენერალ-გუბერნატორის ქანცელარის მმართველს, სტატუსი სოვეტნიკს იზიუმსკის (შემდეგში ჭუ-თაისის გუბერნატორს), რომელმაც მითხოვა, რომ თავად დადიშებულიანთან მივდივარ, რომ იგი გაგარინთან წავი-უვანოო. მე ვიცოდი, რომ მთავარი სახლში არ იყო და იზი-უმსკის კუთხარი, რომ იმას ნახავს ეჭლესიაში, მე კი თითონ წავედი ჭუთაისის გუბერნატორთან 6. ა. ვანოვთან, და, რო-გორც მივედი იმის სადგომთან, ვნახე, რომ მზად იყო და გენერალ-გუბერნატორთან მიდოლდა. ჩვენ ირივენი ერთად ჩაფ-სხედით ეკაპაჟში და კავშირეთ თავად გაგარინთან. ზალაში, კაბინეტის წინ ვნახეთ უკვე საგზაოდ მომზადებული კაპიტანი ლინეინის ბატალიონისა თ. მიქელაშვილი, რომელიც თავად და-დიშებულიანს უნდა გაჰყოლიყო თბილისს, რომნის ნაკასნო-ბის უფროსი კაპიტანი საკინისი და თარჯიმანი მილიციის პორუჩინი არდიშვილი. როდესაც უკანასკნელმა მოახსენა გუ-ბერნატორის მოსვლა, თ. გაგარინმა მიგვიწვია ჩვენ კაბინეტში და ღებუ უბძანა. გენერალ ივანოვს თ. დადიშებულიანის გაზავ-ნა იმავე საათში, რადგანაც შემობდა, ჭუთაისში დაეტყოვდინა: როგორც ზევითა ვსოდით, რომოც გაცამდის სკანი ჩამოვიდა,

ო რ მ ე ლ თ ა ც შ ე ძ ლ ი თ რ ა მ ე ზ რ მ ე ბ ი მ ი ე ლ ი თ თ ა კ ი ა ნ თ მ თ ა ვ რ ი ს  
გ ა ს ა ნ თ ა კ ი ს უ ფ ლ ე ბ ლ ა დ , ხ ო ლ ი მ ე მ ი ბ რ ი ს ნ ა , ს ა ა ვ ა დ მ ე ლ ი ფ ლ ა შ ი ძ ი  
წ ა ვ ს უ ლ ი ა ვ დ ა უ დ მ ე ლ ი ფ ე ბ ი ს ი ვ ი ს მ ე ქ ი თ ს ნ ა , უ კ მ ა უ ფ ი ლ ი ლ ი დ  
ხ ო მ ა რ ი უ ვ ნ ე ნ რ ი თ ი მ ე . გ ე ნ ე რ ა ლ - გ უ ბ ე რ ნ ა ტ რ ი ს ს ა ხ ლ ი დ ა მ  
რ ო მ გ ა მ რ ვ ე ლ ი , მ ე შ ე ვ ე დ ი ი ქ ი თ მ ღ მ ა ვ ა ლ ს თ ა კ ა დ დ ა დ ი შ ე ლ  
ი ა ნ ს დ ა ი ზ ი უ მ ს კ ი ს . თ უ მ ც ა მ ე მ ი ნ დ ი ლ ა , მ ე ც ე შ ი რ ა პ ი რ კ ე ლ ი  
მ ა თ გ ა ნ ი ს ლ ა პ ა რ ა კ ა კ ი ს თ ვ ი ს თ . გ ა გ ა რ ი ნ თ ა ნ , მ ა გ რ ა მ რ ა უ ნ დ ა  
მ ე ქ ნ ა , უ ნ დ ა შ ე მ ე ს რ უ ლ ე ბ ი ნ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ა . დ ა ვ ი ჭ ი რ ე ჭ ა ი ტ რ ი ი ,  
წ ა ვ ე დ ი ს ა ა ვ ა დ - მ ე ლ ი ფ ლ ა შ ი , დ ა ვ ა თ ვ ა ლ ი რ ე პ ა ლ ა ტ ე ბ ი , გ ა მ რ ვ ი თ ს ე  
ა უ დ მ ე ლ ი ფ ე ბ ს ა მ ბ ა ვ ი დ ა შ ე ვ ე ლ ი უ ფ რ ი რ ს ი ე ქ ი მ ი ს ს ა დ გ რ მ შ ი ,  
რ ო მ მ ო მ ე ლ ა პ ა რ ა კ ა ნ ა ზ რ ი ე ბ ი ს ჩ ე მ გ ა ნ შ ე ნ ი შ ნ უ ლ უ წ ე ს ლ ე ბ ა ზ ე დ ,  
დ ა რ ა დ გ ა ნ ა ც ი ს შ ი ნ ა რ ი უ ლ , გ უ ნ დ ი დ ი ს ა დ ი ლ ი ბ ა მ დ ი ს . ა რ  
გ ა უ ვ ე ლ ი ა თ - ხ ე თ მ ე ტ რ წ ა მ ს , შ ე მ რ ვ ა რ დ ა ს ა ს ტ უ მ რ ი ლ ა თ ა ხ შ ი ს ი -  
ზ ა რ ე ლ ი ს უ კ ი რ ი ლ ი თ გ ე ნ ე რ ა ლ - გ უ ბ ე რ ნ ა ტ რ ი ს თ ა რ კ ი მ ა ნ ი ა ზ -  
ნ ა უ რ ი წ ე რ ე თ ე ლ ი დ ა დ ა ი ძ ა ს : ლ ა დ ა რ ი ს ლ ო ქ ტ ი რ ი , თ ა ვ ა დ ი  
გ ა გ ა რ ი ნ ი ლ ა კ კ ლ ე ს . შ ი შ ი თ კ რ ე ს ლ ი დ გ ა ნ წ ა მ რ ვ ა რ დ ი , ა რ  
გ ა მ რ ვ ი ძ ი ე , რ ა ა ნ დ ა რ ა გ ი რ მ ღ ხ დ ა დ ა კ ი თ ხ ე ; თ ა ვ ა დ მ ა  
დ ა ლ ი შ კ ე ლ ი ა ნ მ , მ ე თ ქ ი ? ა დ ი ა ს , მ ი ბ ა ს უ ს ა ი მ ა ნ . მ ე ი მ წ ა მ ს კ ე  
უ კ ი რ ბ ი ნ ე ე რ თ ი თ რ დ ი ნ ა ტ რ ი ს ს ა დ გ რ მ შ ი , კ ს თ ხ ო ვ ე ს ა ჭ ი რ ი  
ი ა რ ა ლ ი წ ა მ რ ე ლ ი დ ა დ ა ი ვ ე ნ ი გ ა ვ ქ ა ნ დ ი თ გ ე ნ ე რ ა ლ - გ უ ბ ე რ ნ ა -  
ტ რ ი ს ს ა ხ ლ შ ი , ხ ი დ ს რ ო მ გ ა დ მ რ ვ ე დ ი , თ ი თ ქ მ ი ს მ თ ე ლ ი ქ უ -  
თ ა ს ი ა რ ა ლ ა ც უ ა რ ი - ფ უ ც ე მ ი უ ლ : ქ უ ხ ა შ ი მ ღ ა ქ რ ი ლ ე ბ ე ნ ც ხ ე -  
ნ ე ბ ს ყ ა ზ ა ს ე ბ ა , ყ ა ზ ა რ მ ე ბ ი დ ა მ მ ღ ა ბ ი ა ნ ს ა ლ დ ა თ ე ბ ი , ს ა ლ ხ ი ც  
მ ღ ა რ ბ ი ს დ ა უ კ ი რ ი ს , რ ო მ ს ვ ა ნ ე ბ ი უ კ ე ლ ა ს ს რ ც კ ე ნ ს , კ ი ნ ც კ ი  
ი მ ა თ გ ზ ა შ ი შ ე ბ ა თ რ ა .

ე ხ ლ ა კ ი წ ე ბ ი ი მ ს ა შ ი ნ ე ლ ი ს დ რ ა მ ი ს ა ლ წ ე რ ა ს , რ ო მ ე ლ ი ც  
ი მ ნ ა ხ ე ვ ა რ ს ა ა თ ი ს კ ა ნ მ ა ვ ა ლ ი ბ ა შ ი მ ღ ხ დ ა , რ ა დ უ ს ა ც მ ე ბ ი მ ე ს ა -  
ს ა ვ ა დ მ ე ლ ი ფ ლ ს გ ა თ ვ ა ლ ი ე ბ ლ ი დ ი . მ ა გ რ ა მ კ ი დ რ ე ი მ ი ს ა ლ წ ე რ ა ს დ ა -

კიწუებდე, მე მსუბუქ გავაცნო მკითხველს განსკუნებულის თავა-  
დის ალექსანდრე ივანეს-ძის გაგარინის შატილისანი პიროვნება.

თავადი ა. ი. გაგარინი ჯერ კიდევ სულ ასალ-გაზდა  
გვარდის აჭიცერი იყო, ოდესაც შევიდა. აღიუტანტად თ.  
კორონცოვთან, ომელიც ნოვოროსისკის გენერალ-გუბერნა-  
ტორი იყო და დაჭურ იმასთან ამ თანამდებობაში 20 წლამ-  
დის. ოდესაში იმან შეირთო პოდეილ, ციმბირში გაგზვნილი  
დეკაბრისტის ცოლი, ომელიც მოიყვანა კავკასიაში 1844 წ.,  
ოდესაც თ. კორონცოვი ჩამობრძანდა; მაშინ თ. გაგარინის  
პოლეგოვნიგის ჩინი ჰქონდა. კარგად აღარ მასეოვს, იმავე წელს,  
თუ მეორეს—გაგარინის მეუღლე გარდაიცვალა პიატიკორსკში.  
1848 წელს ის იყო დანიშნული დებენტის ქალაქის უფრო-  
სად, სოლო 1850 წელს, ოდესაც გენერალ-მაიორობა მიი-  
ღო, ქუთაისის სამსედო გუბერნატორად. ამავე წელს იმან  
შეირთო გნიაუნა ანასტასია დავითის ასული ორბელიანისა, ო-  
მელმაც იმისთანა ბედნიერება მიანიჭა იმის სასლა თავის სი-  
შეიძით და კარგის სასიათებლი, ორგორიც, შეიძლება, თ. გაგა-  
რინის თავის დღეშიაწ არ გამოიცადა. უნდა გენასათ იმათი ცხოვ-  
რება; თ. ა. ი., ორგორიც ქაბუკის, თუმცა ძალიან ასალ-გაზ-  
დაც არ იყო, უყვარდა თავის ცოლი და, ორგორიც იტუკიან,  
თათქმის სელით ატარებდა; სხვა ნაირადაც არ შეიძლო მოჭრე-  
ოდა: — იგი იმისთანა იდეალური, მშვიდი ადამიანი იყო, ორმ  
თითქმის უოკელი მცნობი აღმერთებდა. ის ესლაც ცოცხალია  
და ჭან-მრთელი და მომიტევოს, ორმ ნება-დაურთველად მის  
სურათს ვხეტავ და ძეგლს ჭრილობას კვლავ გუღვიძებ, მის მე-  
უღლის ტრაგიკულს სიკვდილზედ დაპარაგოთ. 1854 წელს თ.  
გაგარინი იყო დანიშნული დივიზიის უფროსად, სოლო 1857  
წელს პირკელ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად. ნაშდგილი

რესას მებატონე, შვილი თავის დორზუდ გამოჩენილის მემუ-  
სიკეთი თავადი ივანე გაგარინისა, სამსახურში გაწერთნილი მო-  
წაფე თავადის კორონცოვისა, თავადი გაგარინი ცხოვრებაშიაც  
უკედასგან პატივ-ცემული იყო და მართებელის სახლში ისე იუო  
მიღებული, ოცნერც შინაური. ახალ-გაზდობისას მშვენიერი  
უძრწილი უოფელიყო და იმ დოროსაც ისევ ეტერბოდა უწინ-  
დელი სილამაზე, ოცდესაც მე იმასთან ადიუტანტათ დამსიშ-  
ნეს (1850 წ.) იმ დოროს ძალიან უურადღებას. აქცევდნენ სამ-  
ხედრო ჭორმას; მხოლოდ თ. გაგარინი უურს არ უგდებდა:  
გახსნილი სერთუგი, გქელი ნაშოლეონისებური უილეტი ზაფ-  
ხულობით თეთრი და ზამთარში ხავერდისა და გადაკეცილი შე-  
რანგის საუელო—ეს იყო იმისი ჩვეულებრივი ტანთსაცმელი.  
და ოცნერი ლქოს გული ჭრონდა ამ კაცს, ოცნერი ჭრება-  
გაზრდილის კაცისა, დუნტელმენისას არ გიტები, კიტები მხო-  
ლოდ რომ ნამდვილის რესას დიდ-კაცის ჭრება ჭრონდა და აი-  
ამისთანა კაცი დაიღუპა სრულიად უდანაშაულოდ, მხოლოდ  
იმიტომ, რომ მართებლობის ბრძანებას აღსრულებდა.

ეხლა მე აღსწერ იმ სცენას, როს დამსწრეც იუო მხოლოდ  
ერთი იზიუმსკი, ოცმელმაც ერთი საათის შემდეგ გვიაშმო ის  
საზარეული ამხავი, მაშასადამე სრულიად მართალი. შევიდა თუ  
არა თავადი დადი შეგლიანი კაბინეტში, თავადია ა. ი. იზიუმ-  
სკის პირით, ოცმელიც ძალიან თავისუფლად დაპარაგობდა:  
ქართულს (დედა ქართველი ჰქვანდა), გადასცა საქმე; ჯრ უბ-  
რძანა გზდაეთარგმნათ და წაეკითხათ იმისთვის თავადი ბარია-  
თინსკის მიწერალება: იმის გაგზავნაზედ თბილისში, შემდეგ  
უთხრა, რომ რადგანაც თ. გაგარინი რამდენიმე საათის შემ-  
დეგ შეთასიდგან მიდის გორდში, ამისათვის განკარგულება  
უშემ მიცემულია თავადი დადი შეკედიანის გაგზავნაზედ პირ-და-

პირ გენერალ-გუბერნაციონის სახლიდგან და ორმ იმის ნივთებს სასტუმროშივე ჩააღაებენ, კიბეური კი, ორმდოთაც ის წაბმანდება, ეხლავე ეზოში შემოვა. ყოველს ხევწნა-კედრებაზედ თ. დადიშველიანის მსრით, ორმელსაც ქუთაისში რამდენიმე დღით დარჩენა სურდა, ორმ, ორგორც ის ამბობდა, მოუმზადებინა თავისთვის საჭირო ტანთსაცმელი, რადგანაც ის სკანეთიდგან მარტო ერთის ჩერქესკით მოვიდა, და ამასთანავე გამომშვიდობიურ თავის ოჯახობას—უკელა ამზედ თ. გაგარინმა გადაწყვეტილი უარი უთხრა. ორმ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ შემდეგი სცენა, საჭიროა მოკლე აღწერა კაბინეტისა, ორმელშიაც ლაპარაკი იყო. ეს იყო კარგა მოზღიულ გრძელი ოთახი, გაღობილი ხალების ფარდებით, ფარდების იქთ იყო ტანთსაცმელი ოთახი; გაღობილთას იდგა დიდი საწერი სტოლი მაუდ-გადაფარებული, კაბინეტის ერთს კუთხეში ბუხარი იყო, სტოლის პირ-და-პირ ზალის კარები. მოელი აღწერილი ლაპარაკის დროს თავადი დადიშველიანი ბუხართან იდგა, იზიუმსკი სიწერ სტოლთან, თავადი გავარინი კი დადიოდა კაბინეტში წის და უკან ბუხრიდგან გაღობილ ფარდებს მდინარეს. იზიუმსკი შენიშვნა, ორმ თავადი დადიშველიანის მოძრაობაში რაღაც აღელვება სჩანს და ორმ იგი წამ და უწემ ჩანვალის ტანზედ სედს იკლებს, თითქო ამოდება უნდაო, და მიუბრუნდა თ. გაგარინს ჭრანციცულად: «Prince, prenez garde! le prince Dadechkiliani est hors de lui même, il tient la main continuellement sur son poignard.»\*) თითონაც აღელვებულმა თ. გაგარინმა ამას უკრადლება არ მი-

\*) «გაფოხილდეთ, თქვენო პრწყინვალებავ! თ. დადიშველიანი მოძრინებიდგან გამოდის, ხანგალზედ იკლებს ხელს.»

აქცია. შოთაშვილის ეკიპაჟისა, თ. დადო-  
შეულიანმა გადაისედა იუნჯარიში და სწორებ იმ წუთს გუნე-  
რალ-გუბერნატორის ბედ-იღბალი გადაწყდა. იმ წუთს, როდე-  
საც თავადი გავარინი მიბრუნდა და იმას ზურგი შეაქცია და  
გასწია გადაბილისკენ, თ. დადოშეულიანმა თავი გააჭნა, მსწო-  
რულად იძრო სანჯალი და როგორც კეთები უკანიდგან მიკარ-  
და თავის მსსეულშლს \*) და ერთის თვალის დასამხამებაში ჩა-  
უსო სანჯალი მუცელის მარჯვენა მხარეს თ. გავარინს; ის  
ძირს დაუცემა, მაგრამ ამ დროს თ. დადოშეულიანი სანჯალს  
გადაიგდებს მარცხენა ხელში, იძრობს სმალს და დაჭკრობს  
მხარზედ, გენერლის პაგონი იყავებს სმალს და მსოლოდ ღდ-  
ნავ გაჭერავს მას. იზიუმსკი, რასაკეირველია, ამ ამბით  
თავ-ზარ-დაცემული, იმ წამსკე სტოლის ქვეშ შეძვრება და მაუ-  
დის უქან იმალება—ასე რომ არ ექნა, იმასაც ის დღე მოუ-  
ფოდა. კურ არც კი მობრუნებულიყო თ. დადოშეულიანი კარ-  
ბისენ, იგრძნილ, რომ მხრებში ვიღაცა სწერა: ეს იუთ ჩინოვ-  
ნიდი ილინი, რომელიც გენერალ-გუბერნატორის სახლშივე  
სცხოვილიდა და რომელსაც რამდენიმე წუთის წინად გადასცა  
პოლევოვნიკ ბარტოლომეიმ, რომ თ. დადოშეულიანის გზავნიან,  
და ისიც მოვიდა საუკუბლად, როგორ გაგზავნიანო. როგორც  
შემოაღო კარები კაბინეტში და დაინახა, თ. გავარინი იარა-  
ზედ დაცემული, დაუკვირა: «რა ჭერი შენ, ბოროტო», მა-  
ვარდა თ. დადოშეულიანის და დაუჭირა მხრები. მაგრამ რას გა-

\*) როგორც სხვა ამ ამბის მცოდნეთა და მომსწრეთაგან გაგვი-  
გონია, ეს ამბავი ისე არ მომხდარა, როგორც პ. შეერბაკოვი მოგვი-  
თხობს. ისეთი გმირი, როგორიც თ. დადოშეულიანი იყო, ღიღ უკალ-  
რისობად ჩასთვლიდა, რომ უკანიდგან დასცემოდა თ. გაგარინს. რედ.

